სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მეხუთე)

VII სექტემბერი 1912 წ.

პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი კუბოში.

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს ხელის მოწერლებს და აგენტებს ჟურნალის ხვედრი თუ ლის დროზე გამოგზავნას

შინაარსი: 1) ჟან-ჟაკ რუსსო—(1712—1778 წ.) ტადასუ მისავავსი, თარგმანი **ლ. ბოცვაძისა.** 2) ტროპიზმი მოსწავლეთა შორის, **ბარპარე ყიფიანის ასულისა.** 3) ბუნება ქართულ ენის ეტიმოლოგიურ შენობისა. (წერილი შეორე) **მ. ქ. ყიფიანისა.** 4) მოკლე სუბარი ანტომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგენიდან ექ. **ევგ. ლოსაბერიძისა.** 5) სევდიანი კილო, ვეფხის ტყაოსანში, **სამ. ფირცხალავასი.** 6) ქართველი ტომები უძველეს დროდამ ქსენოფონტის ხანამდე, **ა. სვანიძისა.** 7) ჰიგიენა, **ილ. ალხაზიშვილისა.** 8) ფედია ბროტასოვი და ოჯახური ადზრდის მნიშვნელობა **მ. კაკაბაძისა.** 9) სიტყვა, თქმული დ. ხონში ი. გოგებაშვილის გარდაცვალების დროს **ალ. ჭიჭინაძისა.** 10) სამაგალითო ადამიანი (ალ. ხახანაშვილის ხსენებას) **გრ. ყიფშიძისა.** 11) რა ვიცოდი!.. (ბროფ. ალ. ხახანაშვილის ხსენებას) **დ. თურდოსპირელისა.** 12) საყვარელ ბროფეს. ალ. ხახანაშვილის ხსენებას (ლექსი) **ლადო გეგეჭკორისა** 13) ახალი ადამიანი (ლექსი) **ირ. ევდოშვილისა.** 14) სახალხო სკოლის მასწავლებელთა საბენსიო კასსა (შემდეგი) 15) შინაური მიმოხილვა. 16) ბიბლიოგრაფიები. 17) წერილი რედაქციის მიმართ. 18) განცხადებანი.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

„სახალხო გაზეთი“

(წელიწადი მესამე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეეულ

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთი თვით—75 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირის) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

1912 წლის ხელის-მომწერთ **პრემიად** მიეცემა ქართული სიტყვა-კაზმულ საზ. კრებ. პირველი ტომი **"გრდემლი"**, კრებ. დაახ. 500 გვ. იქნება და დაურიგდება **იანვარშივე.**

რედაქცია დიაა 9—7 საათ.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მეხუთე)

VII სექტემბერი 1912 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მ. 50 კ.
ნახევარი წლით . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად 2 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომრის ფასი 35 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

დ-რი ფილოფ. ტადასუ მისავა

ჟან-ჟაკ რუსსო

(1712—1778 წ.)

რუსსოს ხსენებაზე პედაგოგიაში რაღაც სასწაული გვეფინება წინ. ასეთი პიროვნება მეტად იშვიათია და ბუნებაც, უეჭველია, ვერ წარმოშობს მეორე რუსსოს. იგი არც მეცნიერი იყო და არც რომელსამე სკოლას ეკუთვნოდა. მისი ცხოვრება არა ამ ქვეყნიურ მოტანტალე კაცის ცხოვრება იყო.

კარლეილის აზრით რუსსო იყო სნეული, მეტად მღელვარე და თავშეუკავებელი ადამიანი, რომლის მთავარ პრინციპს გაუმაძღარი მისწრაფება შეადგენდა და ყველა მისი შეცდომები და უბედურებანი გამოიხატებიან ერთს სიტყვაში—ეგოიზმში. მაგრამ ამ ეგოისტს, ამ მგრძნობიარე ადამიანს ჭ-ნი სტალი მიაწერს შემდეგს ღირსებას: მისი სიტყვით რუსსომ სხვებზე გაცილებით მეტად აამოძრავა დედათა სქესი სათნოების გზისკენ. ამ გაუნათლებელი მოტანტალის წყალობით მთელს დასავლეთს ევროპაში მოხდა ცვლილება, როგორც აზრში ისე საზოგადოებრივ ცხოვრების წესწყობილებაში.

კარლეილმა, მიუხედავად კაცობრიობის სიძულვილისა, რუსსო თავის გმირთა შორის ჩარიცხა და მიანიჭა მას ღირსება—არა ჩვეულებრივი გულწრფელობა გმირისა; ამას დავუმატებ კიდევ რუსსოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამახასიათებელ თვისებას, რომელმაც გახადა იგი ჰენიოსად—ეს იყო მისი მღელვარე ბუნების სიმდიდრე და ჭეშმარიტი სილამაზე.

რუსსო ფრანგი იყო, იმის ძარღვებში სჩქეფდა შვეიცარიელ მთიულის სისხლი. იგი იყო მშვენიერი სულის გამოხატულება, აბსოლუტური დამოუკიდებლობა, თავისუფლება, კმაყოფილება იმისი, რაც ეხება დამოუკიდებელ გრძნობის საქმეს, რაც თავისუფალია,—ამაში იხატებოდა მისი პიროვნება. ეს, შეიძლება, მეტად მშვენიერი ოცნებაა, რომ განხორციელდეს კაცის ცხოვრებაში. რუსსოს ბავშვობა, რომელიც მან გაატარა ბუნების მშვენიერს წიაღში, მალე შეიცვალა ცხოვრების სასტიკ პირობებისა და პროზულ სინამდვილის წყალობით. რუსსო ხედავდა, რომ ბუნების ინსტიქტების სიწმინდე ერთის მხრით გათელილია გარყვნილი ვნებისა და მედიდურობის წყალობით და მეორეს მხრით სოფისტიკური წვრილმანობით და გულცივობით, მან პროტესტის ხმა აღიმაღლა იმის წინააღმდეგ, რაც კულტურისა და ცივილიზაციის სახელით იყო მონათლული. რუსსო იწვევდა კაცობრიობას საზოგადოებისა და კაცობრიობის წესწყობილების ძირიანად შეცვლისაკენ. მისი ფილოსოფიის მთავარი აზრი იყო განთავისუფლება პედანტიურ ზერელე განათლებისაგან, განთავისუფლება ორგულობისაგან, პირობითის ზნეობისაგან, ცუდ საქციელისა და რელიგიისაგან, მონობისაგან და დაბრუნება ადამიანისა ხელოვნურ ცხოვრებიდან ძირითადის ცხოვრებისაკენ, რაც მისი არსებობის თვისებას შეადგენს.

მისი ფილოსოფია დაიწყო უარყოფითი პასუხით იმ შეკითხვაზე, რომელიც მისცა მას საფრანგეთის აკადემიამ: „რას უწყობდა ხელს ხელოვნებისა და მეცნიერების პროგრესი—ზნეობრივს სიფაქიზესა თუ სიწამხდრეს?“ და ეს ფილოსოფია დასრულდა მისი შესანიშნავი თხზულებით „**ემილით**“, რომელშიაც მან გამოსთქვა ისეთი აზრი, რაშიაც იგი ხედავს ერთად ერთს ხსნას გახრწნილ კაცობრიობის გამოსაბრუნებლად.

„ემილი“—ფრიად მედგარი ამოძახილია ბუნების შვილისა, და იმ გავლენით, რაც ამ თხზულებამ მოახდინა კაცობრიობის აზრსა და შემთხვევებზე, ჩვენ ვხედავთ მასში ჰენიოსურ სასწაულს. ეს თხზულება კაცობრიობის აღზრდის ლიტერატურაში იშვიათ საუნჯედ დარჩება. ეს წიგნი, ნეემაიერის სიტყვით „ჰგავს მეტეორს, რომელიც აბრმავებს და გზას ურევს ადამიანს, მაგრამ იმავე დროს აშუქებს ისეთს მხარეს, სადაც ჩვეულებრივი ადამიანის თვალი ვერ მისწვდება“.

ტომას დავიდსონიც კი, რომელიც საზოგადოთ ვერ ეწყობოდა რუსსოს და საკმაოდ ვერ აფასებდა მისს ნაშრომს, იძულებული იყო ეთქვა რუსსოს შესახებ: „იშვიათ ადამიანს ხვდომია წილად თავისი აზრით ასეთი ძლიერი და ღრმა გავლენა მოეხდინა, როგორც რუსსომ მოახდინაო“, იგი იკვლევს იმ გზას, რომლითაც რუსსოს გავლენა მიმდინარეობდა და დასძენს: „საკაცობრიო მოქმედების ყველა დარგი: ფილოსოფია, მეცნიერება, რელიგია, ზნეობა, ხელოვნება, პოლიტიკა, ეკონომია, პედაგოგია,—ყველა ეს გადატრიალებული იქმნა რუსსოს მიერ“.

განსაკუთრებით ეს ითქმის პედაგოგიის შესახებ. რაც ამ ასპარეზზე რუსსომ გააკეთა, იმის შესახებ ოსკარ ბროუნინგი ამბობს: „მან მთლად დაიმორჩილა ამ

ეროვნული

მოქმედების ფარგალი. არაფერი გამოჩენილა მას შემდეგ ისეთი, რაც მას არ გაეკეთებინოს". მეც თამამად შემიძლია ამას დავუმატო, რომ ყველა ჩვენთაგანი, ვინც ეტანება იმ წყაროს, რომელსაც სათავე რუსსოსთან აქვს, უნდა მიჰმართავდეს პირდაპირ იმ ანკარა წყაროს და სარგებლობდეს მისი კეთილმყოფელ სიახლით, უნდა მიჰმართავდეს იმ წმინდა ნაკადულს, რომელმაც ჯონ მორლეის სიტყვით, „ბნელსა და დახშულს სკოლებში სინათლის შუქი და საღი ჰაერი მოჰფინა".

„დაუბრუნდით ბუნებას"! აი მებრძოლი ხმა რუსსოს პედაგოგიისა, მებრძოლი ამოძახილი მთელის მისის ფილოსოფიისა, მთელის მისის სიცოცხლისა.

აი ის ადგილი რუსსოს თხზულებიდან, რომელიც ხშირად მოჰყავთ ციტატებად გასალაშქრებლად აღზრდის ყველა პიროვნებითს საქმეში.

„ყველაფერი კარგია, რაც შემოქმედის ხელიდან გამოდის, ხოლო ყველაფერი ფუჭდება ადამიანის ხელში... ადამიანი ყველაფრის უკმაყოფილოა, თითქმის თავისი საკუთარი ქმნილებისაც. მისი საკუთარი ყლორტი ისე უნდა აღიზარდოს მისთვის სპეციალად, როგორც ცხენებს წრთვნიან ცირკის საჯინიბოში, მისი ფანტაზიით ისე უნდა იზრდებოდნენ, როგორც ხეები მის ბაღში".

ბუნება მისთვის იდეალია, და რომ დაუბრუნდნენ ამ იდეალს, ან დაიცვან იგი, საჭირო არ არის არავითარი აღმზრდელობითი ძალდატანება, რადგანაც „აწინდელს საზოგადოებაში ადამიანს რომ ნება მისცე აკვნიდანვე იხელმძღვანელოს თავისი საკუთარი ლტოლვილებითა და საქციელით, იგი, უეჭველად, თავს დაღწევდა ამ სულელურ კაცობრიულს არსებობას. რაც ადამიანს წმინდა კაცობრიული რამე აქვს თანდაყოლილი, ფუჭდება ისე, როგორც ჩირგვი გზის პირად ხშირ გამვლელთაგან".

შენახვა და განვითარება „აწინდელს საზოგადოებაში ბუნებრივი ადამიანისა" არის მიზანი აღზრდისა. ბუნებრივობაში არ უნდა ვიგულისხმოთ არც პირველ ყოფილი ადამიანი და არც ველური,— რუსსო ამაში გულისხმობს ადამიანის ყველა იმ თვისებას, მისწრაფებას, რაც მემკვიდრეობით თან დაყოლილია, არსებითია და საზოგადო მთელის კაცობრიობისათვის, სულ ერთია ეს თვისებანი თან დაყოლილია თუ შედეგი საზოგადოებაში აღზრდისა. იგი სწერს: „მოვახდინე შედარებით მიმოხილვა სხვა და სხვა ხალხისა და სხვა და სხვა კაცობრიობის კიბის საფეხურებისა, ჩამოვაშორე, სხვა და სხვა ეროვნების, ხალხთა მდგომარეობის ყველა განსაკუთრებული თვისებანი; გავარჩიე მხოლოდ ის თვისებანი, რომელნიც ეკუთვნიან ყველა ადამიანს, ყველა ქვეყნის და საუკუნის ხალხს და ცხოვრების ყველა გარემოებას".

ამ თვალ-საზრისით ჩვენ ვხედავთ, რომ რუსსო ცდილობდა ადამიანის ძირითად ნათესაურ თვისებათა წამოყენებას და ამაღლებას, რაც მის ინსტიქტში, გრძნობებში, აღმაფრენაში და საღ აზროვნებაში გამოიხატებიან. აწინდელი ენით რომ ვსთქვათ ის, რასაც რუსსო ამბობდა, სჩანს, რომ ერთმანეთზე დამოკიდებული ფსიხო-ფიზიკური განვითარება შეადგენს მოზარდთა აღზრდის არსებითს მხარეს.

აღზრდის სამი ფაქტორია: ბუნება, ხალხი და გარემოება. ჩვენი ორგანოები-

სა და ნიჭის ბუნებრივი მოქმედება, რაც დამოკიდებულია ჩვენს ტემპერამენტზე,— ეს ის აღზრდაა, რასაც ბუნება გვაძლევს; სარგებლობა, რომელიც შეიძინება ჩვენი ორგანოებისა და ნიჭის გამოყენებით და რასაც ჩვენ გვასწავლიან,—არის აღზრდა; რომელსაც ადამიანები გვაძლევენ; რასაც ჩვენ შევიძენთ ჩვენის საკუთარის მეცადინეობით, გარშემო არსებულ საგნების შესწავლით, არის გარემოებაზე დამოკიდებული აღზრდა.

ამ სამ ფაქტორთაგან პირველი არ არის ჩვენზე დამოკიდებული, მეორე ჩვენზეა დამოკიდებული, მესამე კი რამოდენადმე ჩვენს კანტროლს ქვეშ არის. ამ სახით რომ მივაღწიოთ ამ სამ ფაქტორთა შორის ჰარმონიას, ჩვენ პირველ ფაქტორს უნდა შევუგუოთ ორი დანარჩენი. ამ სახით ბუნება ე. ი. თვით ბავშვის ორგინიზმის ფსიხო-ფიზიკური კანონი უნდა გახდეს ბავშვის გამდელად და აღმზრდელად. აღმზრდელის დანიშნულებაა ყური მიაპყრას ბუნების ხმას, რომელიც ბავშვში ლაპარაკობს.

ყური მივაპყრათ ბუნების ზოგიერთს ხმას. პირველი მათგანია: „ბუნება მოითხოვს, რომ ბავშვები თავდაპირველად ბავშვებადვე დარჩნენ, სანამ არ წამოიზრდებიან“ და „როცა ამ წესის დარღვევასა ვსცდილობთ, ჩვენ მოგვყავს ნაადრევი ნაყოფი, რომელიც მკვახეც იქნება, უგემურიც და მალეც ფუჭდება“. უფრთხილდით მოზრდილის საზომით ხელმძღვანელობას ნორჩი არსების აღზრდაში, იმიტომ რომ „თითოეულს ასაკს, ცხოვრების თითოეულს მდგომარეობას განვითარებისათვის თავისი საკუთარი საზომი აქვს, განსაკუთრებული სახე სიმწიფისა, რაც შეადგენს შესაფერ წლოვანების თვისებას“. სიცოცხლის მიზანი ამაშია, ჩვენი დანიშნულებაა სრული ცხოვრების გატარება და ამაშივეა ბედნიერებაც. „ცხოვრება მარტო სუნთქვას არ ნიშნავს,—ეს ნიშნავს მოქმედებას ყველა ჩვენი ორგანოების, გრძნობათა და ნიჭთა ბუნებრივს გამოყენებას და საზოგადოთ სარგებლით მოხმარებას იმისას, რაც ადამიანის სხეულშია და რაც ხელს უწყობს ჩვენი არსებობის მეტს შეგნებას. ადამიანი ის არ არის, რომელსაც დიდ ხანს უცხოვრია ქვეყანაზე, არამედ, ვისაც ცხოვრებაში ბევრი გამოუცდია. შეიძლება დაიმარხოს კაცი, რომელსაც ასი წელიც უცხოვრია ამ ქვეყანად, მაგრამ იგი აკვანშივე მკვდარი ყოფილიყოს. ასეთს კაცს ნაკლები უცხოვრია იმ ჭაბუკთან შედარებით, რომელიც ყმაწვილობაშივე მომკვდარა, მაგრამ ცხოვრება სრულად გაუტარებია“. ამიტომაც ნება მიეცით ბავშვს საკუთარის ნამდვილის ცხოვრებისა, „დეე, იზრუნოს ადამიანმა თავის სიცოცხლის ყველა საფეხურზე“.

ამ თვალსაზრისით რუსსო მთელს თავის გულისწყრომას აცხადებს მის დროინდელ აღზრდაზე. იგი ამბობს:

„რა უნდა ვიფიქროთ იმ ბარბაროსულ აღზრდაზე, რომლის დროსაც აწმყო მსხვერპლად შეეწირვის უცნობ მყოფადს, რომლის დროსაც ბავშვი ყოველის მხრით შეზღუდულია, უბედური, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ამზადებენ რაღაც უცნობ ბედნიერებისათვის, რომლითაც ვერას დროს ვერ ისარგებლებს. ვსთქვათ შეუძლებელი მოხდა, შეიძლება შეემთხვეს ისეთი ბედნიერება, მაგრამ როგორ შეგვიძლიან გულაუმღვრევლად ვუყურეთ, როცა საბრალო უდანაშაულო ბავშვებთან იჩენენ აუტანელ სისასტიკეს, შეუწ-

ყველნი ამუშავებენ მაღაროს მუშებსავით, და დარწმუნებულიც არ არიან, რომ ამ გვარი სისასტიკე და შეზღუდვა თავისუფლებისა ოდესმე სასარგებლო იქნება. სიამოვნების და ბედნიერების ასაკს ტირილში, ტანჯვაში, მონობაში და მუდმივ მუქარაში ატარებენ".

თავისუფლება ყველა საღ ნიჭისთვის



ჟან-ჟაკ რუსსო

„ნება მომეცით ახლა განვმარტო ფრიად დიდებული, მეტად საჭირო წესი აღზრდისა. ის იმაში მდგომარეობს, რომ არა თუ დრო მოიგოთ, არამედ, პირიქით დაჰკარგოთ იგი... გონებას ძალა არ უნდა დავატანოთ იმ დრომდი, ვიდრე იგი არ აღიჭურვება ყველა თავისებურის

და საღი სიამოვნება, რასაც გვაძლევს და გვიკარნახებს ბუნება,—ეს არის ძირითადი ამოძახილი რუსსოსი.

მეორე ძირითადი პრინციპი, რასაც რუსსო ჰქადაგებდა და რომლის მნიშვნელობაც ბოლო დროს შეიგნეს,—ეს არის „უსაქმოობით აღზრდა". იგი ამბობს:

ნიჭითა, რადგანაც შეუძლებელია ბავშვმა იგრძნოს სინათლე, რომელიც მის წინ გვიჭირავს, როცა იგი ბრმა არის.

„მიეცით ბავშვობას სიმწიფის დრო. სხვა ნაირად რომ ვსთქვათ, თუ საჭიროა ბავშვისთვის რაიმე აღზრდა, ნუ აჩქარდებით, ნუ მიაწვდით მას დღეს, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშიშრად შეიძლება მისი ხვალისთვის გადადება“

ნუ გეგონებათ, რომ ბავშვი განვითარებას მოკლებულია, როცა მას არ ვასწავლით და არ ვზრდით. „ვიდრე ბავშვი ენას ამოიდგამდეს, ვიდრე რასმე შეიგნებდეს, იგი შესაფერისად უკვე განვითარებულია. ცდა—წინამორბედია აღზრდისა“. არ უნდა გვეშინოდეს, როცა ბავშვის აღზრდას - ბუნებას ვანდობთ და „ვიდრე არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ შემდეგ, ჭეშმარიტი სიბრძნე აღზრდისა უსაქმობაში მდგომარეობს“. ამ სახით რუსსო წინააღმდეგია, რომ ბავშვს ბევრს რასმე ასწავლიდნენ. უმეცრება გაცილებით უკეთესია ზერელე ცოდნაზე და ცრუ წარმოდგენილებაზე. იგი აგრეთვე ილაშქრებს მის დროინდელ ენციკლოპედისტებზე, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ „ქვეყნიერების ცოდნის ყოველის სიმშვენიერით“, და ადარებს მათ „ბავშვს, რომელიც ზღვის პირას სადაფებს აგროვებს. ჯერ ბავშვი აგროვებს იმდენს, რამდენის წაღებაც შეუძლიან, მაგრამ ბოლოს მოტყუებული სხვა სადაფებით, რომელიც უკეთესი ჰგონია, უკუ აგდებს შეგროვებულს და ხელს სტაცებს ახლებს, რომელიც ბოლოს ისევ არ მოსწონს და იმათაც სტოვებს, ბოლოს იქანცება, დაღლილი და დაქანცული სტოვებს ყველა შეგროვებულ სადაფებს და ხელცარიელი ბრუნდება შინ“. ქვეყანაზე ბევრია ისეთი რამ, რომლის ცოდნა ჩვენთვის საჭირო არ არის და შეუძლებელიც არის. უმეცრებაც ისეთივე სათნოებაა, როგორც განათლება. გამოტოვება ჩვენის ცოდნიდან ზოგის მეცნიერებისა, შეიძლება, ისეთივე საჭირო იყოს, როგორც ცდა იმისი, რომ ადამიანმა უფრო მეტი ცოდნა შეიძინოს მეცნიერებისა და კაცობრიობის წინსვლისათვის.

მაგრამ ის განათლება, რომელსაც რუსსო ჰკიცხავს და ის უმეცრება, რასაც ასე მხურვალედ ჰქადაგებს ბავშვებისათვის, უმთავრესად ეხება წიგნურს და სიტყვიერს სწავლებას. რუსსოს შეხედულობით ჭეშმარიტი სწავლა ის არის, რომელიც გამომდინარეობს ცდისა და სინამდვილიდან და რომელიც შედეგია ჩვენი ორგანოების და ნიჭთა ვარჯიშობისა. მხოლოდ ასეთს მოქმედებას შეუძლიან ჩვენი განათლება.

„აუარებელი წიგნები,—რუსსოს აზრით,—მხოლოდ ღუპავს მეცნიერებას. წარმოვიდგინოთ, რომ ის თეორია, რომელიც ამოვიკითხეთ რომელსამე წიგნში, სრულიად საკმარისია, ჩვენ გვგონია, რომ თავის შეწუხება საჭირო არ არის საქმით შევამოწმოთ იგი. მეტად თავგამოდებითი კითხვა მხოლოდ ზერელეობას და უმეცრებას უწყობს ხელს... ეს აუარებელი წიგნები გვავიწყებს ერთის წიგნის—ბუნების არსებობას“.

რასაკვირველია რუსსო დასცინის იმ ბუნების მეტყველებს, რომლებიც ბუნებას კაბინეტში სწავლობენ და თავის ემილს ურჩევს „გაცილებით უკეთესს კაბინეტს, იმ კაბინეტებზე უკეთესს, რომელიც აქვთ მეფეებს, სახელდობრ—მთელი დედამიწის სფეროს“. ასწავლეთ ბავშვებს საგნები, რომელსაც ის ხედავს, ასწავლეთ მისი საკუთარი ცდის საშუალებით. ნურასოდეს ნუ უჩვენებთ აჩრდილს, როცა შეიძლება თვით არსებითის ჩვენება,—ეს არის პირველი წესი აღზრდისა.

დიდებული ფსიხოლოგიური გამოკვლევა რუსსოსი ის არის, რომ მან დაგვანახვა ბავშვის ცხოვრება განცალკევებულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზრდილებთან შედარებით, და გვაჩვენა რომ ბავშვობას ხედვის, დაკვირვების, მიღების და ფიქრის საკუთარი წესი აქვს. იგი ამბობს:

„ჩვენ ბავშვის ადგილას ჩვენი თავის წარმოდგენაც კი არ შეგვიძლიან, არასოდეს არ შეგვიძლიან მათის აზროვნების წესრიგს შევუერთდეთ. პირიქით, ჩვენ ვაწვდით მათ ჩვენს იდეებს და მივსდევთ საკუთარ მტკიცების წესს, თავს ვუჭედავთ ბავშვებს სისულელით და ყოველგვარ არეულობით,—თითქმის იმ შემთხვევაშიაც კი, როცა უეჭველს ჭეშმარიტებას ვამბობთ“.

არც ერთს მწერალს ისე ღრმად არ ჩაუხედნია ბავშვის სულში, როგორც რუსსოს და მრავალი ფაქტი, მის მიერ საკვირველ დაკვირვებით აღმოჩენილი, სისტემატიური გამოკვლევის წყალობით ამ დარგში, მხოლოდ ახლა სჩანს ჭეშმარიტებად. შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ რუსსომ პირველმა აღმოაჩინა ბავშვობა, მან ბავშვის შესწავლაში მეცნიერებას წინ გაუსწრო.

მეორე დიდებული აღმოჩენა რუსსოსი, რომელსაც კავშირი აქვს ზემო ნათქვამთან, იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვის ბუნებრივს აღზრდაში არსებობს საფეხურები, რომელსაც აღზრდა უნდა შეეგუოს. კომენსკი წინად აღზრდის ასაკს ჰყოფდა რამდენსამე პერიოდათ: ფიზიკური აღზრდის პერიოდი და სხ. და საჭიროდ მიაჩნდა მას თითოეულის პერიოდისათვის განსაკუთრებული აღზრდა. მაგრამ კომენსკის დაყოფა ხელოვნური იყო და საკამათო, მაშინ როდესაც რუსსოს დაყოფა დაფუძნებულია ბავშვის სხეულისა და გონების ნამდვილ განვითარების სასტიკ დაკვირვებაზე და მართლაც საოცარია იმ დასკვნათა სისწორე რუსსოსი, რომელიც მტკიცდება აწინდელის მეცნიერებით.

პირველი ხანა ადამიანის ცხოვრებისა იწყება დაბადებიდან და სრულდება იმ დროს, როცა ბავშვი ჭამასა და სიარულს შეეჩვევა. განსაკუთრებით ამ ხანაში უფრო საჭიროა დაცული იქმნას პრინციპი აღმზრდელის ხელუხლებლობისა, ბავშვი სრულიად უნდა მივანებოთ ბუნებრივ განვითარებას. ბავშვის ფიზიკური აღზრდა სრული თავისუფალი უნდა იქმნას. რუსსო დაბეჯითებით ამბობს, რომ დედებმა თვითონ უნდა ატარონ თავიანთი შვილები. ამბობენ—ეს დაბეჯითებითი მოთხოვნილება რუსსოსი არისტოკრატიულს ოჯახში მოდად გადაიქცა, დედებს თავიანთი შვილები ბალებში და კრებებზედაც დაჰყავდათო.

„ზოგი დედები, დედები კი არა, ნამდვილი ველურები არიან—თავიანთ შვილებს საკუთარის რძის ნაცვლად აწვდიან სხვა საზრდოს, რომლისგანაც ბავშვი პირს იბრუნებს, რადგანაც დედის სინაზე და ზრუნვა არავისგან და არაფრით არ შეიცვლება... და თუ გნებავთ კაცობრიობა დაუბრუნდეს თავის ბუნებრივს მოვალეობას, თავდაპირველად დაიწყეთ ოჯახის დედებიდან. ძლიერ გაგაკვირვებთ ის ცვლილება, რაც ამას მოჰყვება. თითქმის ყველა სიწამხდრე ამ წყაროდან გამომდინარეობს; ზნეობრივი წესი იშლება, ჩვენს გულში ბუნებრივი სიმშვიდე ჰქრება; ჩვენი ოჯახი არა ისეთი საყვარელი და მიმზიდველია; აღტაცებით ჭვრეტა იმისი, თუ როგორ იზრდება ოჯახი, არ იტაცებს მეტად არც ქმარს, არც სტუმარს; დედაც ისეთი პატივსაცემი არ არის, როცა მას გარშემო შვილები არ ახვევია; მაშინ ოჯახური კავშირიც დარღვეულია და ველარას არკვევ,

არ იცი სად არის მამა, სად დედა, ძმები, დები, ბავშვები; ამათაც არ ეყვარებათ ერთმანეთი და ვერც გაიგებენ თუ რისთვისაა სიყვარული საჭირო, თითოეული მათგანი მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს. და როცა შინაური კერა ასეთს სამწუხარო სურათს წარმოადგენს, მაშინ, რასაკვირველია, გასართობს სადმე სხვაგან ეძებენ".

ეს საყვედური, რასაც რუსსო აღიარებდა მის დროინდელ არისტოკრატულ ცხოვრების პირობების გამო, საბედნიეროდ ახლა თითქოს არ არსებობს, მაგრამ ის მოწოდება რუსსოსი, მიმართული ოჯახის უფროსისადმი, მთლად საჭიროა ჩვენი შთამომავლობისთვისაც:

„ვისაც არ შეუძლიან მამის მოვალეობა აასრულოს, არც შეუძლიან მამად გახდეს, და ვერაფერი: ვერც სიღარიბე, ვერც საქმეები, ვერც თავის თავზე ზრუნვა ვერ გაამართლებს იმას, რომ მშობლებმა ხელი აიღონ თავიანთ შვილების გამოკვებაზე და აღზრდაზე".

თუმცა ჩვენი მოვალეობაა ბავშვების მიშველება, მიწოდება ყველა უსაჭიროესისა, ვიდრე ფიზიკურად უმწეონი არიან, მაგრამ „ყოველი დახმარება დაფუძნებული უნდა იყოს ნამდვილ სარგებლობის მოსაზრებაზე და არასდროს არ უნდა წავაქეზოთ ბავშვის სისუსტე, ეგოიზმი". პრინციპად უნდა გახდეს: „მივცეთ ბავშვს რაც შეიძლება მეტი ჭეშმარიტი თავისუფლება და ნაკლები ბრძანება გავსცეთ; ნება მისცენ ბავშვებს, რაც შეიძლება, მეტი დრო ჰქონდეთ თავისუფალ მოქმედებისათვის და ნაკლებ მოითხოვდნენ სხვებისგან რასმე". ამ სახით ბავშვები თან და თან შეეჩვევიან თავიანთი სურვილის თავიანთ ძალებთან და ნიჭთან შეგუებას და საჭიროებასა და მის დაკმაყოფილების შეფარდების შორის ჰარმონიაც დამყარდება. ამ ჰარმონიის უქონლობა ადამიანის ცხოვრების უბედურობის წყაროს შეადგენს.

რუსსო ამბობს აგრეთვე იმის უსარგებლობაზე და თითქმის მავნებლობაზედაც, როცა ბავშვებს აძლევენ განსაკუთრებულ მზამზარეულ სათამაშოებს და ცდილობენ ადრე ამოადგმევინონ ენა.

ახლა ჩვენ მივუახლოვდით იმ ასაკს, რომელსაც ბავშვობა ეწოდება და რომელიც იწყება ენის ამოდგმიდან მომწიფების დაწყებამდის. ბავშვს უკვე ესმის, რა არის ბედნიერება და უბედობა. ამ ხნიდან ბავშვი უნდა განვიხილოთ, როგორც ზნეობრივი არსება". თუ წინა საფეხური ის ხანა იყო, როდესაც ბავშვი იზრდებოდა მარტივად, თავისი ბუნებრივის ზრდით, მაშინ ეს შემდეგი საფეხური იქნება პირდაპირ აღზრდისა და არა სწავლების ხანა. ბავშვი—ეს გრძნობიერი არსება, ამ დროს ნამდვილ აქტიურ მოქმედებაშია, მხოლოდ აზროვნება კი მცირე აქვს. ეს ხანა საუკეთესოა ჩვეულებათა შესათვისებლად. ჩვენს პრინციპს ამ ხანაში უნდა შეადგენდეს: „დროს დაკარგვა" ცოდნისა და წარმოდგენილებათა შეძენის შესახებ,—ნურას ასწავლით, თუ შეგიძლიათ", ამ დროს ეს უნდა შეადგენდეს თქვენს დევიზს. ბავშვის მოქმედება ამ დროს ერთად ერთი აღმზრდელია მისი, ჩვენი საქმეა მხოლოდ ამ მოქმედების მიმართვა შეუზღუდველად. ვისაც ეს გააოცებს, იმას რუსსო ეუბნება:

„როცა ბავშვი თავის დროს თავისუფლად და ბედნიერად ატარებს, განა ეს

არაფრის კეთებას ნიშნავს? ცეკვა, სირბილი, მთელი დღე თამაშობა—განა ეს არაფრის კეთებაა? დაენდვეთ ბავშვებს, ისინი თავის ცხოვრებაში სულ ასე გართულნი არ იქნებიან“.

ბავშვის მდგომარეობას, რომლის განუვითარებელი გონება მუდამ გართულია და აღმზრდელის მიერ შევიწროებული, რუსსო ადარებს ისეთს კაცს, რომელიც სიხარბეს იჩენს მუშაობაში, ძილზედაც უარს ამბობს და განუწყვეტლივ მუშაობს. „ბავშვობა—გონების ძილია“;—ვინც ამას უსპობს ბავშვს, იგი მას სიკვდილს უსწრაფებს.

„მოჩვენებული სიადვილე, რომლითაც ბავშვები იძენენ სწავლას, ხელს უწყობს ამ ცრუმორწმუნოების განმტკიცებას და თუმცა ჩვენ ვერ ვამჩნევთ ამას, მაგრამ იმავე დროს ცხადათ მტკიცდება, ის, რომ ბავშვები ვერაფერს სწავლობენ... ბავშვი სიტყვებს იხსოვნებს, მაგრამ მისი აზრი სადღაც შორს გარბის. ის, ვისაც ესმის ბავშვის სიტყვები, გაიგებს მათს მნიშვნელობას, მაგრამ თვითონ ბავშვს კი არ ესმის“.

„რას ეგვანება, თუ თქვენ აღბეჭდავთ ბავშვის გონებაში მთელს რიგს ნიშნებისას, რომელსაც მისთვის არავითარი მნიშვნელობა აქვს? პირველი გაუგებარი საგანი, რაც ბავშვს არ ესმის, და რაშიაც თვითონვე დარწმუნებული არ არის და რასაც სხვისი რწმენით მიიღებს, ჰკარგავს თავის—შეგნების ნაწილს. დიდხანს ბავშვი გამოლენჩებული დარჩება, სანამ არ აღადგენს თავის დიდს დანაკარგს“.

რადგანაც მეცნიერება სიტყვების ცოდნაში არ გამოიხატება,—ბავშვებისათვისაც არ შეიძლება ესრედ წოდებული განათლება. რუსსოს მოწაფეს ემილს „12 წლისას არც კი ეცოდინება წიგნების არსებობა“. რუსსოს აზრით კითხვა მთელი წამებაა ბავშვებისათვის. „კითხვა ბევრი არაფერია მათთვის, პირიქით იგი ჰბადებს მათში ზიზღსა და ისეთს დაღლილობას, რომ დიდხანს აღარ წაიკითხვენ, სანამ არ დარწმუნდებიან იმის სარგებლობაში, რასაც კითხულობენ“. რაც შეეხება წერას, რუსსო ამბობს, რომ, მას რცხვენიან კიდეც ილაპარაკოს ასეთს უბრალო საგანზე.

მეორეს მხრით საჭიროა ბავშვის მიმზიდველი და მიმღები ნიჭი მიმართონ სულ სხვა საგნისკენ, ვიდრე კითხვისაკენ. იმის ნაცვლად, რომ წერა-კითხვა ასწავლონ ბავშვებს, უმჯობესია ისარგებლონ ყოველ გვარ შემთხვევით, რომ ბავშვებმა შეიძინონ, შეასწორონ, გააფართოონ ის ცდა, რაც მათ მიუღიათ გრძნობათა საშუალებით.

„ყველაფერი, რასაც ბავშვი ხედავს და ისმენს, უცხოდ ეჩვენება მას და ცდილობს ყველა ეს აღბეჭდოს თავის მეხსიერებაში. ბავშვი აღიბეჭდავს თავის გონებაში მის გარშემო არსებულ პირთა ყოველ გვარ მოქმედებას და ლაპარაკს. ყოველგვარი მოქმედება, რომელშიაც თვითონ ბავშვი იღებს მონაწილეობას, მისთვის წიგნია, რომლიდანაც თვითონვე შეუმჩნეველად იმდიდრებს მეხსიერებას, იძენს თავისთვის საუნჯეს იმ დრომდის, ვიდრე მისი მსჯელობა მომწიფდებოდეს ჯ ყველაფერი, ამდენს ხანს შეძენილი, მისთვის მონაგებია. და აი ამ მოქმედებათა, საგანთა არჩევისა და ზრუნვის დროს მიაწოდეთ ბავშვს ისეთი საგნები, რომელიც მან უნდა გაიცნოს და მოაშორეთ ისეთი, რასაც შეუძლიან არა სასურველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შთაბეჭდილება მოახდინოს; ეს არის ჭეშმარიტი ხელის შეწყობა ბავშვის პირველ დაწყებით ნიჭთა განვითარებაში. ამ საშუალებით უნდა ვცდილობდეთ ბავშვს გავუმდიდროთ ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს მის განათლებას სიჭაბუკეში და ანგარიშსაც გაუწევს მომავალში მის საქციელს. მართალია ამ მეთოდს არ შეუძლიან რაიმე სასწაულის მოხდენა ბავშვის მიერ მეცნიერების შეძენაში და ვერც მოიყვანს აღტაცებაში მასწავლებელს, მაგრამ ეს არის ერთად ერთი გზა საღის და საღად მოაზრე ადამიანის აღზრდისათვის, სულით და სხეულით საღ ადამიანთათვის, რომელნიც მართალია, სანამ პატარები არიან სხვებს აღტაცებაში ვერ მოიყვანენ, მაგრამ იციან, როგორი პატივისცემით უნდა მოეპყრან სხვებსაც, როცა წამოიზრდებიან".

„იმ დროს განმავლობაში, როცა ბავშვის ნაზი და მოქნილი ორგანოები იმდენად მორჩილია, რომ შეიძლება მოახდინო სხეულზე ყოველგვარი ცდა, სანამ ბავშვთა გრძნობანი ჯერ კიდევ თავისუფალია ილუზიებისაგან,—ჩვენ უნდა ვავარჯიშოთ ყველა ორგანოები ბუნებრივის მოქმედებით; ამ დროს ჩვენ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს ნივთთა დამოკიდებულობის მიმღეობა. რადგანაც ყველაფერი, რაც ადამიანის შეგნებაში შედის, მიმდინარეობს გრძნობათა საშუალებით, ამიტომ ადამიანშიაც პირველი სახე მჯელობისა არის გრძნობითი მსჯელობა და ეს არის საფუძველი გონებრივი მსჯელობისა. პირველი მასწავლებელი ფილოსოფიაში—ჩვენივე ფეხებია, ხელები და თვალები. როცა ამათ წიგნზე შევცვლით, ჩვენ გონებას არ ვავითარებთ, არამედ ვკმაყოფილდებით სხვისი მსჯელობით. მართალია, ჩვენ ვეჩვევით მრავალგვარს რეცენას, მაგრამ ცოდნით კი არა ვიცით რა".

პირველ ხანაში აღმზრდელი მხოლოდ ეგუებოდა ბავშვის ორგანიზმის მოთხოვნილებას, ამ მეორე ხანაში კი ეგუება იმას, რაც ბავშვს გარშემო არტყია. ვიწრო ურთიერთობა მუსიკულებისა და გონების განვითარების შორის უდიდესი აღმოჩენაა აწინდელს მეცნიერებაში. გასაოცარია თუ რა გენიალურ შორს მჭვრეტელობას იჩენს ამ მხრით რუსსო. ეგი სწერს:

„საშიშარი და დამღუპავი შეცდომაა, თითქოს სხეულის განვითარება გონების მოქმედებას ხელს უშლიდეს, თითქოს ორივეს მოქმედება შეუფერებელი იყოს, თითქოს ერთის მოქმედება არ შველოდეს მეორეს".

„როგორც კი გრძნობიერი არსება მომქმედი ხდება, იმის თანახმად, ბავშვიც ეჩვევა თავის სხეულის ნიჭთა პროპორციონალურ გარჩევას. და როცა ის აღმოაჩენს უფრო მეტს განსხვავებას, რაც საჭიროა თავის დაცვისათვის, მხოლოდ მაშინ, ამ მეტნაკლებლობის დროს და არა ადრე, ბავშვს გაუვითარდება სპეკულიატიური (განყენებულ აზროვნებითი) ნიჭი, რაც საჭირო იქნება მისი ფიზიკურ ნიჭთა გამოსაყენებლად".

„ამ სახით ჩვენი სხეულის ნაწილები და ორგანოები, ეს იარაღები ჩვენის გონებისა, რომ უკეთ გამოვიყენოთ, საჭიროა მტკიცე და საღი სხეული, რომელიც მათ ასაზრდოებს".

რუსსო ჰქადაგებს ბავშვის ძალთა ბუნებრივს აღზრდას ჰაერზე თავისუფალ თამაშობით და ეს მას მიაჩნია ნამდვილ საფუძვლად გონებრივ აღზრდისათვის. მხოლოდ ასეთი აღზრდა ხელს უწყობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონებრივს ძალას და იმავე დროს ჩვენი ცდისა და ცოდნის ფარგალსაც აფართოვებს: „იგი გვასწავლის გავეცნოთ ჩვენთა ძალთა შესაფერს მოქმედებას, ჩვენი სხეულის გარშემო მოწყობილობასთან შეფარდებას, სარგებლობას იმისას, რაც ჩვენთვის მისაწვდომია და რაც შეესაბამება ჩვენს ორგანოებს". ამას გარდა თამაშობა კარგია, ემოციონალური კულტურაა, რაც ჩვენ შეგვიძლიან ბავშვს მივსცეთ, იმიტომ რომ გულის შეწონვა, ჰარმონია წარმომდინარეობს სურვილთა და მათი დაკმაყოფილების ნიჭთა შეხამებიდან, ამას კი მივაღწევთ ბავშვის ინსტიქტიურ საღ და სრულ მოქმედებით.

ამ გზით შეიქმნება ბავშვი სრულად განვითარებული; იგი არ წარმოადგენს ახალგაზდა პრო-ფესორს და ან ბებერ ბავშვს, რომელიც ჩვენშიაც ბლომად არიან. ასეთი ყმაწვილი სრულს ადამიანსვერ წარ-მოადგენს, არამედ სრულს ბავშვს და ეს კი სულ სხვაა.

„მისი მოყვანილობა და საქციელი გვეუბნებიან რწმენაზე და კმაყოფილებაზე; მისი პირისახე—ჯანსაღობის სურათს წარმოადგენს; მისი მტკიცე ნაბიჯი ძალისა და ჯანსაღობის გამომხატველია; მისი ტანის მოყვანილობა ნაზია, მაგრამ ფერმკრთალი არ არის, არ გალურჯებულა, არც განებივრება ეტყობა, მზესა და ქარს მის კანზე აღუბეჭდია მისი სქესის ვაჟკაცური ფერი; ფუნჩულა პირისახეს უკვე განსხვავება ეტყობა; თვალებსაც, თუმცა გრძნობათა სიმხურვალეარ აღელვებს, მაინც ეტყობა ბუნებრივი სინამდვილე, მათში არა სჩანან სიმძიმე და მწუხარება, რაც შედეგია ზრუნვისა და შეწუხებისა, ლოყებზე არ ეტყობა განუწყვეტელთა ცრემლთა კვალი. პირიქით, ყოველს მისს ცოცხალს მოძრაობაში თქვენ დაინახავთ მისი ასაკის სიცხოველეს, მისი დამოუკიდებლობის სიძლიერეს და იმ გამოცდილებას, რაც მას შეუძენია სხვა და სხვა ვარჯიშობათა წყალობით, რაშიაც მას მონაწილეობა მიუღია. მას გაშლილი თავისუფალი შეხედულობა აქვს, მოკლებული მორცხვობას და მედიდურობას. იგი მოკუზული არ ეჯდა წიგნებს, თვალი დახრილი არ ჰქონდა, თქვენ არ დაგჭირდებათ მოაგონოთ თავი მაღლა დაიჭიროს, ნუ შეგეშინდებათ, იგი თავს ძირს არ დახრის".

რაც შეეხება მისს გონებას:

„მისი წარმოდგენილებანი, მართალია, შემოფარგლულია, მაგრამ ცხადია. თუმცა მას არაფერი გაუზეპირებია, მაგრამ თავის გამოცდილებიდან ბევრი რამ იცის ცხადად. თუ მას დაბეჭდილ წიგნებიდან, სხვა ბავშვებთან შედარებით, ცოტა ამოუკითხავს, სამაგიეროდ გაცილებით ბევრი წაუკითხავს დაუბეჭდავ წიგნში—ბუნებაში. მისი შეგნება მოქცეულია არა ენაში, არამედ გონებაში. მისი მეხსიერება ისე არ არის განვითარებული, როგორც მსჯელობა, მას შეუძლიან ლაპარაკი მხოლოდ ერთს ენაზე, მაგრამ სამაგიეროდ კარგად ესმის ის, რასაც ლაპარაკობს, თუმცა სხვასავით კარგად მსჯელობა არ ეხერხება, მაგრამ ის გააკეთებს რაც საჭიროა სხვებზე უკეთესადაც".

ასეთი ბავშვი არ არის გარეგან ავტორიტეტის და დაბეჭდილ სიტყვების აჩრდილი, არამედ სულის და სიცოცხლის სრული გამოხატულობაა.

„ასეთი ბავშვი მუშაობს, თუ თამაშობს, სულ ერთია; ამათში განსხვავებას ვერ პოულობს,—მისთვის ორივე ერთია: მისი გართობა მისსავე მეცადინეობას შეადგენს და პირიქით. რასაც კი აკეთებს, ყველაფერში ხალისი ეტყობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის ეს სასიამოვნოა, მას იგი თავისუფლად ასრულებს, იგი ყველა სამუშაოში თავისს ნიჭსა და ცოდნას იჩენს“.

მომწიფებამდის ბავშვის მთელი სიცოცხლე „სისუსტის განუწყვეტელ ჯაჭვს“ წარმოადგენდა. მას საკმარისი ძალა არ ჰქონდა პასუხი მიეცა ყველა იმ საჭიროებისა და მოთხოვნილებისათვის, რაც შინაგან იმპულსიდან წარმოიშობა. ეს იყო ენერგიის შეკრების ხანა. ახლა იწყება ენერგიის გადაჭარბების ხანა. ის ნიჭი, რაც მას ამ ჟამად, აქვს აღემატება მის საჭიროებასა და მოთხოვნილებას. „როგორც ადამიანი რომ განვიხილოთ, ამისთვის იგი ჯერ სუსტია, როგორც ბავშვი კი ჩვეულებრივზე უფრო ძლიერია“. ეს ადრეული სიჭაბუკის ხანა „შეიცავს მისი ცხოვრების უძვირფასესს დროს,—ისეთს მომენტს, რომელიც არასოდეს არ დაბრუნდება, ასეთი დრო ცოტაა, სწრაფ წარმავალი, ამიტომაც მეტად უძვირფასესია“.

ახლა ბავშვი პირველად თავისუფლდება დაუყოვნებლივის აწმყოის საჭიროებისაგან და შეუძლიან სხვა რამე ეძიოს, გარდა იმისა, რომ იცავს თავისთავს დამოუკიდებლად. ამის გამო „იგი თავისი აწმყო არსებობის სიმეტეს მომავლისათვის გადასდებს, ძლიერი ბავშვი უნდა ზრუნავდეს სუსტი კაცის ხელის შეწყობასაც. რომ შეუგუოს თავისი შენაძენი თავის თავს, იგი სარგებლობს თავისი საკუთარი ხელის ძალლონეს და სიმარდეს და საკუთარი გონების ნიჭსაც. ახლა დრო დგება მეცადინეობისა, სწავლისა და მეცნიერების შეძენისა“. წარსულში მას დრო უნდა დაეკარგა. „ახლა ყველაფერი შეიცვალა, ახლა დროც საკმარისი არ არის, რომ გააკეთოს ყველაფერი სასარგებლო და საჭირო“. ახლოვდება სულიერ ქარიშხლის მომენტი, „დრო თავგამოუდებელი მსჯელობისა მოკლეა და გარდამავალი“. მაგრამ ხელოვნება ხანგრძლივია. ამიტომად ჩვენს პრინციპს უნდა შეადგენდეს „არა შეგუება ბავშვებისა მეცნიერებასთან, არამედ ხალისისა და გემოვნების შთანერგვა მეცნიერებისადმი და გზის ჩვენება გასავითარებლად“. რაც შეეხება თვით საგნებს და მათი შესწავლის წესებს, ამისათვის მაგალითად უნდა გვქონდეს ჩვენი საკუთარი მიდრეკილებანი და ინტერესები. რუსსოს თანახმად, ჩვენი გონებრივი ცნობის მოყვარეობა და ძალები, როგორც ფიზიკური ნიჭნი, მოძრაობენ ერთის ძირითადის ინსტიქტის გამო: მუდმივ ბედის ძებნა და უბედობის თავიდან აცდენა. „ჩვენი შინაგანი სურვილი ბედნიერებისა და მისი სრულიად დაუკმაყოფილებლობა მიზეზია მუდმივ ცდისა და ყველა იმის გამოძიებისა, რაც ამას ხელს უწყობს“. სხეულის განვითარებასთან, მისი ძალისა და სურვილების გაბევრებასთან ინტელექტური ინტერესების ფარგალიც ფართოვდება. ბავშვობის სისუსტის დროს ყველა ჩვენი აზრები, რომლითაც თავის დაცვა ხელმძღვანელობს, ჩვენს კენ არის მომართული. პირიქით, უფრო მომწიფებულ ასაკში, როცა ჩვენი ძალები და ნიჭნი ზრდაშია, ჩვენი იდეები, ცნებები შესაძლებელ ფარგლამდის აღწევენ, ფართოვდებიან, მაგრამ რადგანაც ქვეყნიერება ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია, ჩვენი აზრები ვერ განეფინება იმაზე შორს, რის დანახვაც შეგვიძლიან, მაგრამ ეს აზრები ამ სივრცის ფარგალთან ერთად ფართოვდება“. აი ის ასაკი, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ, ამიტომაც პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი მეცნიერება, რომელიც უნდა შევისწავლოთ—ფიზიკური მეცნიერებაა, ბუნების ყველა მოვლენათა შესწავლაა.

რაც შეეხება საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის წესს, რუსსომ პირველმა მთელის ჭეშმარიტებით და სისრულით განახორციელა ბეკონის პრინციპი პედაგოგიაში. მისი აზრით ბავშვს უნდა შეასწავლონ კონკრეტული ნივთი, ცოცხალი ბუნება, საკუთარის ხელებით, თვალებით, ექსპერტის ხელმძღვანელობით, რომელმაც ბავშვის ბუნებაც ისე კარგად უნდა იცოდეს, როგორც გარშემო არსებული ბუნება. და თუმცა შეიძლება ეს იდეები ზოგს შეუძლებლად და ცალმხრივად ეჩვენოს, მიუხედავად ამისა, ეს გზა მაინც სრულიად საღი და საკეთილოა ჩვენი დროისათვის, როცა მეცნიერების შესწავლა სხოლასტიკისა და სიტყვების რახარუხის მორევშია ჩაფლული.

„თავდაპირველად,—ამბობს რუსსო,—უნდა მოვიფიქროთ, რა უნდა მივაწოდოთ ბავშვს, რა უნდა ისწავლოს მან. ეს მისი საქმეა—სურდეს სწავლა, ეძიოს ცოდნა, იპოვოს იგი; თქვენი საქმეა ხელოვნურად აღუძრათ ეს ინტერესები და სურვილები, ხელი შეუწყოთ სასურველ საგნების პოვნაში და მიაწოდოთ ყველა საშუალებანი ცოდნის შესაძენად“.

„მიჰმართეთ თქვენი მოწაფის გულისყური ბუნების მოვლენებისაკენ და მალე აღუძრავთ ცნობის მოყვარეობას. მაგრამ ამ ცოდნის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სიჩქარე საჭირო არ არის. თქვენ მიეცით ბავშვს მისი ძალღონისა და ნიჭის შესაფერი კითხვები და ნება მიეცით თავისთავად თავისუფლად გადაწყვიტოს იგი. ნებას ნუ მისცემთ მიიღოს რამე სხვისი რწმენით, არამედ თვითონ გადასწყვიტოს თავისის საკუთარის რწმენითა და მსჯელობით. თვითონ კი არ უნდა სწავლობდეს, არამედ აღმოჩენებს უნდა ახდენდეს მეცნიერებაში. თუ თქვენ ავტორიტეტით ისარგებლებთ და არა დამტკიცებით, იგი მაშინვე ხელს აიღებს მსჯელობაზე და შემდეგაც საქმე უფრო გაფუჭდება; ბავშვიც თუთიყუშივით დაიწყებს იმის გამეორებას, რასაც სხვები ლაპარაკობენ“...

მეცნიერების განყენებული მხარე ბავშვებისათვის სრულიად არ ვარგა, თითქმის მაშინაც კი, როცა ისინი სიჭაბუკეს მიუახლოვდებიან... „ბუნების კანონების გამოკვლევის დროს დაიწყეთ ყოველთვის ჩვეულებრივის და ადვილად მისაწვდომ მოვლენათაგან და მიაჩვიეთ, რომ, ბავშვებმა უცქიროონ მათ, როგორც მარტივს ფაქტებს“.

სკოლაში სწავლების ზერელეობისა და სხვა ნაკლულევანების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ გვინდა ბავშვებს, რაც კი შეიძლება, მცირე ხანში მეტი მეცნიერება შევასწავლოთ, ამას თავის თავად მოჰყვება აუცილებლობა ზერელე სწავლებისა, რადგანაც ანგარიშს არ უწევენ არც ბავშვის ინტერესს და არც მისს გამოცდილებას. ჩვენ გვჯერა, რომ საჭირო ახსნისა და განმარტების წყალობით ბევრს შევასმენთ ბავშვებს. მაგრამ ეს საქმეს სრულიად არ შველის. რუსსო ამბობს:

„სრულიად არ მოვდივარ აღტაცებაში განმარტებითი კითხვებით და სიტყვებით. ბავშვი სრულიად არ აძლევს მას მნიშვნელობას და არც მეხსიერებაში ინახავს იმას, რაც აუხსნეს. უკეთესი განმარტება თვითონ ნივთია. მე არ გავიმეორებ, რომ ჩვენ ძლიერ ბევრს ყურადღებას ვაქცევთ სიტყვებს. ჩვენის

ყბედობით და სიცრუით შეგვიძლიან მხოლოდ ყბედები და მატყუარები აღვზარდოთ“.

ბავშვის სამუშაოში წახალისება ე. ი. მუშაობის სარგებლობის შეგნება ხდება აღზრდის ამ საფეხურზე. რაკი იმდენად წინ წავიწიეთ, რომ შეგვიძლიან ბავშვს შევაგნებინოთ სიტყვა **სასარგებლო**, მაშასადამე ჩვენ შევძლებთ მოწაფის მომავალს საქციელზე შესამჩნევი გავლენა მოვახდინოთ. ეს სიტყვა მისთვის საკვირველი იქნება, თუ მივიღებთ მხედველობაში მისს ხმარებას წლოვანებასთან შედარებით. ბავშვი ცხადათ უნდა ხედავდეს ამ სიტყვის ან ცნების აზრს და მისს დამოკიდებულებას მისს ნამდვილ ბედნიერებასთან“. უნდა გვახსოვდეს, რომ სარგებლობა განხილული უნდა იქმნეს არა ჩვენისა, არამედ ბავშვის თვალსაზრისით. „ბავშვმა იცის, რომ ის უნდა გაიზარდოს, მიაღწიოს მოწიფულობამდის; ყველაფერი, რასაც იგი ამის შესახებ გაიგებს და წარმოდგენილებანი, რომელთაც იგი შეადგენს ამ ასაკში, ხელს შეუწყობენ ბავშვის განათლებას. მაგრამ ის, რის შესახებაც მას არ შეუძლიან შეადგინოს ცხადი წარმოდგენილებანი, უკეთესია მისთვის უცნობივე დარჩეს“.

რუსსოს აზრით ადრეულ ჭაბუკობის დროს ბავშვისათვის ისტორიისა და ზნეობრივი მეცნიერების სწავლება უადგილოა. ბავშვის ინტერესი ჩაქსოვილია იმ საგნებში, რასაც ბუნება იძლევა და არა ხალხში და საზოგადოებაში.

ემილი ასე იყო აღზრდილი ადრე ჭაბუკობამდის—„მას მცირე ცოდნა ჰქონდა, მაგრამ რაც კი იცოდა, მისს საკუთრებას შეადგენდა... მას უნივერსალური ნიჭი ჰქონდა, არა ყველაფრის ცოდნის მხრივ, არამედ ცოდნის შეძენის ნიჭის მიხედვით; გონიერი გენიოსი ეგუებოდა ყველაფერს, და თუ, მონტენის თქმისა არ იყოს, ყველაფერი არ იცოდა, ნიჭი მაინც ჰქონდა ყველაფრის შესწავლისა“.

რუსსოს სიტყვით, ეს საუკეთესო იარაღია ყმაწვილებისათვის, ვიდრე ყველაფრის ზერელე სწავლა სრულს ნაყოფვანებამდის. ზნეობის მხრით ბავშვი ჯერ კიდევ ცხოველია, იგი თავის ინსტიქტით და იმპულსით ხელმძღვანელობს; თუ კი უკანასკნელნი გაუფუჭებელია ჩვენ მიერ ხელოვნურად, მაშინ ისინი ჰარმონიულ გრძნობათ გადიშლებიან.

ახლა ჩვენ ვუახლოვდებით ქარიშხლისა და ძალდატანების ხანას, „თავისის თავის იმედის ხანას“, რომლის საალმზრდელო მნიშვნელობა დიდია, ამას კი მცირე ყურადღებას აქცევენ.

„როგორც ზღვის ღელვა ქარიშხალს უსწრობს, აგრეთვე ვნებათა ჩოჩქოლი გვამცნევს ამ ქარიშხლიან რევოლუციის შესახებ. ქაფიანი ტალღა გვეუბნება საშიშროების მოახლოვებას. გუნების ცვლილება, ხშირი გულის მოსვლა, გონების მუდმივ ამღვრევა, მოწაფეს თვითნებობას აჩვევს. იგი ყურს იყრუებს დამრიგებლის სიტყვებზე. როგორც განრისხებული ლომი ბრაზობს თავის აღმზრდელზე, არ სურს დამორჩილება“.

„ამ ცვლილების ზნეობრივ თვისებას, გუნების ამღვრევას თან ახლავს პიროვნების შეცვლაც. ასეთი ყმაწვილის სახის მოხაზულობა დამახასიათებელ თვისებებს ღებულობს. რბილი ნიკაპი უმაგრდება. ხმაშიაც ცვლილება ეტყობა; ან მკვახეა, ან წრიპინებს,—ჯერ დავაჟკაცებას უკლია, მაგრამ არც ყმაწვილია. თვალები, გონების სარკე, დღემდის გამომეტყველებას მოკლებული, ლაპარაკს იწყებს. ცოცხალი, ცეცხლით ანთებული მხედვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა, თუმცა უფრო გამომეტყველია, მაგრამ ჯერ კიდევ წმინდა და უბიწოა, თუმცა თვალებმა უკვე დაჰკარგეს ძველი სიმკრთალე. იგი უკვე გრძნობს გამომეტყველების ძალას... იგი თავის საგრძნობს უფრო ადრე შენიშნავს, ვიდრე გაიცნობდეს, ან იგრძნობდეს. შფოთავს, სწუხს, არ იცის კი ამის მიზეზი".

ახლა იწყება ადამიანის მეორედ დაბადება. „ამ საფეხურზე კაცი მართლა იბადება ცხოვრებისათვის და შედის ადამიანის ბუნების ძალის სამფლობელოში". ეს განთიადი სქესობრივი ცხოვრებისა არის საზოგადოებრივი **მე**-ს დაბადება: ახლა იწყება ზნეობრივი დამოკიდებულება კაცთა შორის. აქამდის ცხოვრების ერთად ერთი ნამდვილი მიზანი იყო თავისთავის სიყვარული, ახლა ჩნდება სხვა **მე**-ს სიყვარულიც და თუ ეს კარგად იქმნა ჩატარებული, უფრო და უფრო ფართედ განეფინება. დადგა დრო, როცა უნდა შეისწავლონ ადამიანი და საზოგადოება, დრო, როცა ჭაბუკი ერევა ამხანაგებში, როცა უნდა იწყებოდეს შესაფერი საზნეობრივი აღზრდა, როცა სარწმუნოება თავის უფლებას წამოაყენებს და ადამიანის ცხოვრებაში ცხადი შეიქმნება.

ბავშვის სულის ვითარების ცოდნა რუსსოს მიერ მართლა გასაოცარია, მაგრამ უღრმესია მისი შეგნება ჭაბუკთა ფსიხოლოგიისა. იგი უკვდავი იქნებოდა მაშინაც კი, რომ არა დაეტოვებინა სხვა რამ გარდა „ემილის" ამ ნაწილისა. პედაგოგთა შორის ბევრი თანახმაა იხელმძღვანელონ ბუნებით, მაგრამ იმ დრომდის, სანამ ბავშვებთან აქვთ საქმე, ხოლო რაკი ეს ბავშვები სიჭაბუკეში გადავლენ, ისინი ბუნებას უკუაგდებენ, ან მთელს პასუხის მგებლობას ამ მხრით მოწაფეს ახვევენ თავზე. რუსსო კი, პირიქით, ახლაც უფრო ქედს იხრის დედა ბუნების წინაშე და უფრო მეტს პასუხის გებას მოითხოვს. იგი ამბობს: „აქნობამდის ჩვენი საზრუნავი იყო ყურადღება მიგვექცია ბავშვების თამაშობისთვის. ახლა ეს ზრუნვა უფრო საჭირო ხდება. ეს ის დროა, როცა თავდება ჩვეულებრივი აღზრდა, და იწყება ჩვენი აღზრდა". თუ რამე აერთებს ადამიანებს—ეს არის მათი გულის მოთხოვნილება ამხანაგობისა. „ყველა მისი კავშირი ნათესავებთან, მისი სულის ყველა მისწრაფებანი ამ გრძნობიდან იბადება. მისი პირველი ვნება ჩქარა აერთებს სხვებს სრულ არსებად". მეორე მხრით ადამიანს საზოგადოებრივად სისუსტის გრძნობა ხდის, მისი უმწეობა, ჩვენი საზოგადო უბედურებაა,—ყველა ეს ადამიანის გულს კაცობრიობისაკენ ეწევა. ბოლოს აღელვება და წარმოდგენილება, მჭიდროდ შეკავშირებული, აღძრავენ ემოციონალურ ცხოვრებას, შესაძლებლად ხდიან განიცადონ სხვისი მწუხარებანი და სიამოვნებანი და ესეც იზიდავს კაცობრიობისაკენ და აერთებს მასთან. იმ დრომდის, სანამ სიჭაბუკე არ მოაღწევს, ყველა ეს არა აქვთ ბავშვებს. მაგრამ, როცა ეს დაიწყება, მაშინ, ემოციების უეცრად აფეთქების დროს ზნეობრივი აღზრდა არა თუ შესაძლებელია, არამედ მეტის მეტად საჭიროც!

„რომ აღძრათ და ასაზრდოოთ ეს მოზარდი გრძნობიერება, ხელმძღვანელობა გაუწიოთ, ან მისდიოთ მას, საჭიროა მოწაფის ყურადღება მიაპყრათ ისეთს ობიექტებზე, რომელიც ადვილად მოულობს გულს, მიმართავს სხვა არსებისაკენ და გამოაცალკევებს მისგან თავის თავს. პირიქით, საჭიროა დაუფაროთ, ყველაფერი, რაც მისს გულს შეჰბოჭავს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღძრავს ადამიანურ თავმოყვარეობას. სხვანაირად, უნდა გაუღვივოთ სათნოების თესლი, ადამიანობა, გულშემატკივრობა, სათნო ყოფა და ყველა ნაზი გრძნობები, რაც ძვირფასია ადამიანისათვის. უნდა ამოაშრო, მოსპო შური, სიძულვილი, და ყველა სასტიკი არა ადამიანური ლტოლვილებანი, რომელნიც არათუ სპობენ და აქრობენ გრძნობიერებას, არამედ ხდიან მას უარყოფითად, ჰქმნიან ისეთ რამედ, რაც სტანჯავს იმას მთელს სიცოცხლეში, ვინც ამ თვისებით არის შეპყრობილი".

სიმდიდრე, განცხრომა მდიდრების და შეძლებულ კლასთა, „საზოგადო გასართობების სიმშვენიერე, ნაცნობთა რჩეული წრეები, ბრწყინვალე კრებები—ყველა ეს სიამაყის, მედიდურობის; შურის თესლს აბნევს და კაცს აძლევს ცხოვრებაზე და კაცის ბედნიერებაზე ზერელე შეხედულობას. აქ ჭაბუკთა ადგილი არ არის. თუ ჩვენ გავლით ვნახავთ მდიდართა და ბედნიერთა ბრწყინვალე მოწყობილობას, საჭიროა უჩვენოთ არსებობის მეორე მხარეც. ასწავლეთ გაარჩიოს თვალით ნახული სინამდვილისაგან, შემთხვევითი უსაჭიროესისაგან, არ მისცენ მნიშვნელობა ჩამომავლობას, წოდებას, ხალხთა ხარისხს, სიმდიდრეს, და პატივი სცენ ადამიანს, როგორც ადამიანს. მდაბიო ხალხის ცხოვრების გაცნობას მეტი საალმზრდელო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მდიდრებისას და არისტოკრატებისას, რადგანაც პირველი კაცობრიობის უფრო ჭეშმარიტს სურათს წარმოადგენს თვისის შრომითა და ტანჯვით. ესეც ზრდის თავისი ბედის კმაყოფილების გრძნობას და სხვების გულშემატკივრობას. როცა ახალ ტალღას სიყვარულისას უფრო ფართო არხში გავიყვანთ, მაშინ „თუ გვინდა, რომ ემილს უყვარდეს, იცოდეს ჭეშმარიტება, თავის თავს უნდა მოვაშოროთ. რამდენადაც მისი ზრუნვა სხვას საკეთილოდ მოხმარდება, იმდენად უფრო განათლებული და გონიერი იქნება იგი".

სქესობრივმა პედაგოგიამ, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მწვავე საკითხად გადიქცა, წინადვე მიიქცია რუსსოს სრული ყურადღება. „შეიძლება სასურველიც იყოს ბავშვებმა ზოგიერთი რამ სრულიად არ იცოდნენ, მაგრამ ხანდახან საჭიროა იცოდნენ ის, რის დაფარვაც მათგან შეუძლებელია". „ერიდეთ ყოველგვარ ლაპარაკსა და საქციელს, რომელსაც შეუძლიან ამ საკითხის შესახებ ცნობის მოყვარეობა აღუძრას ბავშვებს. როცა მათი ცნობისმოყვარეობა რისმე შესახებ უდროულია, ან არაფრის მაქნისი, შეგიძლიანთ სიჩუმის კლიტე დაადოთ პირზე. ტყუილს ეს ემჯობინება". თქვენი საქციელი, მოპყრობა მოწაფისადმი დამოკიდებულია მისი მდგომარეობის განსხვავებაზე იმ ხალხთან, რომელიც მას გარს ახვევია და სხვა გარემოებაზე. მეტად საჭიროა, რომ არაფერს ჰქონდეს შემთხვევითი ხასიათი და თუ თქვენ მტკიცედ დარწმუნებული არა ხართ, რომ სქესთა განსხვავების საკითხში ყმაწვილი შეგიძლიათ უმეცრად ამყოფოთ 16 წლამდის, „მაშინ ეცადეთ, რომ მან ეს გაიგოს ათ წლამდის". „მაგრამ როცა 16 წლისა გახდება, ნუ მოერიდებით გააცნოთ ყველა ეს საშიში საიდუმლოებანი, რასაც ასე დიდხანს ბეჯითად უმალავდით მას". „თქვენი დარიგება ამ მხრით უნდა იყოს ნამდვილი, სერიოზული და გადაწყვეტილი, რომ არ ეჩვენოს ყმაწვილს—ვითომ ეჭვობთ რამეში. რასაკვირველია დაცული უნდა იქმ-

ნას სასტიკი სიმართლე და ამასთანავე უნდა გააგებინო, რომ ეს შეადგენს მეტად სერიოზულს და წმინდა საგანს ადამიანთა ურთიერთობისას".

რაც შეეხება ისეთს ზომებს, რომელსაც უნდა ხმარობდნენ იმ აზრით, რომ შეაჩერონ ბუნების წინსვლა, ყველაზე აუცილებელია წიგნების მოშორება, გაცალკევების თავიდან აცილება, სიზარმაცის, შინ ჯდომისა და განებივრებული ცხოვრების განდევნა, უკუქცევა ახალგაზდობისა ლხინისა და ქეიფისაგან. მრავალ მიზეზების გამო ქალაქი სასურველ ნიადაგს ვერ წარმოადგენს ამ მხრით, ამიტომ უმჯობესია ყმაწვილი სოფლად წაიყვანონ. „მას უნდა მისცენ რაიმე ახალი სავარჯიშოები, რომელმაც უნდა გაიტაცოს სიახლით, მუდამ საქმეში იყოს გართული და ხელმძღვანელობა გაუწიოს მისს სიმპატიას და ანტიპატიას".

იმის და კვალად, როგორც წლოვანება მატულობს, ყველა ეს უარყოფითი ზომები შეიძლება უსარგებლოც გახდეს. მაშინ უნდა მიიღონ დადებითი საშუალებანი, რომ გამოიყვანონ ყმაწვილი სქესობრივ დამოკიდებულებათა სწორს გზაზე. „ვნებას განაგებს მხოლოდ ის, ვისაც ის უჩნდება და ყველაზე უფრო ვნება ვნებითვე ამოიფხვრება". ამ სახით რუსსო, იმის მაგიერ რომ განაქროს მოწაფეში ეს ვნებანი, ქედს იხრის კეთილშობილურ ვნებათა წინაშე, ცდილობს გამოიწვიოს მათი ბრწყინვალე ალი. „დეე, გრძნობიარე იყოს იმ სიმშვენიერესთან, რომელიც აკავშირებს გულს ვნებათა ღელვის დროს, მე შთავაგონებდი ზიზღს გარყვნილებისას და. გავხდიდი ჭკვიანად, სიყვარულის შთაგონებით". მაშინ მხოლოდ, როცა გონებაში გამოვუხატავთ ქალწულობის ან ქალობის იდეალურ სურათს, ჩვენ ვუთითებთ მეორე სქესზე, იმ სიყვარულზე, რომელიც თავისთავად დიდებულს აღზრდას წარმოადგენს.

ახლა ჭაბუკს მხურვალე ინტერესი აქვს ქვეყნისა. მსჯელობა და განსხვავება მასში საკმარისად მომწიფებულია. ახლა ჭაბუკს შეტნაკლებლობით უშიშრად შეუძლიან ქვეყნად სიარული, თუ წინანდელი ადზრდა წარმატებით მიდიოდა. ახლა ისტორიისა და ბიოგრაფიების შესწავლა მისცემს ადამიანის ბუნების ცოდნას.

რუსსოს მოწაფე ემილი თავისს ანგელოზს სოფიოში ჰპოულობს, რომელიც არც ისე სამაგალითოა, რომ ძვირი სანახავი იყოს, მაგრამ „უბრალო, უმანკო საღი სოფლელი ქალია, ისეთისავე ნაკლით, რომელიც შეესაბამება მისს გემოვნებას, მოსწონს მას და ხელს უწყობს თავისი ნაკლიც გაისწოროს". სანამ ემილს უყვარდა სოფიო, სწავლობდა ვაჭრობას, ურთიერთობა ჰქონდა მდაბიო ხალხთან, და ხელს უწყობდა ყველას, ვინც რასმე საჭიროებდა. ამ გზით მისი გრძნობანი, რომელნიც ახლა უფრო ძლიერი და ღრმაა, ვრცელდება მთელს კაცობრიობაზე, იგი სწავლობს აგრეთვე მდაბიო ხალხის ფსიხოლოგიას, ნამდვილ ცხოვრების სოციალოგიას, ცხოვრების სამოქალაქო და ეკონომიურს საკითხებს. ამ საზოგადო სამსახურში იგი ხედავს აუარებელს საალმზრდელო საშუალებას, რაც საჭირო იქნება შემდეგისათვის. საკვირველია, როგორის სინამდვილით გვიხატავს რუსსო სოციალურ კულტურულ მუშაობის ფრიად არსებითს პრინციპებს შემდეგს სტრიქონებში:

„საზოგადოებრივის სათნოებათა გამოჩენა ჩვენი გულის სიღრმეში ნერგავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცობრიობისადმი სიყვარულს. როცა კეთილს საქმეებს ვაკეთებთ, ჩვენვე კეთილები ვართ; არ ვიცი ამისთვის სხვა უკეთესი და უსარწმუნოესი საშუალება. ავარჯიშეთ მოწაფე მისი ძალის დაგვარად კეთილს საქმეში; ასწავლეთ პატივისცემით მოეპყრას ღარიბთა ინტერესებს, როგორც თავისას, ურჩიეთ მას დაეხმაროს ღარიბ ღატაკს, არა მარტო ფულით, არამედ თავის მზრუნველობითაც; მან უნდა დაიფაროს ისინი და თავისი პიროვნებაცა; დროც შესწიროს მათს სამსახურს".

„სხვისდა სასარგებლოდ მოქმედება მისცემს მას იმ ცოდნას, რომელსაც შეიძენს მხოლოდ გვიან, როცა გულს ხავსი მოეკიდება, ან შეიძლება ვერც შეიძინოს, თუ ამხანაგებს შორის უთანხმოება ჩამოვარდება, იგი ეცდება მათს შერიგ'ას; თუ თავისი ამხანაგები—ხალხი დამწუხრებული ნახა, იგი გაიგებს ამ მწუხარების მიზეზს; თუ საბრალონი სწუხან სხვის შევიწროებისა გამო, იგი ეცდება გამოარკვიოს უსამართლობა, უკანონობა და იმ დრომდის არ დამშვიდდება, ვიდრე არ მოაშორებს უბედურებას".

ამ სახით თავისი მოძმე-ხალხის კეთილმდგომარეობით დაინტერესებული, მალე მიეჩვევა მათი საქციელის, გემოვნებისა და კმაყოფილების დაფასებას და საზოგადოთ განსაზღვრავს ყველა იმის ჭეშმარიტს ღირებულებას, რაც ხელს უწყობს, თუ ანგრევს ადამიანის ბედნიერებას, არ გაჰყვება მარტო თავისს საკუთარს ინტერესებს.

რუსსოზე ადრე ბუნების საალმზრდელო მნიშვნელობის შესახებ კომენსკი სწერდა. ლოკკმა ეს დებულება უფრო განავითარა და მეტი ფსიხოლოგიური ელფერი მისცა. მავრამ რუსსომ აღიარა ბუნების სახარება და სრულიად განათავისუფლა ბავშვი ყოველგვარ მონობისაგან. მისი პედაგოგია დაფუძნებული იყო მისს დაკვირვებითს ფსიხოლოგიაზე, მისს ფსიხოლოგიას კი საფუძვლად ბიოლოგია ჰქონდა. სხეული მას არ ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც მისს წინამოადგილეებს—თითქოს იგი იყოს—„უბრალო გუნდა თიხისა" ჭკუისათვის. სიცოცხლე და სული მისთვის ერთი იყო. ადამიანი, როგორც გაერთებული ფსიხოლოგიური ორგანიზმი, იყო ის საფუძველი, რომელზედაც ააგო მან თავისი პედაგოგია.

ჩვენი აღზრდა დიდხანს იმყოფებოდა პედაგოგიური თეორიების შემოწმების გავლენის ქვეშე, რომელსაც ჰქმნიდნენ მეცნიერები, ხოლო მათს შეხედულობას და ინტერესს ყოველთვის კაბინეტის სუნი ასდის. ადამიანი მარტო ტვინით არ ცხოვრობს, იგი ცხოვრობს უმეტესად მოქმედებით და გულით. ამ აღმოჩენით ჩვენ მადლიერნი ვართ დიდებული საწინასწარმეტყველო წიგნისა, რომელიც დაგვიტოვა იმ უმეცარმა მოტანტალემ, რომელიც ბოლოს გვირგვინით შეამკეს ფრიად განათლებულმა და მეცნიერმა კაცებმა; სახელი ამ მოტანტალისა—ჟან-ჟაკ რუსსო არის. (Св. Восп.)

ლ. ბოცვაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროპიზმი მოსწავლეთა შორის *)

ერთეულს შეუძლია დაარდვიოს საზოგადო კანონი მსოფლიო სწორწონობისა (ეგვილიბრისა) და თუ ვინიცობაა, ამა თუ იმ მიზეზით, ეს სწორწონობა ტოტახნით შესწედა, ბუნება მაინც თავისას გაიტანს, მსოფლიო ჭარმონია ისევ აღდგენილ იქმნება. საზოგადოთ ცხოველთა სხეული სიმეტრიულათ არის შექმნილი, მათი მოძრაობა ნიადაგ შეწონილია, ნიადაგ სიმეტრიის ბალანზედ ხდება. საცარი თანხმობა სუფევს სხეულის რომელისამე ნაწილის ზრდასა და სიმეტრიულ ნაწილს შორის; ორივე ერთმანერთს ხელს უწყობს, ერთი მეორეს შველის, რათა დაცულ იქმნეს ფორმათა სიმეტრია. თუ ცხოველს რომელიმე ნაწილი სხეულისა ჩამოვაცალეთ და დავარდვიეთ მისი სხეულის სიმეტრია, იმავე დროს ვარდვევთ მისს სწორწონობასაც; მაგრამ რამდენსამე ხანს უკან, ასე იქმნება თუ ისე, სიმეტრია ისევ აღდგენილ იქმნება. ასეთია ცხოველთა ფორმების სწორწონობის კანონი, Przibran-ის მიერ გამოკვლეული.

მაგალითისათვის ავიღოთ ერთი კეტტუანა და თანტოლთათება მწერი Aselus aquatiqus და ერთსა და იმავე დროს უსწორმასწორო მოვაჭრათ რქები, ამის შემდეგ დავინახავთ, რომ ერთი რქა მეორეზე უფრო სწრაფათ იწყებს ზრდას, და ამ ასოთა სრულ ზრდის დამთავრებამდე ორივე რქა ერთმანეთს გაუსწორდება. შეგვიძლია მოვაჭრათ მხოლოთ ერთი ამ სიმეტრიულ ორგანოთაგანი,—მოჭრილი რქა ზრდას იწყებს, მხოლოთ ეს კია, რომ უფრო ნაკლების ტანისა იქნება. და მოკლე ხანში სიმეტრიული ორგანო დაატროფიავდება, ხოლო ეს ატროფია დაეტეობა შემდეგ, კანში გამოსვლისას. ან და ავიღოთ ცხრათვეხა და მოვაჭრათ ერთი თათი წინა თვეხებისა. მოჭრილი თათი წამოეზრდება, მხოლოთ წინანდელზე მომცრო ექმნება და უგბილო; ცხოველი კანში რომ გამოვა, მოპირდაპირე გაზის თავი ზედმეტობას ჭკარგავს და წინათ თუ კბილიანი იყო, ახლა უკბილოთ რჩება. წყალში მცხოვრებ ჩუბრის ყბებზე ნორმალურათ ორი კბილია ხოლმე. თუ ერთი მოვაჭერით, ყბა ისევ წამოიზრდება, მხოლოთ უკბილოთ, თანაც მოპირდაპირე ყბას, კანში გამოსვლის შემდეგ, ერთი კბილი და შერჩება.

გამოჩენილი ამერიკელი ბიოლოგისტი Loeb თვის გამოკვლევაში ტროპიზმის შესახებ გვამცნევს, თუ როგორ შეიძლება დაცულ იქმნეს სწორწონობა ატეხილობის (eacitation) სიმეტრიისა სხეულის როგორც ერთს, ისე მეორე მხარეს. ორი სიმეტრიული წერტილი სხეულისა სიმეტრიულადვე უნდა იქმნეს ატეხილი. თუ სხეული ამ სწორწონობის მდგომარეობას როგორმე გადასცდა, თან და თან ეცდება აღადგინოს სწორწონობა გეოტროპიულ მოძრაობის საშუალებით, თუ მიწისაკენაა მიზიდულობა საჭიროა; ჰელიოტროპიულათ,—სინათლისათვის; ტერმო და ქიმიოტროპიულით—ტემპერატურისა და ქიმიურ

*) ეს წერილი თავდაპირველათ წარდგენილ იყო, როგორც მოხსენება, პირველ საერთაშორისო საპედოლოგიო კონგრესზე 1911 წ. ბრუსელში. შემდეგ დაიბეჭდა Revue Psychologique-ის მე-V ტომში, 1912 წ. ქართულად, მცირეოდენის ცვლილებითა ვბეჭდავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეაქციებისათვის. თან მისი მოძრაობა ან **პოზიტიურია** და ან **ნეგატიური** იმის და კვალათ, თუ ამტეხი მიზეზი სხეულზე რა-ვარ მოქმედობს: ნეგატიურათ თუ პოზიტიურათ.

რაგორც Bohn ამბობს, ტროპიზმი *) ფუნქციონიალურ უსიმეტრიობის შედეგია, ცხოველის მანქანის სხვა და სხვა ორგანოთა ორმხარეობისა (bilaterale). ამიტომ თავი-სუფლათ მოძრავ სხეულთა შორის ტროპიკულ (ან ტაკტიურ) მოვლენას რომ ადგილი ექმნეს, აუცილებლათ საჭიროა არსებობდეს სხვადასხვაობა ატეხილობისა სხეულის სხვა და სხვა წერტილზე. ესა თუ ის ცხოველი **პოზიტიურათ** ტროპიკულია, რაცა იმ მხარისაკენ მიიწევს, საითკენაც გარეშე მიზეზი რამ ასტეხავს ხოლმე; იგივე ცხოველი **ნეგატიურათ** ტროპიკულია, რაცა მოპირდაპირე მხარისაკენ მიიწევს და მაშასადამე, შორდება ატეხილობის გამომწვევ ცენტრს.

აკტინია (Ceriantbus), რასმე ჭურჭელში სხვა და სხვა მდგომარეობაში მოქცეული, სულ ერთის ცდაშია, თავი სულ ზევითა ჰქონდეს, ფეხები კი ქვევით, გრავიტაციის გავლენით. ფეხი ასეთს მდგომარეობას მაშინაც კი დებულობს, რაცა დანარჩენს სხეულს მოწუვეტილია; მაშასადამე, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წმინდა გეოტროპიულ ატეხილობასთან (Loeb).

ამ ყაბად ფიზიოლოგიაში ჭეშმარიტებად

*) ტროპიზმი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ტრიალს, გამუდმებით მიბრუნებას რომელსამე საგნისაკენ, მაგ. მიწისაკენ (გეოტროპიზმი), მზისა და საზოგადოთ სინათლისაკენ (ჰელიოტროპიზმი) სხ. ასეთი თვისება აქვს ბევრს მცენარეს, და მათს შორის ცნობილს მზე-უჭვრიტას, რომელიც სულ მზეს შესცქერის, სულ იმისკენ იხრება.

არის აღსარებული, რომ გეოტაკტიური ორიენტაცია უმაღლეს ცხოველთა სპეციალ ორგანოში ხდება. ასეთი ორგანო კიდევ სასმენ იარაღის ნახევრათ მრგვალ არხებშია მოთავსებული და, გრავიტაციის მხრივ, სხეულის სწორწონაობაზე გავლენა აქვს; ხოლო უმაღლეს ცხოველთა შორის ამის მაგალითს ოტოლითები გვაძლევენ.

ჯერ კიდევ 1700 წელს მიაღწია ჩვენი ყურადღება სწავლულმა Dodrat-მა იმ გარემოებას, რომ მტენარეთა ფერი და ფესვების მიმართულება სულ მუდამ ბერბენდიკულარული ხოლმე. ერთის მარცვლითგან გამოსული ფესვი და ფერო ერთი-მეორის მოპირდაპირე მიმართულებას ებულობს. შეგვიძლია ბუნებრივი მიმართულება შევუცვალოთ და მოვუნდომოთ განზე, სწორის ხაზით წავიდეს რომელიმე მათგანი. ამა ცდა იქმნება, რადგან, სულ ერთია, მოიხრება და იმდენს იზამს, რომ თავისი ჩვეულებრივი ბერბენდიკულარული მიმართულება ხელახლა მიიღოს.

Wortomann-მა აღნიშნა, რომ იმ მხარეზე, საითკენაც უფრო მეტადაა მტენარე განათებული, მისს უჯრედებს მეტად სქელი ბროტოპლაზმა აქვთ; ხოლო დიამეტრალურად მოპირდაპირე მხარეზე უჯრედების ბროტოპლაზმაში წყალი ჭარბადაა. და აღბად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სინათლისაკენ მიშვერილი ქსელი იკუმშება, ხოლო ნაკლებათ განათებული ქსელი იზიდება. აგრეთვე, თანახმად Loeb-ისა, ორმხარეგან სიმეტრიის სხეულში მეტნაკლებად განათება განათებულ მხარის კუნთების შეკუმშვას გამოიწვევს. სინათლე განსაკუთრებულის ამტეხელის ძალით მოქმედობს სპირე დაბოლოებაზე და ეს უკანასკნელი სტდილობს ისეთი მიმართულება მიიღოს, რომ სიმეტრიული მხარეები თანაბრად იქმნეს განათებული.

რაკი ცხოველი ამ შედეგს მიაღწევს,

სულ უძრავთაა გაჩერებული, ან და მდგომარეობას იცვლის სხივთა მიმართულების მიხედვით, ან კიდევ სრულიად განერინება ამ სხივებს მოპირდაპირე გზით.

მცენარეთა ორგანოები სიმძიმის მიმართულებას ემორჩილებიან,—ამბობს Leo Errera, ჩემი სახელოვანი ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ მასწავლებელი,—და იხრებიან, როცა ხელს შევუშლით და ნორმალურ მდგომარეობას შევუცვლით: ღერუკა თავს ასწევს, ძირუკა ქვეითკენ მოიხრება. და ეს მოხვრა უმთავრესად იმ თვრგალში მოექცევა, რა თვრგალშიაც მცენარე უნდა გაიზარდოს.

ვისაც ოთახში მცენარის ზრდისათვის უდევნია თვალყური, შენიშნავდა, რომ ახლად თავ ამოყოფილი ღერო მცენარისა სულმუდამ სარკმლისაკენ იხრება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩვენი სადგომი ცივი და დაბნელებულია, შიგ სინათლე ცალმხრივად და შემოდის. მცენარეს კი სინათლე დასწვრივ უნდა ხვდებოდეს და რაკი დასწვრივ სინათლეს მოკლებულია, მეტი გზა არ არის, ყამითი-ყამად ქოთანს- რომელშიაც მცენარე ხარობს, მხარე უნდა ვუქციოთ ხოლმე; მაშინ სინათლე ღერის სხვა და სხვა მხარეს მოხვდება, რიგრიგათ. თუ მცენარე გაშლილ ᲬᲐᲠᲬᲐ, ან შუაბანდში ხარობს, ცხოველმყოფელი სხივები მზისა ყოველმხრითგან ეფრქვევა და საცოდავთ არ საზიზღრდება ხოლმე.

ᲬᲔᲘᲝᲢᲠᲝᲞᲘᲖᲛᲘᲡ საუცხოო მაგალითს წარმოგვიდგენს ღურჯი gentianes. დაკვირდით ზაფხულის ერთს მშვენიერ დღეს და დაინახავთ, რომ ყვავილის ტუჩი სულ მუდამ მზეს შესცქერის ხოლმე და ნელნელა მნათობის მსვლელობისათვის აუოლია თვალი. ბევრი „ტროპიკულად წოდებული მცენარეა, რომ იმისდა მიხედვით იშლება და იკუმშება, თუ რა სიძლიერით ხვდება სითბო და სინათლე. საკმარისია, ტულიპის ან Crocus-ის ყვავილი გადავიტანოთ ისეთ ადგილას, საცა მზე ძალზე აჭერს, —ამბობს Errera,—რომ რამდენსამე წუთში გაიშალოს. მეტად მგრძნობიარეა ეს მცენარე, საკმარისია ნახევარ გრადუსი სითბო მეტნაკლებათ მოხვდეს, რომ მაზე გავლენა იქონიოს; საკმაოა, რომ მზეს დრუბლები გადაეფაროს, რომ Erythrorium-ის ყვავილმა ტუჩი შეიკრას.

ასეთის მოძრაობის გავლენით ნაფერთლების ორივე მხარე თანაბრად არ იზრდება, და ეს მოძრაობა იმდენს ხანს გასტანს, სანამ ყვავილი ზრდას არ დასრულებს.

ზოგიერთ მცენარეთა ყვავილები იშლება და იხუჭება თითქმის ერთსა და იმავე საათს, ფოთლებიც სხვა და სხვა საათს სხვა და სხვა მდგომარეობას დებულობს. ამას ეძახიან ნიკტიოტროპიულ (nictare—ᲮᲣᲭᲕᲐ) მდგომარეობას.

ფოთლებისათვის ეს საოცარ გამოშვებითი ოსცილაცია იმით გამოიხატება, რომ დღისით, რაც შეიძლება, თვრთად გაიშალოს, ხოლო დამით თითქმის სრულიად იკუმშება. ეს კიდევ ძილისა და ღვიძილის ალტერნატიული მდგომარეობაა.

ეოველსავე შემთხვევაში, ამ მოძრაობათა დანიშნულება ის არის, რომ დღისით მცენარემ, რაც შეიძლება, თვრთად შეუშვიროს თავი მზის სინათლეს და იმის წყალობით შეისვას მეტი ქლოროფილი; ხოლო დამით კი, რაც შეიძლება, დაბატარავდეს, მოიკუმშოს, რომ დღისით მოკრეფილი სინათლე ნაკლებათ გამოცალოს, ნაკლებათ გაცივდეს. ეოველივე ისეა შეხამებული და მოწეობილი, თითქო მცენარე თავისს ფოთლებს კანგებ აშვერდეს სინათლისაკენ და იფარავდეს სიცივისაგან.

სანატრელი იქნებოდა, რომ ეოველ სახლში და განსაკუთრებით კი ეოველ სკოლაში გაიჩენდნენ რამდენსამე ასეთ ᲬᲔᲚᲘᲝᲢᲠᲝᲞᲘᲣᲚ მცენარეს, და მოსწავლეთა და მასწავლებელთ მუდამ თვალწინა ᲬᲥᲝᲜᲓᲔᲗ. ასეთი მცენარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთვის ნამდვილი ბუსოდი იქმნებოდა და თან მაჩვენებელი დდის მნათობის შუქთმფენობისა. მცენარეთა მსგავსად ბავშვებიც მზისთაყვანისმცემელნი არიან და გაგიყვებით შეხარიან მისს სხივებს; იფურჩქნებიან მათის წყალობით, ჭკუმშვენ კუნთებს, ივსებენ ფილტვებს, ხოდო სუნთქვის წყალობით მყავბადით იყდენთავენ სისხლს; ხორცის კანის ნაჩვრეტების საშუალებით ივსებენ სხივთა ცხოველმყოფელობას; რაც რამ მაენებელია მათის სხეულისათვის, მცოცხლებელ მზისავე გავლენით თავიდან იშორებენ.

მაშასადამე, ყოველ უჯრედის თვისებაა — ატეხილ იქმნეს გარეშო ძალის გავლენით. სხვა და სხვა ძალა ნორმალურად ავითარებს უჯრედს, თუ კი ეს ძალა ზომიერათ და თავის დროზე ხვდება უჯრედის ყოველს ნაწილს. ხოდო იგივე ძალა ავადმყოფობის წარმოშობელია, თუ უდროდ, უადგილოდ და უზომოდ ხვდება,—ამბობს Paul Vuillemin. ანორმალურ აგენტის მიერ გამოწვეული არეულობა ბრაბორციონალური არ არის ამ აგენტის სიძლიერესთან, არამედ ექვემდებარება ატეხილ უჯრედთა შეთვისების ნიჭს, და, გარემოებათა კვალად, დიამეტრიულად წინადმდეგს შედეგსა ჭბადებს.

არსებობის საზოგადო პირობები ყოველ არსისათვის, როგორც ცხოველისა, ისე მცენარისათვის, დამოკიდებულია იმ წრისაგან, რა წრეშიაც ეს არსი მოქცეულია. გარშემო წრის ფიზიკურ თვისების ყოველი ცვლილება სიცოცხლის ფენომენებს დაუჩნდება ხოდმე. სითბო, სინათლე, სინესტე, ელექტრონი, ხმიანობა, ბარომეტრული სიმძიმე, ჭაერის მოძრაობა ყველანი ერთად და სათითოდ მოქმედობენ ცოცხალ არსზე. სანამ გარეშე ცვალებადობანი ზომიერების ფარგალში არიან, სიცოცხლეს არა უშავდება რა. მაგრამ თუ კი ერთი ზემოდ დასახელებულ აგენტთაგანი განსაზღვრულ ზომას გადასცდა, თუ გარეშე ტემპერატურამ, მაგალითად, ამა თუ იმ ზომაზე მეტად დაიწია ან აიწია, სასიცოცხლო ფუნქციებს განსაცდელი მოელით; და, იმის და მიხედვით, თუ მოქმედება ადგილობრივი იყო თუ საერთო, ერთი ნაწილი სხეულისა ან მთლად მთელი სხეული ძალზე იცვლება, ხანდისხან სახიჩრდება და შეიძლება სულაც მოკვდეს კიდეც.

ხერხემალი თავი და თავი ნაწილია ადამიანის სხეულისა, ისა, რომ უმთავრესად იბრძვის დედამიწის მიზიდულობის კანონის მოქმედების წინააღმდეგ; მცენარის ღერო მსგავსად ხერხემალი იხრება, როცა ნორმალურად ყოფნას უშლიან; დედისით ვერტიკალურ მდგომარეობაშია, ღამით კი ჰორიზონტალურში. არსის ზრდის დროს ხერხემალი უმთავრესი მომქმედი ნაწილია სხეულისა, და ცხოველთა უმრავლესობას ისე აქვს მოწყობილი, რომ სიმეტრიულათ შეშვერილია გარშემო წრის ამტეხ გავლენისაკენ. ადამიანის სანერვე სისტემა ვერტიკალურ მდგომარეობაშია, ამავე მდგომარეობაშია ხერხემლისა და თავის ტვინიცა. და ასეთ მდგომარეობის წყალობითაა, რომ ადამიანი სხვა არსთ ზევიდგან დაჭყურებს. მაგრამ ამ ვერტიკალურისავე მდგომარეობის წყალობითაა, რომ ადამიანს თან-დათან ეკარგება სწორწონობა და ნამდვილ ჭემიპლეგიურ (ნახევარტანა) არსებად ხდება, რათგან სტდილობს საგსებით არ გამოიჩინოს თავისი ძალა და ყველათერს მარტო მარჯვენა ხელით აკეთებს.

სკოლებში კი ბავშვები დალურსმულნი არიან მერხებზე სწორედ იმ დროს, როცა მათი ხერხემალი სისწრაფით იზრდება. სხედან და მერე როგორა სხედან! მხოლოდ მარცხენა მხარე აქვთ შეშვერილი მზისათვის, ამ სინათლისა და ტერმო-ქიმიურ სხივოსნობის წყაროსათვის! რათა თანაბრად მოიხვედროს სხივი, ტვინი სიმპატიურ ან რეფლექტიურ მოძრაობაშია, და ამიტომაც ბავშვი სარგმელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკენ იბრუნების სხეულს, მოძრაობს, ნიადაგ ჭეოკავს, განსაკუთრებით კი გაზაფხულზე; მაგრამ მასწავლებლის მრისხანე ხელის დაქნევა საკმარისია, რომ საცოდავი არსება მეისვე გაჩერდეს, უძრავად დაეკრას მერხს და განაგრძოს დაუსრულებელი წვალება, მაგრამ ხერხემალი, რომელიც აწესრიგებს მთელს სიცოცხლეს, გულხელ დაკრეფით არ უცქერის ამ უმზეობას და თანდათან იხრება, და იმდენათ უფრო იხრება, რამდენად უფრო მარჯვენა მხარე ბავშვისა, ნიადაგ ჩრდილში მომწყვდეული, მარცო ასრულების დინამურ შრომას. მარცხენა მხარე, სინათლისაკენ შექცეული, სტატიკურ კუმშვას განიცდის, რადგან სიმძიმის ცენტრის ბოძია და ტანის სიმძიმე მთლათ იმას აწევს. სკოლიოზი, საშინელი სკოლიოზი, ამ გვარათ, ჩვენის ბავშვების ხერხემალის ტვინსა ჭხრავს, გულის ცემა, სუნთქვა და სტომაქის მუშაობა სერიოზულათ შეფერხებულია. ხერხემალი იხრება წინ და უკან, ბავშვებს სკოლიოზი უჩნდება, უჩნდება აგრეთვე ლარდოზი. და ასე იმიტომ ზიანდება ხერხემალი, რომ ძზის სხივები ყოველ მხრიდგან არა ხვდება, სისხლს მყავბალი აკლია, მოძრაობა უსიმეტრიო, ბავშვი სულმუდამ ჯდომელაა, მისი ნორჩი სხეული ასიმეტრიულათ, ცალმხრივათ არის განათებული. და ამ გვარათ დაავადებულ ბავშვის მორჩენა მაშინდა შეიძლება, როცა მიუზღავთ იმას, რაც დაკეკლეთ. ესა და სხვა ამის მსგავსნი ავადმეოფობანი ბრიტესტია ანორმალურ მდგომარეობაში ჩასვენებულ სხეულის მხრივ. ანორმალურ მდგომარეობას ანორმალურივე დეზიკიდიბრაცია მოსდევს სხეულისა, რომელიც ცდილობს ადადგინოს დარღვეული სწორწონაობა ისე, რომ კუნთების მიერ ძალდატანება არ განიცადოს. სიბეტე მიზეზია სინათლის ნაკლებობისა, სიბეტესვე გამოიწვევს ახლოდგან კითხვა ნაბეჭდისა; ბავშვს წვნიკის ასოებით არ უნდა აწერინოს, რადგან ესეც ხელს უწყობს სიბეტის გაჩენას, და, გარდა ამისა, წვნიკის ასოების წერას არ ჭგუობს ბავშვის მიდრეკილება თავისუფალ და შეუზღუდველ მოძრაობისადმი. საჭირო არ არის, რომ ბავშვმა უეჭველათ უცქიროს რასაცა სწერს, ამიტომ რომ წერა ყოველთვის უწინარეს მუსკულარული მოქმედებაა. დასასრულ, სიბეტესვე ჭბადებს ჯდომელა მდგომარეობა, რაიცა საშინლათა ჭდის ბავშვის სხეულს, და აგრეთვე ისა, რომ ბავშვს აკლია შორს გაშლილი ჭორიზონტი. ასტიგმატიზმი, სტაბიზმი და სიბეტე, ამ გვარად, ასუსტებს ბავშვის არწივისებურ თვალებს; საშინელი კუზიანობა, თანამგზავრი სისხლნაკლებობისა და ჭლექისა, შეუმჩნევლათ ისადგურებს მის ქორფა სხეულში. ბავშვს რომ მის ინსტინქტის სინაბარა მიუშვებდენ, ნებას რომ მისცემდენ თავისუფალათ იმოძრაოს, მაშინათვე სიმეტრიულად ან გულს შეუშვერდა და ან ზურგს მზის სხივებს, როგორც ამას სჩადიან ხოლმე სხვა სულდგმულნი, ადამიანის გავლენის ქვეშ მეოფენი, მაგ. მიკრობები, ბაქტერიები, ამებიები, თევზები, უმაღლეს ხარისხის ცხოველები. მაგრამ სკოლაში, სადა ბავშვი მერხზეა დაკრული, ეს უკანასკნელი, მტანარის მსგავსათ, წელში იხრება და სახიჩრდება.

სულ სხვა საქმე იქმნებოდა, რომ მოქმედებდეს ორივე მხარე სხეულისა, ორივე ორგანო გრძნობისა, ორივე ხელი. მაშინ ადგენილ იქმნებოდა სწორწონაობა მთელის არსისა და ნორმალური მდგომარეობა ხერხემლისა, მით უფრო რომ ამ პირობებში მომუშავე, ბავშვი იქნება იგი, თუ მაზრდილი, სიმეტრიულათ შეუშვერს თავს ატეხილობის გამომწვევ წყარონ.

დამით, როცა დედამიწის მიზიდულობის ხელმწიფება დამყარდება, სანერვე სისტემა მოკლებულია მზის შუქს, დღისით რომ ასტეხავს ხოლმე, ამიტომ უნდა ვესწრაფოთ ჩვენ ხუტოთ გულში მორფეის, ამ დამის დმერთს, დმერთს

ძალისას, დმერთს გეოტროპიზმისას, რომელიც აძინებს ყოველ სულიერ არსს (ჩვენის აზრით ძალი სხვა არა არის რა, თუ არ გეოტროპიზმის სავსე რეაქცია). ჩვენი ცივილიზაცია კი იმის ცდაშია, ხელოვნურად დაბადოს ამტეხელი მიზეზები, რომ განაგრძოს დღე, განაგრძოს ღონისაგან დამცლელი მოქმედება, და ეს კი ადამიანის სულიერსა და ხორციელ სწორწონობას არღვევს. ბავშვმა, მზე ჩავა თუ არა, უნდა დაიძინოს, ისე, რომ სასთუმალი ჩრდილოეთისაკენ ჰქონდეს, ხოლო თვეები სამხრეთისაკენ. (რა თქმა უნდა, ჩვენს ჩრდილოეთის ჰემისფერეში). მძინარე ბავშვს სერხემალი აუცილებლათ ასეთ მდგომარეობაში უნდა ჰქონდეს, რომ მართალ მოისვენოს. დღისით მშრომელი ადამიანი მზის შუქისაგან იძენს სიცოცხლისათვის საჭირო ენერგიას; მზის შუქისავე გავლენით ქიმიურათ იცვლება მისს სხეულში სხვა და სხვა ნაწილები; ყოველივე ეს ღამის წუვდიადსა და სიჩუმეში წესსა და რიგზე დაგდება, სასარგებლო ცულსა და მავნებელს ნივთიერებას შორდება. მხოლოდ ნამდვილ მშრომელს შეუძლია ძალის დრო მზრუნველ დედასებ მოაწესრიგოს სიცოცხლისა და მათ სხეულის ფუნქციები.

მზე ბირველ სხივებს ქვეყანას სტეორტნის თუ არა, თავისკენ მიიზიდავს ყოველსავე სულდგმულს; მისს დიდებულს ამოსვლას ბავშვიც უნდა აჰყვეს. ოდონდაც რომ მართალი იყო Huteland-ი, როცა სთქვა: „ადამიანს თავისი არსებობა წმინდის გულით და სავსებით ისე არასდროს ახარებს, როგორც დილით; ვინც დილას არ ეტანება, თავისის სიცოცხლის ახალგაზდობასა ჰკარგავს“. ამ ნათქვამს ბ. Bevillé დასძენს, რომ დილაობით ადრე ადგომით დროსაც მოვიგებთო, რადგან დილის მუშაობა ისე არა გვღალავს, როგორც ღამისა. და, ამ გვარათ, უვნებლათ განვახორციელებთ ჩვენს არსებობას. მართალა, თუ ყოველდღე ორის საათით ადრე ავდექით, მაგალითათ, რვა საათის მაგიერ ექვს საათზე, ორმოცის წლის განმავლობაში ეს შეადგენს 20,200 საათს, ან 3 წელიწადს, 121 დღეს და 16 საათს; ე. ი. ყოველ დღე მოვიგებთ რვა-რვა საათს ათის წლის განმავლობაში, და ეს ხანი სრულებით საკმარისი იქნება ჩვენი გონება საკვებით განვავითარონ. და თუ კიდევ ეს ციფერები გავამრავლეთ დედამიწის მცხოვრებთა რიცხვზე, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რამდენათ მოიმატებდა ხანგრძლივობა ადამიანის სიცოცხლისა!..

ბავშვი, ხშირათ დაბადების ბირველ დღითგანვე,—ამბობს Preyer,—ცდილობს თავი განათებულ საგნებისაკენ იბრუნოს ხოლმე ისე, რომ ამ საგნებს შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლოს თვალების ორსავ გუგაზე. ბავშვი თვალებს სანთლისაკენ აცეცებს, თუ სანთელი სწორეთ გვიჭირავს მის წინ. დილით მზის სინათლე საშინლათ უკვირს და როცა სარკმელს მოვარიდებთ, ცდილობს, სულ იქითკენ ჰქონდეს თავი მიბრუნებული. ასეთი მიბრუნება თავისა მეექვსე დღეზე უკვე მკაფიოთ ეტეობოდა ბავშვს, რომელსაც ვაკვირდებოდით; მეშვიდე დღეს ეგეკვე რამდენჯერმე განიმეორა, და ყოველთვის, როცა სახეს სარკმლისაკენ მიიბრუნებდა, ცხადი კმაყოფილება ეტეობოდა, ბავშვსვე უზომოდ ახარებს ხოლმე ყოველ ნათელ და ბრეწვიალა საგნის ნახვა და ყურება.

Küssmal-ი სხვათა შორის დაჰკვირვებია ზოგიერთ ბავშვს დროზე (ორის თვით) ადრე დაბადებულს, და დაბადების მეორე დღეს შეუნიშნავს, რომ ისე დაუწვენიათ, რომ მათი სახე სარკმლისათვის მოურიდებიათ. გასულა ტოტა ხანი და ბავშვებს თითოზვე შეუბრუნებიათ თავი სარკმლისაკენ. ეგეკვე შეუმჩნევია Preyer-ს დროზე დაბადებულ ბავშვებზე დაბადების მეექვსე დღეზე.

დაბადებიდგან მეთოთხმეტე დღეზე და უფრო გვიანაც ბავშვები უფრო მეტის ხალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სით ზევითკენ იტქირებიან, ნათელ ჭერისაკენ. მაგრამ ბავშვი მადლა ადბათ იმიტომ იტქირება (და ამით ცხოველთა შვილებისაგან განსაკუთრებით განირჩევა), რომ დედას ან გადიას ხელში გორიზონტალურ მდგომარეობაში უჭირავთო,—ამბობს Preyer. შემდეგში კიდევ სინათლე (სანთლებით გაჩადებული შობის ხე, ერთ ადგილიდგან სხვა ადგილას გადადგმა ლამპისა, ბრწყვიალა ძეწკვი ოქროსი, დავარაყებული ჩარჩოები სურათებისა) ბავშვს უფრო მომეტებულათ ახარებდა.

სამოცდა-მეორე დღეზე ბავშვი თითქმის ნახევარ საათს შესტქეროდა და განუწყვეტელის სიხარულით ჭკიოდა, ჩამოკიდებულ ლამპის რიტმიულ ქანაობას რომ უყურებდა. თვალებს ხან მარჯვნივ აცეცებდა და ხან მარცხნივ, მაგრამ მხოლოთ ლამპის ქანაობა ჭქონდა ნიშანში ამოღებული.

ბავშვი ჯერ აკვანში და მერე სკოლაში ცალმხრივათ წევს და ზის და ისე უყურებს სინათლეს: სინათლე კი თანაბრად უნდა მუშაობდეს ორსავ თვალის გუგებში. ცალმხრივათ ჯადოს გავლენით სინათლე უსწორმასწოროთ მუშაობს, მარჯვენა და მარცხენა თვალის კუნთებიც მეტნაკლებათ იწიმება, და ამ უკანასკნელ მოვლენის გავლენით ბავშვს თავი თავის უნებურათ, ავტომატიურათ მიაქვს სინათლის წყაროსაკენ, ე. ი. სარკმლისაკენ.

მაგრამ სკოლაში ბავშვს მასწავლებელი დარჯად უდგას და იძულებულ ჭყოფს ბირდაბირ მას უყუროს. თითქო ის იყოს მისი მანათობელი და შათბობელი მზე! მასწავლებლის ყოველ დაძახებაზე სცოდავი ბავშვი შემკრთალი წელში სწორდება, ცდილობს შიგ თვალებში უცქიროს თავისს მასწავლებელს. ამ უკანასკნელმა თვითონაც არ იცის, რომ ბავშვს სიცოცხლისთვის საჭირო ელემენტებს ართმევს, მნათობის დაჟრულ სხივებსა სწირავს. დიდმა ბასკალმა სადღაცა სთქვა, ადამიანთა უბედურება ის არის, რომ არ შეუძლიანთ ოთახში გაუძრევლათ გაჩერდნენო. მე კი მგონია, რომ ადამიანთა და განსაკუთრებით ყმათა უბედურება ის გახლავთ, რომ ცდილობენ ოთახში გაუძრევლათ გაჩერდნენ ხოლმე!

სითბოს, რომელიც საზოგადოდ ხელს უწყობს ყველა ორგანულ ბირთა განვითარებას, მეტად დიდი გავლენა აქვს ბავშვის სხეულის ზრდაზე. შემოდგომაში და ზამთრის დასაწყისში ბავშვის ტანის წონა მატულობს ხოლმე, მაგრამ სხეულის ზრდა კი შეჩერებული აქვს. ზაფხულის დასაწყისში წონა თითქმის უცვლელათ ურჩება, სამაგიეროდ ტანს ხეების მსგავსათ იერის (Malling).

ერთ გერმანელს ექიმს ბერლინში თითის თრჩხილების ზრდა გამოუკვლევია და ადმოუჩენია, რომ თრჩხილები ბავშვს უფრო სწრაფათ ეზრდება, ვიდრე მოწიფულს. აგრეთვე, ერთის თრჩხილის მთლად გამოცვლას ზამთარში 132 დღე სჭირდება, ზაფხულში კი მხოლოთ 116 დღე. მარჯვენა ხელის თითის თრჩხილები უფრო ჩქარა იზრდება (დაახლოვებით მილიმეტრის ერთი მეოცედი ყოველ მისს საათში), ვიდრე მარცხენა ხელისა; შუალა თითის თრჩხილი სხვა თითების თრჩხილებზე უფრო სწრაფად იზრდება, ყველაზე გვიან კი ნეკის თრჩხილი იზრდება.

სითბო სხეულზე ყველა მხრითგან მოქმედობს; ტერმიული მდგომარეობა სწორმხრივანია (ეკვატორიალური). მაგრამ თუ სხეულს სითბო თანაბრად არა ხვდება ყველა მხრიდგან, თუ ორი მხარე სხვა და სხვა ზომით თბება, მაშინ სხეული ცალმხარეზე იხრება. ამ მოვლენას უნდა დავარქვათ ტერმოტროპიზმი, ხოლო მისს გავლენას—ტერმოტროპიული მოდუნვა. ზაფხულის საშინელ სიცხეების დროს. 1911 წლის მკათათვეში, რამდენიმე სანთელი დავდგი ბუხრის თავზე. ერთი მათგანი რამდენსამე დღის უკან ცალ მხარეზე გადიხარა, სახელდობ სარკმლისაკენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდგანაც საშინელი სიცხე შემოდიოდა (35° ჩრდილში და 45° მზეზე); მეორე სანთელი მოდუნვის შემდეგ 180° მოიხარა, მერე ტოტტოტათი გასწორდა და ისევ მოიხარა სარკმლისაკენვე; მესამე სანთელს ხშირ-ხშირათ ვატრიალებდი, ასე რომ იმას თითქმის არცკი დასტეობია ეს ტერმოტრობიული მოდუნვა, რაიცა ასე საკვირველად ემჩნეოდა დანარჩენს.

ბავშვი სკოლაში სწორედ მაშინ არის, როცა მისი სხეული ასე სწრაფად იზრდება, როცა მისი სიცოცხლე სდუღს და გადმოდის, როცა მის სხეულის ყველა ორგანოებს წონა ემატება და იზრდება. განა რომ ხსენებულ სანთელს მოგვაგონებს ბავშვი, ერთსა და იმასვე ადგას დაკრული! და სწორედ მის გახურებულ ზრდის დროს ტერმოქიმიურნი და სხვა სხვანი მხოლოდ ცალ მხრიდგან ხვდება, ე. ი., მარცხნიდგან. და კიდეც ამიტომაა, რომ სახიჩრდება სატოდავი და სანთლის მსგავსად გვერდელა ხდება...

ზაფხულობით შუადღესა და საღამოს 6 საათს შორის საზოგადოდ მეტად ცხელა ხოლმე. ამ დროს ცხოველები თავს არიდებენ სინათლესა და სიცხეს, ამ სინათლეს რომ მოსდევს ხოლმე, მაშასადამე, წარმოადგენენ ნიშანს უკუქცეულ ფოტოტროპიზმისას და ერიდებიან მეტად ძლიერ ატეხილობას.

ბავშვის ზრდისათვის ორი რამაა საჭიროვო, — ამბობს Maurice de Fleury: ნიადაგ სუფთა ჰაერი და მზის სხივები სამგვარის თვისებით შეზავებული: სითბოთი, სინათლითა და ქიმიურად დამუშავების თვისებითა. სამივე ეს აუცილებელია სიცოცხლისათვის.

ს

ეროვნული

სახურავი გავუკეთოთ, მაგრამ საქმე ის არის, რომ მზის სხივები ხირდახირ მოხვდება, შიგ ადგილათ გაატანს და ზაფხულობით შუშა მეტათ გახურდება, ხოლო ზამთრობით ცივი იქმნება; გარდა ამისა, შუშის სახურავს ხშირად მტვერი დაედება და მუდამ მისს წმენდას დიდი დრო და შრომა დასჭირდება; თოვლი და წვიმის წყალიც ხშირად დაჭყარავს სახურავს; ყოველსავე ამა უხერხულობას რომ თავი დავანებოთ, თავიდან წამოსული ჩრდილი სახეზე ჩამოგვეფარება და ეს კი სასურველი არ არის. ასეთ სინათლეს მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში შეგვიძლია დავსჯერდეთ: მხატვრებსა და მხაზავებს ასეთი სინათლე სამეოფად მიაჩნიათ და შეიძლება მოსწავლეთათვისაც საკმაოდ მივიჩნიოთ.

ხირდახირი სინათლე მეტად მომჭრელია თვალებისა, მაშინაც კი, სარკმელი ტოტა მოამადლოთ რო გავაკეთოთ.

ზურგს უკანიდგან მომავალი სინათლეც სანატრელი არ არის, რადგან ზურგიდგან და თავიდგან წამოსული სინათლე სრულს განათებას აბრკოლებს. **ჩრდილოეთიდგან** შედარებით ზომიერად მოდის სინათლე, მაგრამ საზოგადოთ სამეოფი არ არის. **სამხრეთის** სინათლე უფრო ძლიერია, მხოლოდ უსწორმასწორო და ხანდისხან მეტათ მხურვალეც. **აღმოსავლეთი**, საიდანაც მზე ამოდის, და **დასავლეთი**, საითკენაც მზე ჩადის, დღის სინათლისათვის უხერხულად უნდა ჩაითვალოს.

შავათ შედებილი სასკოლო ავეჯი და მუქი ტანისამოსი შეგირდებისა ბევრ სინათლეს იკრეფს; ამიტომ საჭირო დია ან უვითელი ფერი მერხებისათვის, რუხი ან მოუვითალო — შეგირდების ტანისამოსისათვისო, — დასძენს დ-რი True, ქომაგი სინათლისა.

ამ უკანასკნელ ხანებში ლოზანში (შვეიცარიაში) სასკოლო შენობებს ისე აკეთებენ, რომ სინათლე ყოველმხრიდგან შემოდის. დ-რი Combes მეტად კმაყოფილია ასეთის განათებისა. ჩვენის აზრითაც მხოლოდ ასეთი განათება უნდა ჩაითვალოს ჰიგიენურად ყოველის მხრივ.

თავის დდეში არ ითქმის, დდისით სახლის ყოველი კუთხე ჭარბად არის განათებულიო, ყოველ კუთხეს უხვათა ხვდება სინათლეო. **იდეალი** სინათლისა მხოლოდ გაშლილი ჰაერია, სადაც სინათლის ტალღა ყოველის მხრიდგან თანაბრათა გეხვდება.

ჩვეულებრივი ჭერი, ცივი და დაბრმავებული კედლები, ოთახს გვიბნელებენ იმ ზომამდე, რომ ფრინველი თავის დდეში არ შემოფრინდება შიგ და თუ ოდესმე შემთხვევიო ფეხი შემოუტდა, სიბნელისაგან თვალთ უბრმავდება. ასეთი ჭერი და კედლები გვრთმევენ სინათლეს და სიცოცხლისათვის საჭირო ენერგიას. ამიტომ ორივე უკუ ვაგდოთ, ფართოდ გავაღოთ, მთლიან სარკმელად გადავაკეთოთ ჩვენი ცივი და ამოქოლილი კედლები; განვაახლოთ ჩვენი ცივი და ამოქოლილი კედლები; განვაახლოთ ჩვენთა წინაპართა თაყვანისცემა მზისა **და** ჩვენს ბავშვებთან ერთად ვუგალობოთ საგალობელი მომავალ ცხრათვალა მზეს, ჩვენს მაცოცხლებელს, ჩვენს ცხოველმყოფელს; ვებანოთ მისს ოქროს სხივებში ყოველ მხრიდგან; მთელის ჩვენის ფილტვებით ძალუმად შევისუნთქოთ მყავბადი, ხშირათ ვიარეთ და გავაპოთ ჰაერი, ვინაიდგან მოძრაობა ყველაზე უებარი მხოცავია ბაქტერიებისა; მზის სხივები და სინათლე დაგვიცვავს და დაგვიფარავს ამდენის სენისაგან, ჩვენს ფილტვებს რომ დრდნის, თვალებში რომ წყალს გვიშრობს; მზის სინათლე და სხივები აგვაშორებს ათასგვარ სენს, ჩვენს ამაყსა და ძლიერ ხერხემალს რომ ხრავს, თვით ჩვენს არსებობას შუაზე რომ ჭეოფს, ამოკლებს და შავს რიდეს რომ ათარებს ჩვენს სიცოცხლეს.

ისე გავაკეთოთ ჩვენი ოთახები, რომ, როცა მზე დედამიწას დაქათქათებს, ეს ოთახები

შავათ ბირდადებულ ჯურდმულად არ გვეჩვენოს, ცივ, ბნელ ჯურდმულად; არამედ მოვაწყოთ ისე, რომ მზეს თავისუფლათ შეეძლოს შიგ შესვლა, და თუ ჭაერში მოხდენილათ განავარდებულ ფრინველს ზოგჯერ შიგ ფეხი შემოუცდა, არ შეშინდეს, ეგონოს, გაშლილ ჭაერზედა ვარო.

ათასგვარ მანქანების ხმაურობა, დაუცხრომელი ფუსფუსი, ჩვენთა კერათა გარეშემოტეხილი, ჩვენთა გულის სიდრმითგან ამოსხდარი კივილი და თვით ქარიშხალის საზარელი ღმუილი, ეოვედიგე თითქო ერთი დაუსრულებელი საგალობელი იყვეს, დედა-მიწა მზისაკენ რომ ადავლენს ხოლმე, იმ მზისაკენ, რომელიც მიწას სივრცეში აჩერებს, ათობობს და სიცოცხლეს ანიჭებს,—ამბობს Leo Errera.

ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი სინათლე გვქონდეს მზისა; ვეცადოთ, რაც შეიძლება ბირდაბირ გვიცქერდეს მზის მნათობი, გვიცქერდეს მარჯვნიდგან, წინიდგან, უკანიდგან, ზევიდგან; ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი თავისუფალი სივრცე გვქონდეს, თვალი შორს, შორს გაჭეურებდეს ცის დასავლეს; ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტად ვიმოძრაოთ და თან სიმეტრიულათ, ხერხემალი სწორეთ გვეჭიროს და მივანიჭოთ სრული თავისუფლება,—და მხოლოდ ასეთ ბირობათა წყალობით შეგვიძლიან დავაუენოთ ბავშვი ბუნებრივს გზაზე, გარმონიულად განვავითაროთ.

ბარბარე ყიფიანის ასული.

ბუნება

ქართულ ენის ეტიმოლოგიურ შენობისა.

II. შენობა და წარმოება ქართულ სიტყვებისა

(წერილი მეორე)

პიროვანი მარტივები ანუ ელემენტები ქართულ ენისა არიან აგრეთვე ერთთანხმოვანი ძირები სიტყვებისა, რასაც შემდეგ განვმარტავ.

ქართულ პიროვან ნაცვალსახელების მარტივი ძირები—**მ, ვ, გ, უ** და **რ**—ერთის მხრით, მარტივ მაჩვენებელნი—**ა, ი** და **ე**—მეორე მხრით, რაოდენიმე მარტივ თანდებულის—**შ, ჩ, წ** და **დ**—ის—წახმარებით და სიტყვის ძირების—მაგ. **ქალ, ხელ, კაც, ცემ, წერ, დენ**—მათთან ურთი-ერთ შეუღლებით ჰშენდება სიტყვიერების აუარებელი და თითქმის ამოუთვლელი მორფოლოგიური სახიერება და მდიდარი შენობა ლექსებისა ანუ სიტყვებისა კანკლედობრივს და უღვლილებრივს ცვალებადობაში, რომელთა უმთავრესი დამახასიათებელნი არიან შემდეგი ნიშნები:—**ს, მან, თ, დ** და **ო**. ანუ სხვა გვარ გამოთქმით: ქართულ სიტყვის ფაქტორებს შენობისას შეადგენენ: 1, მარტივი მანძილადები—**ა, ი** და **ე**-ნი; 2. პიროვანი მარტივები: **მ, ვ, გ, უ** და კიდევ **რ**; 3. მარტივი თანდებულები **შ, ჩ, წ** და **დ**; 4. სუფიქსები: **ელი, ული, ური, ლი, ოული** და სხვანი; 5. ცვალებადი და უცვალებადი ძირები სიტყვისა: **კაც. ქალ, შვილ,**

თავ, ქვა, ხელ, წერ, ცემ, ჭამ, ფენ ს სხვანი; 6. საზოგადო ძირეული მეხასიათენი კანკლედობა—ულვლებისა: **ს, მ**(ან) **თ, დ** და **ო**.

—

სიტყვის ძირია საწყაო აზრისა და გონებისა, ხოლო პირველები (1, 2, 3, 4 და 5) დაჰსახვენ სიტყვის ანუ აზრის გარემოებათა.—

ამ მატივების კერძოდ და ზოგადად შესწავლა პირველ საგრამატიკო საქმედ მიმაჩნია და შეძლებისადა გვარად ამ წადილით ვაჰსრულებ, თუმცა ვფიქრობ, რომ ბევრი ყმაწვილი ჯანი დასჭირდება მის სრულ-ცნობასა.

1. ქართული გრამმატიკის პიროვანი მარტივები: მ: მ-ა, მ-ი, მ-ე: მ-ა-ი-ე.

ა., ამ მარტივ პიროვან ნაცვალსახელის—„**მ**"-ანის,—როგორც შემდეგებისაც, გამორკვევა, მის კანკლედობრივ თუ ულვლილებრივ ფორმების, სახიერების და მოქმედების გაგებას თითქო ერთხელაც არავინ ჩაჰკვირვებია და ისე, უყურადღებოდ, დაუტოვებიათ ჩვენს გრამმატიკოსებსა. ნაცვალსახელი „მე" არ იბრუნვისო, მისი ნათესაობითი ბრუნვა არისო მხოლოდ „ჩემი"-ო; ან და კიდევ „ახალი აზრი" გამოუთქვამთ სწრაფად—არც ეს ფორმა „ჩემი" არისო „მე"-ის ჩამომავალიო, და დაშთენილა ეს უკანასკნელი ობლად *).

აქ საყურადღებო თუ არა საოცარი ის არის, რომ არც ერთს ჩვენს გრამატიკოსს ფიქრადაც არ მოსდის იკითხოს, თუ სად არის სათავე და წესრიგი ასეთის ფორმებისა, რომლებსაც სიტყვიერებაში მუდამ ვჰხმარობთ და რომელნიც ესოდენ მდიდრად ემსახურებიან გონების და აზრის მიმოხვრასა სიტყვიერებაში.

ეს ფორმები, რომელნიც ენა-თქმაში გაბნეულ არიან და ყოველი ქართველი მუდამ, ყოველ დღე ჰხმარობს-მეთქი, არიან: **მ**-ას, **მ**-ის, **მ**-ასა, **მ**-ისი, **მ**-ათ, **მ**-ით, **მ**-ად(ანა), **მ**-ისასა, **მ**-ისისა, **მ**-ათისად, **მ**-ითასად, **მ**-ითადის, და სხვა მრავალი; იგინი შემოჰკრიბა ჩემმა **მ**-ა, **მ**-ი და **მ**-ეს ფორმების სხმამა ერთ ჩამომავლობად, ერთ ოჯახად. ასეთი გამოკვლევა საჭიროდ არ მიაჩნდათ, არ დაუფიქრდა მას არავინ, თორემ რა ძნელი საქმე იყო ესა. მაგრამ ჩვენც თავი დავანებოთ იმ შემთხვევითს უყურადღებობასა და სათავე მოვუჰნახოთ ჩვენს პიროვან ფორმებსა, ბოლომდინ ჩავჰყვეთ, გავიცნოთ, ერთ საოჯახო ფორმების რიგზე ავნუსხოთ და ჩვენს საზოგადო სხმაზედ დავალაგოთ, როგორც ქართულ ენის ბუნება მოითხოვდეს.

ბ., ხოლო ვიდრე სათქმელს განვაგრძობდე, მეხათრება კი, მაგრამ მაინც გავბედავ და შევსჩერდები ცოტა ხანს ჰიპოტეტივს ჩემს მოსაზრებაზედ.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბგერა „**მ**"-ანი ანთროპოლოგიურ პირველ ხანებში, როდესაც ადამიანი, ასე ვსთქვათ, პირუტყვობას თავს ანებებდა, ენის ამოდგმას სცდილობდა და ნელნელ კიდეღამაც აჰხერხებდა მას, სწორედ მაშინაც ნიჰშნავდა და ფსიხოლოგიამაც იცნო იგი გამომთქმელ ნიშნად პიროვნებისა. ეს ბგერა **მ**-ანი იყო ძირითადი და საეკოლუციონო ბუნდოვანი ნიშანი იმ განყენებულ პიროვნებისა, რომელსაც დღეს,

*) თ. ჟორდანიას თქმით: „მე, ჩემი, ჩემ, ჩემდა", სად მე და სად ჩემდა? 1. ქ. გრ. თ. ჟორ. 1885 წ. გვერ. 145. 2. პ. დ. ქ. გრ. არ. ქუთ. 4 გამ. გვერ. 62. 3. ახ. ქ. გრ. დ. ყიფ. 1882 წ. გვერ. 58. 4. ს. ხუნ. და სხვებიცა.

ენის წარჩინებაში, გამოსთქვამს ქართლუ-ლი ნაცვალი „მე“. შეიძლება მეთქი, პირველ ხანითვე თავს ვინაობის მაჩვე-ნებლად ადამიანი ჰხმარობდა მარტივ ბგერას – **ममम**-ას და მასთან ერთად შეიძი-ნა მარტივი მანძილ-მაჩვენებელი ნაცვალ სახელები ახლო „ა“-ნი, შორი “ი“-ნი და შემდეგ განყენებითი „ე“-ნი, და მა-შინ, პირველ ენის ამოდგმაზედ ამბობდა დღეს მეგრულ **მ**-ას, სვანურ **მ**-ის და იქ-ნება ქართულს **მ**-ესაც. და რაკი შესძლო გარჩევა და გამოთქმა თავისს მახლობელ **მა**-სი, სხვის, შორეულ **მი**-სი და საზო-გადო **მე**-სი, მაშინ ადამიანმა გადაჰლახა საზღვარი პირუტყვობისა და შეიქმნა ადა-მიანად მეტყველად—homo sapiens ად; და ამ დიდებულმა გამარჯვებამ საწინმსვლე-ლო ენა-მეტყველად გაჰხადა ქართველი, თუ ეს სახელი ეთქმის იმა პირველ მე-ტის-მეტად შორ-ხანობის ჩვენ წინაპარს ადამიანსა.—

გ., ძირი ამ პირველ პიროვან სიტყვე-ბისა ერთი და იგივე არის ქართულსა და სხვა უცხო მრავალს ენებში—**მ**(m); იგი არის მარტივი საფუძველი ქართულ, ძველ სლოვენურ, რუსულ, ლიტევსკურ, ფრან-სიულ, გერმანულს და სხვა ენებშიაც ბოლოლობითად თუ ზოგჯერ მრავლობი-თად. მაგრამ არც ერთს ენაში პიროვანი „**მ:ა-ი-ე**“ არ შენაჰხულა ასე სრულად, აუარებელ ფორმებით, როგორც ქარ-თულში, თითქო იგი უცხო ენებში ნა-სესხებ ნივთად იყოს წატანილიო.

მ:ა-ი-ე—დიდის სიცხადით ამტკიცებს ქართულ, მეგრულ და სვანურ დიალექ-ტების ისეთს ნათესავობას, შორ და ახ-ლოდ ეროვნების დალაგებასა, რომ ნებაა-გვეძლევა ვსთქვათ, სამივენი ერთმანეთის დამატებანი არიან, „სამება და ერთარსე-ბაა“ აქა, და ამასთან შესაძლებელი უნ-და ყოფილიყო და არის კიდეც მხოლოდ ერთი სალიტერატურო ენის არსებობა, რომელიც „სამღრთოდ და სამოქალა-ქოდ“ მოღვაწეობს იმ თავით დღემდინ ჩვენ საერთო ცხოვრებაში ჩვენდა სანუ-გეშოდ.

დ., ურთიერთობა მარტივ პირველ პიროვან ნაცვალსახელისა.

	ძირი,	მეგრული,	სვანური,	ქართ. განყენებითი:
1.	**მ**— ,	**მ**-ა *),	**მ**-ი,	**მ**-ე,
2.	— ,	**მ**-ა-ს(ი),	**მ**-ი-ს(ი),	**მ**-ე-ს(ი),
3.	— ,	**მ** ა-ს(ა),	**მ**-ი-ს(ა),	**მ**-ე-ს(ა),
4.	**მ**-ან ,	**მ**-ა-მან,	**მ**-ი-მან(?),	**მ**-ე-მან,
5.	— ,	**მ**-ა-თ(ი),	(ი)**მ**-ი-თ(ი),	**მ**-ე-თ(ი),
6.	— ,	**მ**-ა-და(ნა),	(ი)**მ**-ი-დ(ან),	**მ**-ე-დ(ა),
7.	**მ**-ო ;	**მ**-აო(მამაო);	**მ**-იო(ჩე-მიო);	**მ**-ე-ო(ეო, მეო!)

*) მშობლის სახელი „მამა“ ჩვენსაში თუ სხვა ენაში განეკერებული პიროვნება არის: მა-მა, პიროვნება ახლო მარტივთა. მ. ყ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე., **პიროვანი მარტივი ყოფა-მოქმედების ურთიერთობაში.**

1. **მ**-წერ,	**მ**-ა-წერ,	**მ**-ი-წერ,	—
2. **მ**-წერ-ა,	**მ**-ა-წერ ა,	**მ**-ი-წერ-ა	**მ**-ე-წერ-ა,
3. **მ**-წერ-ია,	**მ**-ა-წერ-ია,	**მ**-ი-წერ-ია,	—
4. **მ**-წერ-ს,	**მ**-ა-წერ-ს.	**მ**-ი-წერ-ს,	—
5. **მ**-წერ-თ,	**მ**-ა-წერ-თ,	**მ**-ი-წერ-თ,	—
6. **მ**-წერ-დ(ა),	**მ**-ა-წერ-დ(ა),	**მ**-ი-წერ-დ(ა),	—
7. **მ**-წერ-ო;	**მ**-ა-წერ-ო;	**მ**-ი-წერ-ო;	**მ**-ე-წერ-ო.

მეგრული „**მ**ა"-თი, სვანურ „**მ**ი"-თი ქართლელი ჰსახვიდა მათ ბრუნვებში—მასი, მასა, მისი, მისა—მესამე პიროვნებასა, ხოლო „მე"-თი ზოგადად ყოველს პირველს პიროვნებასა. ფსიხოლოგიამ ეკოლუციამ ესრედ განაწესა, როგორც, მაგ., დღესაც იმერეთელი თავის თავს „იმერელს" უწოდებს თავისიანებშიც, რადგან „აღმოსავლეთში" იყო დედა ბოძი არსებობისა აღმართული.

შენიშვნა. „Культъ женщины и рыцарство въ поэмѣ" Шоты из Руставы(?). Н. Марра. გვერდი IX, § 3, გამოტან. შენიშვნა 1. Основа „რჭმ" და სხვა. („მორჭმული").

—

უკეთუ სახელ-ზმნა ანუ ყოფამოქმედების ძირი ჰბოლოვდება, ასე ვსთქვათ, ქართულ ერთ „განუსაზღვრელ" დაბოლოებით—„**მა**"-თი, მაშინ იგი ძირი ზმნისა ყოველთვის ჰქმნის, სხვათა შორის, ასეთს სახიერებას—X-**მულ**-ი.

ავიღოთ ამგვარ სახელ-ზმნებიდან სამაგალითოდ ორი ზმნა და მოუძებნოთ მათ ცვალებადობაში ძირი სიტყვისა.

1. პირველი: რჭ-მა: მი-**რჭ**-ო, ჩაი-**რჭ**-ოს, შეი-**რჭ**-ე შე-**რჭ**-ოდა, შეუ-**რჭ**-ეს და სხვა.

აქ სიტყვის ძირად უნდა ვიცნოთ „რჭ" და არა „რჭმ", რამეთუ უკანასკნელი ნაძალადევია, ხოლო პირველია ბუნებრივი.

2. მეორე: რტყ-მა: მოი-**რტყ**-ი, შემოი-**რტყ**-ას, შემოა-**რტყ**-ა, შემოი-**რტყ**-ეს და სხვა.

აქაც სიტყვის ძირად არ იცნობა „რტყმ", არამედ „რტყ", რადგან პირველი ნაძალადევია, ხოლო უკანასკნელია ბუნებრივი.

სახელ-ზმნის ბუნებრივ ძირების ნიშნად ავიღოთ ზოგადად, x, პრეფიქსების ნიშნად ვიჰხმაროთ y, ხოლო მესამე ფაქტორად სიტყვის ცვალებადობისა თუ წარმოებისა მოვიშველიოთ ბუნებრივი ქართული სუფიქსი „მულ". მაშინ შეგვექმნება ასეთი საზოგადო ფორმულა: y+x—მულ-ი.

ახლა ვსთქვათ x=ბ, ჯ, ს, ც, ფს, ღგ, თქ, რჭ და რტყ; ხოლო y=მ, მი, და, ჩა, შა, შე, წა და სხვა.

აქედან, ჩვენ ზოგად ფორმულიდან—

y+x—მულიდან გამოგვეცხადებიან შემდეგი ცოცხალი სიტყვების სახიერებანი: მო-**ბ**-მული, მო-**ს**-მული, მო-**ც**-მული, მო-**დგ**-მული, მო-**თქ**-მული, მო-**რჭ**-მული, მო-რტყ-მული, გადმო-რტყ-მული და სხვანი, იმისდა გვარად თუ რომელს პრეფიქსს ან სიტყვის ძირს ვამოჰქმედებთ.

ადვილი იყო სხვა ბევრი მაგალითების ამოწერაცა, ქართულ სიტყვების ფორმადობისა, მაგრამ აქ რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი, როდესაც ვჰხედავთ სწორედ ქართულ ენის კანონიერებასა, რომლითაც ირკვევა სიტყვა **მორჭმული**. ეს ერთი.

მეორე ის არის, რომ ძველად ქართველი ყოველ იარაღს სამამაცოსა ატარებდა და დღეს ამასვე ვჰხედავთ ქობულეთში, აჭარაში და ლაზისტანშიაც, ატარებდა სარტყელში გარჭობილ, წელს სარტყელი ერტყა და ამ სარტყელის გარშემო თუ გვერდებზედ ე-**რჭ**-ო დანა, ხანჯალი, სატევარი, ფისტო და მათრახიც.

მე კარგად მაჰხსოვს, რომ 1856 წელს რაღაც გარემოებამ შემოიყვანა ჩვენს სოფელში ერთი გურული თავისებურად ჩაცმული და შე-იარაღ-ებული.

ცქვიტი გურული, მგონი, რომელიღაც თ-დ გურიელს გამოეგზავნა მამაჩემთან წერილით. თავადი ძმური მოკითხვისა და სალმობის შემდეგ იწერებოდა: თქვენი ძმის დიმიტრის რჩევა მსჭირია და გემუდარებით მისი ამბავი შემატყობინოთო. მაჰხსოვს უფრო იმიტომ, რომ მთელი სოფელი ამ „უნახავმა“ გურულმა თავის ცქვიტი მიხვრა-მოხვრით, ლაპარაკით, უჩოხო ჩაცმულობით, სიტყვა-პასუხით და მი-რჭ-ობ-მო-რჭ-ობილ იარაღით ფეხებზე დააყენა, ყველას უნდოდა დაენახა, ყველას ღიმილი და სიცილი მოსდიოდა, მას აედევნა დიდი და პატარა.

მაჰხსოვს დედა-ჩემმა და ჩვენმა გადია ბედმამკიმ გაჯავრებით გამოგვიცხადეს დიდებსაც და ბავშვებსაც: მოჰშორდით, ნუ დასდევთ მაგ უცხო კაცს, „ბატონს“ ეწყინებაო; ბედმამკი კი პირდაპირ იწყევლებოდა: „რამ გაგასულელათ, თქვე ღმერთ-გამწყრალებო, დაიკარგენით, „ყმაწვილმა“ (ე. ი. მამა ჩემმა) არ დაგინახოთ, თორემ...

— ჰო-და რამდენი რამ გაურჭვია, ეეპე, მაგ გურიელსა სარტყელში! მძიმედ წამოსთქვა ბიძა ჩემმა გიორგიმ.

— აი სწორედ ეს არის რომ იტყვიან,— „სარტყელი მივი-რტყ-ი, მოვი-რტყ-ი, მო-რტყ-მული დავიარები“ კი არა: სწორედ: იარაღი მივირჭე, მოვი-რჭ-ე, მო-რჭ-მული დავია-რებია“, ლაბოლოვა მოხუცმა დიდ ეტანტმა. აი, რას მოიჰსმენდით მოხუცი გიორგისაგან მაშინ, თქვენ ბ-ნო **ნ. მარრ**, დაბადებული რომ ყოფილიყავით და ამ ამბავს დასწრებოდით.

თუ არა ვსცდები იმის ახსნა, თუ რას ნიჰშნავს სიტყვა „მორჭმული“ სრულებით არ ჰსაჭიროებს სომხურს სკოლის, დპროწის ლინგვისტიკობას. ნუ გეწყინებათ და აქ საბელადო რამ არა არის რა. სად ქართული „მო-რჭ-მული“ და სად სომხური „hrtwan“-q?!

რაიცა შეეხება იმ მოსაზრებას, რომ „**ტირილს**“ უპირდაპირებთ „**მორჭმულობასა**“ და ამის საბუთად ამოიწერთ რუსთველის სიტყვასა: „**თქვენ მორჭმულნი ჰთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ღაწვსა ვჰბანდით**“-ო, და რომ თქვენ აქედან გამოგჰყავთ ვითომ მო-რჭ-მული ნიჰშნავდეს жизнерадостност-ობასა— ესეც მოძალადე ფიქრია.

თქვენ კარგად მოგეჰხსენებათ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლოვა-მწუხარების დროს კაცი (ტარიელი) იარაღით კი არ იმოჰსებოდა, არამედ იარაღს ივიწყებდა და კიდევაც აიჰყრიდა, ხოლო სანადიროდ, სალაღობოდ, საჯაროდ და საომრად გამოსვლის დროს (როსტევანი და ავთანდილი) ვაჟკაცი თუ ქაბუკი **მო-რჭ-მული** იყო იარაღითა, მაშინ გულმაგრად, მხიარულად და ლაღად იყო, ღიმილი და არა ტირილი მოსდიოდა.

დღეს და, მგონია, რუსთაველის დროსაც, მო-რჭ-მულობა ნიშნავდა არა მხოლოდ ღა მომაკვდინებელ იარაღის თანქონასა, არამედ ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად მო-რჭ-მულებასა, შეიარაღებას და აღჭურვასა. როსტევან და ავთანდილ, რუსთაველის გამოქანდაკებით, ყოველ შნოიან ღირსებით იყვნენ მო-რჭ-მულნი თუ შემოსილნი, ყოველივე საკეთილდღეო გარემოებით სავსენი: „მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორჭმ-ული, განგებიანი, თვით მეომარი უებრო, კვლავ მოუბარი წყლიანი“.

მეცნიერებაში და კერძოდ გრამმატიკაში პირად ძალადობას აზრი არა აქვს, როგორც მოგეჰხსენებათ; ბუნებრივს კანონს იურიდიული მნებელობა ვერ ეკარება, ვინც უნდა იყოს ამისდა მსურველი, „იქანეი“ „უჩიტელი“ თუ „აქანეი“ იუსტინე აბულაძე. ქართული ენა, შე დალოცვილის შვილო, არა „მეცნიერებმა“, არამედ ჩვენმა წინაპრების „დილეტანტობამ“ შეჰქმნა, რადგან შთამომავლობით განიცდიდენ მას და ჭკუას ძალას არ ატანდენ. ან რად უნდა აჯავრებდეს ერის დილეტანტობა თქვენს მეცნიეროებას? არ გვესმის, ჭეშმარიტად.

2. მარტივი პიროვანი ნაცვალსახელი „ვ“-ინი: ვ-ა-ი ე.

ა., ვ-ი: ვ-ისი, ვ-ისა, ვ-ისით, ვ-ით, ვ-ითად, ვ-ისითა, ვ-ინ, ვინმე, ვ-ისითად, ვ-ეთნიმე და სხვა.

ან: ვ-წერ, ვ-ა-წერ, ვ-ი-წერ, ვ-ე-წერ-ე; ვ-დებ, ვ-ი-დებ, ვ-ა-დებ, ვ-ე-დებ-ი და სხვა.

ბ, ეს მარტივი მსახურებს მეტყველებაში პირველ პირის მომქმედ ნაცვალსახელად.

შეიძლება ვიჰფიქროთ, რომ უუძველესს ქართულში ამ მარტივს საერთო ანუ საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც რუსულში „Самъ“, „себя“ ან ფრანსიულში „même“ (მემ), რაიცა სჩანს შეთანხმებაში — მე=ვე, შენ=ვე, ის=ვე, ჩვენ=ვე, თქვენ=ვე, ისინი=ვე, ეგ=ვე, ხე=ვე, სახლი=ვე, ე. ი. მე=თითონ, თითონ=ხე და სხვა.

გ., შესანიშნავია ის შედარებითი დაკვირვება, რომ ეს მარტივი პიროვანი ნაცვალი კერძო სიტყვებად იხმარება ქართულს ენაში მხოლოდ შორმანძილ „ი“-ნთან შეუღლებით, როგორც მოყვანილ მაგალითებიდან სჩანს, გარნა უღვლილებრივს ფორმადობაში ახლო მარტივ „ა“-საც და ე-საც ერთვის: ვა-წერ, ვ-ე-წერ-ე; ვა-დებ, ვ-ე-დებ-ი.

დ., რუსულში იგი პირუვნულივეა, მრავლობითი და ირთავს ახლო მანძილადს „ა“-ნსა: Вы, Васъ, в-амъ в-ами. ქართულში „ვ“-ნი კერძოდ „ა“-ნთან აზრდაკარგულია და თანაჰქმედობს მხოლოდ ზმნების უღვლილებრივს ფორმებში, როგორც ზემო მაგალითებში სჩანს.

ამ მარტივზედ აშენებულარიან რუსულში—в-сѣ, в-есь, в-сего და სხვა. ფრანსიულში vous (ვუ=თქვენ), გერმანულში: wess, wem, wen, was; ინგლისურში we (ვე ან ვი=თქვენ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე., **პიროვნული მარტივი „ვ"-ი ურთიერთობაში.**

1. ვ-ი,	ვ-ი-ს-ი,	ვ-ი-ს-ა,	ვის,
2. ვ-ი-ს(ი),	ვ-ი-სი-სი,	ვ-ი-ს-ა-ს-ი,	ვის-ს(ი),
3. ვ-ი-ს(ა),	ვ-ი-სი-სა,	ვ-ი-ს-ა-სა,	ვის-ს(ა)
4. ვ-ი-ნ,	ვ-ი სი-მან,	ვ-ი-ს-ა-მან,	ვის-მან
5. ვ-ი-თ(ა),	ვ-ი-სი-თ(ა),	ვ-ი-ს-ა-თ(ა)	ვის-თ(ა),
6. ვ-ი-დ(ა?)	ვ-ი-სი-დ(ან),	ვ-ი-სა-და,	ვის-დ(ა),
7. ვ-ი-ნ-ო,	ვ-ი-სი-ო;	ვ-ი-სა-ო;	ვის-ო. და სხვა.

3. შედარება პირველ პიროვან ნაცვალსახელებისა—„მ"-სა „ვ"-სა.

ა. ქართულ სიტყვიერებაში, როგორც ვიცით, პირველი პირის გამომთქმელად არის ორი მარტივი ნაცვალსახელი „მ" და „ვ". მა, მა-სი, მა-სა, მა-მან, მა-თი, მა-და(ნა); მი, მი-სი, მი-სა, მი-თი, (ი)მი-და(ნ), ან: ვი, ვი-სი, ვი-სა, ვი-თა. ეს ბრუნვითი ფორმები ამ ნიცვალსახელებისა „მ-ნის ა-ნთან და ი-ნთან შეერთებით და ვ-ნის მხოლოდ შორმანძილ ი-ნთან შეერთებით გვიჩვენებენ მესამე პიროვნების ნაცვალსახელობასა, ხოლო ორივენივე უღვლილებაში ჰსახვენ პირველს პიროვნებასა: **მა-**წერ, **ვა-**წერ, **მი-**წერ, **ვი-**წერ; **მე-**წერ-ა, **ვე-**წერ-ე. **მ-**ცემ, **ვ-**ცემ; მა-დენ, ვა-დენ, მი-დენ, ვი-დენ, მე-დინ-ე, ვე-დინ-ე და სხვა.

ამ ორი მარტივის შედარება უღვლილებაში გვიჩვენებს იმათს განსხვავებულს მსახურებასა: ზემო მაგალითებში მარტივი „მ"-ანი არა თვითმომქმედი პიროვნებისა არის, არამედ მხოლოდ დამატებაა მოქმედებისა: მ-წერ, მა-წერ, მი-წერ, მე-წერ-ა, მი-წერ-ია, მა-წერ-და, მი-წერ-და და სხვ. ხოლო შემდეგ მაგალითებში—ვ-წერ, ვა-წერ, ვი-წერ, ვა-წერ-ე, ვ-ეწერ-ე, ვა-წერ-დი, ვი-წერ-დი—მარტივი „ვ"-ინი არის ნაცვალი პირდაპირ მომქმედი პირველ პირისა, არა დამატება არის მოქმედებისა, არამედ თითონ არის იგი გამომცემი გადამალ მოქმედებისა. უღვლილებაში მარტივი პირველ პირის ნაცვალი „ვ"-ინი განაცხადებს მოქმედების წამომართვასა მის-მიერ ან მისადვე, ხოლო მარტივი პირველ პირისვე ნაცვალი „მ"-ნი გვაგონებს გარედან მისად, მისათვის ან მაზედ მომართულს მოქმედებასა და მაშასადამე არა თვითონ არის მომქმედი, არამედ მიიღებს გადმომავალს მოქმედებასა და დამატება არის მოქმედებისა. შემდეგ კიდევ მაგალითებში—ვ-წერ, ვა-წერ, ვი-წერ—ჩემი პირადი მოქმედება ჩემმიერ სხვისად ან ჩემადვე მიმართვის, ხოლო მაგალითებში—მ-წერ, მა-წერ, მი-წერ—მარტივი „მ"-ნი ნიჰშნავს სხვის მოქმედებას ჩემდა მომართულს, და თითონ მიიღებს გადმომავალს მოქმედებასა.

მარტივი ნაცვალსახელი „ვ"-ნი თავის მომქმედს ხასიათს ჰკარგავს, როდესაც უერთდება მესამე პირის მარტივს „გ"-ნსა, და თითონ მიიღებს მოქმედებასა გარეშედ. მაგალითად: გვ-წერ, ა-გვ-წერ, გვა-წერ, ჩაგვ-წერ და სხვა. თუმცა შემდეგ ისევ თვითონ გამოსცემს თხრობილს მოქმედებასა — გვი-წერ-ია, გვი-ცემ-ია და სხვა.

4. მარტივი პიროვანი ნაცვალსახელი—„გ“.

მარტივი ნაცვალსახელი მეორე პირისა არის „გ“-ანი: ა-**გ**-ი, ე-**გ**-ე; **გ**-წერ, **გ**-ა-წერ, **გ**-ი-წერ, **გ**-ე-წერ-ა, ა-**გ**-ი-**წ**ერ, ე-**გ**-ე-**წ**ერ-ა, **გ**-ა-**წ**ერ-თ, **გ**-ა-**წ**ერ-და, შე-**გ**-ა-**წ**ერ-ოს და სხვა. აქ მარტივ პიროვან ნაცვალ—„**გ**“-ნს აფერადოვნებენ ჩვენი მანძილადი მარტივები—**ა**, **ი** და **ე**-ნი: ა-**გ**-ი კაცი აქ არის, ი-**გ**-ი კაცი იქვე დარჩენილა; ვინ არის-და—ე-**გ**-ე, მეთქი; ა-**გ**-ი თუ საგნის სიახლოვეს გვიჩვენებს, ი-**გ**-ი საგნის სიშორესა, ხოლო ე-**გ**-ე გვიჩვენებს საგნის შენთან ყოფნასა მანძილგარეშედ.

საფიქრებელია, რომ ჩვენი ახლო და შორად მაჩვენებელი „ა-**გ**“ და „ი-**გ**“ ფსიხოლოგივმა ჩვეულებამ გამოთქმით გადაჰქმნა შორ და ახლო ალაგობრივობის ზმნის-ზედებად—„ა-ქ“ და „ი-ქ“.

5. მარტივი ნაცვალსახელი პიროვანი მესამე—„უ“-ნი.

მარტივი პიროვანი „უ“-ნი არის ნაცვალი მესამე პირისა; მეტყველებაში არ მოქმედებს, კერძო სიტყვად, არცოუ სხვებთან, სხვა მარტივებთა შეკავშირებულად, როგორც ზემოხსენებული მარტივები ჰფორმადობდნენ, არამედ მხოლოდ ყოფა-მოქმედებაში არის მესამე პირის ურთიერთობის მაჩვენებელი: უ-**წ**ერ-ია, უ-ცემ ია, უ-თვლ-ის, უ-**წ**ევ-ს, მი-უ-ღ-ია, ამო-უ-შლ-ია და სხვა.

აფხაზურს ენაში, როგორც ქართულის შორეულ მონათესავეში, ეს მარტივი „უ“-ნი შენახულა განვითარებულ პიროვნულ ნაცვალსახელად: უ-არა უ-ყოფ=ი-ყოფ-ის, უ-არა უ-ყან=ი-ყო. აქ აფხაზური „უარა“=ი, ის, იგი არის ნაცვალი მესამე პირისა, რომელიც უღვლილებაში მარტივად შედის: უ-ყოფ, უ-ყან. საზოგადოდ არა მარტო მეგრულ და სვანურის შესწავლა არის საჭირო ქართულ ენის შემეცნებისათვის, არამედ აფხაზურ ენისაცა.

აფხაზური არსებითი ზმნა „ყოფ, ყან“ შემუშავებული მქონდა ყველა უღვლილების ფორმებში, მაგრამ მხეცმა ხულიგანებმა „გაჩხრეკის“ დროს ამ ოცდა რვა წლის წინად ხელების სულელურს ფათურში დამიკარგეს, გაუწყრათ ჩემი გამჩენი.

მეტად საგულის-ხმიეროა და სასურველი, რომ შეგროვდეს და ჩაწერილიყოს ეს არსებითი აფხაზური ზმნა—„ყოფ-ყან“.

6. მარტივი „სახიფათო“ ელემენტი „ს“-ანი.

ვჰფიქრობ, რომ იმთავითვე, როდესაც კაცობრივს ჩვენს „წინაპარ“ ჯერ ენა არ ამოედგა, ერთ მოხერხებულ ხმით თუ ბგერით თავისიანს ასმენდა მტრის ან სხვა რაიმე ხიფათის მოახლოვებასა, საზოგადოდ ამ მარტივით აფრთხილებდა ნათესავს და ეს ხმა უნდა ყოფილიყო „სსს...“ სწორედ ეს არის ამისთვის „ზედ გამოჭრილი“, —**ადვილად შორ და ახლო მისაწდომი ხმა, რომელიც ერთნაირად, მკრთალადაც ბ ა შკარადაც გამოითქმის.** დღესაც ეს „სისინი“ ადამიანის წარმოდგენაში ჰბადავს გაფრთხილების, ყურადღების თუ სიშის ემოციასა; დიდს ხმაურებას სპობს, სიჩუმეს გამოიწვევს. რაც უნდა აურზაური იყოს ატეხილი „სსსს“-ს გამოთქმა ანელებს ხმაურობასა უნებლიედ, და იჰფიქრებთ, რომ აქ მოჰქმედებს შორ-შორიდან შთამომავლობით ალღო სიფრთხილის საჭიროებისა. საფიქრებელია, რომ როგორც ინდოევროპიულ ენებში, ისე ქართულში ეს მარ-

ეროვნული

ტივი ენა-მეტყველობისა სწორედ ამ ხასიათით შესულა კანკლედობაში და უღვლილებაშია, ამ უმთავრესს დარგების ლექსთა წარმოებისაში.

ამოვშალოთ პირველ რთულიდან— „ის“-იდან მისი შემადგენელი ელემენტები. აქ პირველი არის შორმანძილადი მაჩვენებელი „ი“-ნი და მეორე „ს“-ნი, ნიშანი გაფრთხილებისა თუ ყურადღებისა— ასე ვსთქვათ. თითონ „ი“-ნი მაჩვენებელი ნაცვალია მეთქი, და რა საჭიროებამ მოითხოვა მასთან ერთად „ს“-ანი თუ არა ყურადღების ქცევამ. მაშასადამე მათი რთულება— „ის“ გვიჩვენებ საგანსა შორად და ამასთანვე გაფრთხილების, ყურადღების, თავის შველის საჭიროებასა, რასაც უეჭველად უნდა აღნიშნა მესამე პირის ნაცვალსახელობა და, მართლაც, ასეთად დამკვიდრდა იგი სიტყვიერების წარმობაში. კერძოდ „ი“-ნი თითონაც იგივეს აჩვენებს, მაგრამ „ს“-ის მიმატებით მხოლოდ აღონიერებს „ჩვენებასა“.

ასეთი სანამცეცო ანალიზობის წარმოდგენა უეჭველად გამოჰყოფს ნათესავოთ და მიცემით ბრუნვების მეხასიათეს „ს“-ანსა გარეშედ ა-ნისა და ი-ნისა და არა სტოვებს მათთან შერთულად, როგორც დღემდინ გვეუბნებოდნენ ჩვენი გრამმატიკოსები და იქნება(?) ევროპიელებიცა. (ბუნება ქ. ენ. ეტ. შენ. 1911 წ. წ. I. გვერ. 19. მ. ყ.).

ს-ა, ს-ი, ს-ე; ა-ს, ი-ს, ე-ს, ი-ს-ი, ა-ს-ე, ი-ს-ე, ე-ს-ე, ე-ს-ა,— აღნიშვნენ და განსაზღვრენ ჩვენებას მანძილადობით და გარეშედ ერთის მხრით ა, ი, ე-ნით და მეორეს მხრით გამაფრთხილებელ-მაჩვენებელ ნიშნით— „ს“-ითა.

დედ-ა, დედ-ა-„ს“, დედ-ი-„ს“: აზრია სიტყვის ძირში— დედ, ი და ა-ნი მანძილადი გარემოებანია წარმოდგენისა, ხოლო „ს“-ის ზემონათქვამ იმ მარტივი გაფრთხილების მნიშვნელობა ფსიხოლოგიას განუვითარებია კანკლედობა-უღვლილებაში ან ყოფა-მოქმედებათა ურთიერთობის ნიშნად და მაჩვენებლად.—

ამ მეორე ჩემი წერილის ბოლოს ვიტყვი, რომ ჩვენი ენის ელემენტების ყოველმხრივად შესწავლა შეგვაძლებინებს მის ბუნებრივ შენობის გულისხმიერებასა და გონივრულად მის გათვალისწინებასა.

შეთანხმებულად სწავლა, კვლევა და თავისუფლად შეგნება ქართულ ენის თვინიერებისა დიდი სამეცნიერო მიზანია და სწორედ ჰღირს, რომ ამ საგანს ემსახუროს ყმაწვილი მხნე ძალღონე.

მე ენით გამოთქმულ აზრსა და იდეაზედ არ ვლაპარაკობ, არამედ თვითონ იმ დიდებულს უკვდავ ბუნება-ტაძარზედ, რომელზედაც ძვირფასი, უმშვენიერესი და უმდიდრესი არა აქვს რა ქართველობასა და არც არასდროს ექნება.

ერი, ქვეყანა და ენა-თქმა— აი რაშია გამოსკვნილი არსებობა ქართველობისა.

მ. ქ. ყიფიანი.

12/IV—1912 წ.

ქ. ტფილისი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლე საუბარი

ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან

VII.

ჩემო მეგობარო! ჩვენი საუბრების დროს შენ არა ერთხელ და ორჯერ გსმენია, რომ ჩვენს სხეულში ყველაფერს ტვინი და ტვინის ძაფები — ნერვები განაგებენო. მაშ ეხლა ური-გო არ იქნება, რომ თვით ტვინის აღგილ-მდებარეობა, შენობა და დანიშნულებაც გავი-თვალისწინოთ.

ტვინი ორია: თავის ტვინი და ხერხემ-ლის ტვინი. პირველი მოთავსებულია თავის ქალის სიღრუეში და მთლად ავსებს მას. ამ აღგილიდგან ამოღებულ ტვინს რომ ზევიდ-გან დავხედოთ, შეგამჩნევთ რომ სიგრძეზედ გრძელი ნაპრალით ორ თანასწორ ნაწილად არის გაყოფილი, რასაც ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახევარ სფეროვანი ეწოდება. ტვი-ნის უმთავრესს ნაწილს სწორედ ეს ნახევარ-სფეროვანნი შეადგენენ და სახელად დიდი ტვინი ეწოდებათ. ქვემოდგან მათ მიებმის თავის ტვინის ნაწილი, რომელსაც მოგრძო ტვინი ჰქვიან. ეს უკანასკნელი კისრის პირველ-ი მძიმის გასწვრივ ხერხემლის ტვინს უერთ-დება და ზევით კი ერთ ამობურცულ აღ-გილს, რომელიც ბროლის ხიდის სახელს ატარებს. აქვეა კიდევ პატარა ტვინიც. ამას გარდა ტვინში კიდევ რამდენიმე ნაწილი გა-ნირჩევა, მათში უფრო შესანიშნავია ოთხ-ბორცვოვანი და ტვინის ფეხები, ან კვარცხლ-ბეკი. ტვინი რომ დანით გადავჭროთ შეგ-ნიშნავთ, რომ იგი ორნაირი ნივთიერებისაგან შესდგება. გარედგან გადაკრული აქვს ლეგა, რუხი ნაწილი, რომელსაც ტვინის ქერქს ეძახიან და შიგნით კი თეთრი. ტვინის ეს ნივთიერებანი ურთიერთისაგან თავის შემად-გენლობითაც განირჩევიან. რუხ ნივთიერებას რომ გამადიდებელი შუშით, მიკროსკოპით დავუკვირდეთ, შევნიშნავთ, რომ იგი უჯრედე-ბისაგან შესდგება, რომელთაც მრავალი ტო-ტები აქვთ. თეთრი ნივთიერება კი შესდგება ტვინის ძაფებისა ან ნერვებისაგან. ტვინის რუხ ნივთიერებაში მოთავსებული უჯრედები ჩვენი სულიერი, სიტყვიერის და მოქმედების ბუდედ და წყაროთ — ცენტრად ითვლებიან, ნერვე-ბი, ტვინის ძაფები, შთაბეჭდილებების და გრძნობების გამტარებლებად და მიმდებად. ტვინის ძირა ნაწილიდგან თორმეტი წყვილი თავის ნერვები გამოდიან. ისინი ზოგი თავის ძვლების სხვა და სხვა ნახვრეტებში გამო-ძვრებიან, ზოგი მოგრძო ტვინით ბროლის ხიდით ძირს დაეშვებიან, აქ-გზაჯვარედინს აკეთებენ, ხერხემლის ტვინში გადადიან და მისი საშუალებით მთელს სხეულს ურიგდე-ბიან. ზოგიერთი ამ ნერვებში, როგორც მაგ. მხედველობის, სმენის, გემოვნების ნერვებს და სხვათა მიაქვთ ტვინთან ჩვენგან ნაგრძნო-ბი და ამიტომ იწოდებიან **მგრძნობელო-ბის ნერვებად** *). სხვათ ტვინიდგან მოაქვთ ბრძანება სხეულის სხვა და სხვა ნაწილებთან, მოჭყავთ იგინი მოქმედებაში და **მოძრაობის ნერვებად იწოდებიან** **).

---

*) სხვა ნაირად ამ ნერვებს ეწოდებათ **ცენ-ტრისკენ მიმსწრაფნი**, რადგან მათი საშუალე-ბით ჩვენს სხეულს გარეშე ქვეყნიდგან ნაგრძნო-ბი მიისწრაფის ტვინში, მის ცენტრს გადაეცეს.

) ამ ნერვებს კი სხვანაირად **ცენტრიდგან მიმტოლველნი ჰქვიათ. რადგან ტვინის ბრძა-ნებას სხეულის ყოველს ნაწილს ატყობინებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანის ტვინის ზედა პირი, სახელდობრ ტვინის ქერქი დადარულია მრავალი ჩადრმავებული ადგილებით, რომელთა შუაც მოთავსებულია ტვინის ნაოჭები ან ხრტულები. ამას გარდა ტვინის ნახევარ სფეროვანი კუთხეებათ დაიყოფებიან. სახელწოდებას ეს კუთხეები ღებულობენ თავის ქალის იმ ძვლის შიხედვით, რომლის ახლოსაც მათ აქვთ მდებარეობა. მაგ. არის კუთხე შუბლის, კეფის, თხემის და საფეთქლების ნაწილისა. ამ კუთხეებში მოთავსებულია ნერვების სხვა და სხვა ბუდეები ან ცენტრები. მაგ. კეფისაში მოთავსებულია მხედველობის ნერვის ცენტრი, რომლის გაფუჭება ან დაავადება სიბრმავეს იწვევს და სხვანი. ტვინის ნაოჭები და მისი **ხრტულები** მრავლდებიან ადამიანის გონებრივ განვითარებასთან ერთად. მაგ. გონებრივათ ძლიან განვითარებულ და ნიჭიერ ადამიანებს ეს ნიჭები უფრო ბევრი და რთული აქვთ, ვინემ ჩვეულებრივ მომაკვდავსა. სწავლულების ფხიზელმა დაკვირვებამ ადმოაჩინა, რომ დიდი ტვინის რუხი ადგილი,—ტვინის ქერქი და მისი ნერვების უჯრედები, ან ცენტრები სწორეთ ის ადგილია, სადაც მოთავსებულია, სადაც იწყება და ვითარდება ჩვენი სულიერი ცხოვრება, აზრი და ნება. რომ ეს ნამდვილად ასეა, ამას ავადმყოფების დაკვირვება და სხვა და სხვა ცხოველებზე შოხდენილი ცდა გვიმტკიცებს. მაგ. ტვინის ამ ნაწილების გაფუჭების, ან დაავადების შემდეგ ადამიანს ან სულ ესპობა და ან უსუსტდება მეხსიერება, ნება, გონება და სხვანი. მაშინ როდესაც ჩვენი ტვინის სხვა ნაწილების დაზიანების დროს ასეთი ცვლილებანი არ ხდებიან.

მოგრძო ტვინი. ეს ტვინი მოთავსებულია ხერხემლის ტვინის ზედა ნაწილში, რომელსაც იგი ხერხემლის პირველი მძივის გასწვრივ უერთდება. მისი გარეთა პირი თეთრი ნივთიერებისაგან შესდგება. ძირა გვერდზე გაუვლის მას ნაოჭი. ამ ნაოჭის იქით და აქეთ მხარეს ნერვების ორი თაროთ კოსა სძევს; ამას პირამიდები ეწოდებათ. ნაოჭის უკანა ნაწილების სიღრმეში თავს იყრიან ნერვების კონები და აკეთებენ ჯვარედინს, რომლის შემდეგაც ხერხემლის ტვინის საშუალებით მთელს სხეულს უნაწილდებიან. მოგრძო ტვინშიაც მოთავსებულია ნერვების ცენტრები, რომლებიც განაგებენ ჩვენი სხეულის სხვა და სხვა ნაწილის მოქმედებას. მაგ. გულმკერდი მოძრაობს და სულთქმა სწარმოებს სუნთქმის ცენტრის ბრძანებისა და ხელმძღვანელობისა გამო და ეს ცენტრი მოგრძო ტვინშია მოთავსებული, გულის მოქმედებაც, მისი რიგრიგათ ხან შეკუმშა და ხან გაფართოება სწარმოებს იმის ცენტრის წყალობით, რომელიც აგრეთვე მოგრძო ტვინშია მოთავსებული. ამ ცენტრს სისხლის ჯურჯელთა მმოძრავი ცენტრი ჰქვიან. მოგრძო ტვინშია აგრეთვე მოთავსებული ულაპვის, ნერწყვის და ოფლის გამოსადენი ცენტრები. ამას გარდა მოგრძო ტვინი შუამავალ-გამტარებელია ყველა იმ აზრთა, ნებათა და მოფიქრებათა, რომელიც დიდ ტვინში შთაისახება და განვითარდება და იმ შთაბეჭდილების და ნაგრძნობის, რომელსაც ადამიანი გარეშე ქვეყნიდგან ღებულობს. და რადგან დიდი ტვინიდგან მომავალი ნერვები აქ, მოგრძო ტვინში გზა ჯვარედინს აკეთებენ— თავის ტვინის მარჯვენა ნაწილიდგან წამოსული ამის შემდეგ მარცხნით მიდის და მარცხნიდგან მარჯვნით, ამიტომ ხშირად, ტვინის ნახევარ სფეროვანის დაავადების, გაფუჭების დროს, მაგ. მარჯვენა ნახევარ სფეროვანში სისხლის ჩაქცევის დროს, ფუჭდება, ან უკეთ რომ ვთქვათ, დამბლა მოსდის სხეულის იმ ნაწილს, რომელიც მეორე მხარეზეა მოთავსებული—ამ შემთხვევაში მივიღებთ სხეულის მარცხენა ნაწილის დამბლას... მოგრძო ტვინის წინ, მის დასაწყისთან, მოთავსებულია ეგრედ წოდებული ბრო-

ლის ხიდი, რომლის გვერდის ამაღლებული ნაწილები პატარა ტვინს უერთდებიან.

პატარა ტვინიც ნაპრალით ან ჭალაკით, ორ ნახევარ სფერონთა განიყოფება. ეს ჭალაკი პატარა ტვინის მხოლოდ ქვედა ნაპირზეა მოთავსებული, ზევიდგან კი მას გაუღის ხაზი. პატარა ტვინის ზედა პირი რუხი ნივთიერებისაგან შესდგება. აქაც ძრავალზე უმრავლესი ნაჭეებია, რომლის წყალობითაც ეს ტვინი მთლად დაღარულია. სიმაღლეზე გაჭრილ პატარა ტვინის შუა გული ტოტებ გადაშლილ ხის სურათს წარმოადგენს, რისთვისაც მას ხე ცხოვრებისა უწოდეს. ამ ტვინის შიგნითა პირი თეთრი ნივთიერებისაგან შესდგება.

პატარა ტვინის დანიშნულება ჩვენი სხეულისათვის იმაში მდგომარეობს, რომ მასში მოთავსებული ნერვების ცენტრების წყალობით ჩვენ შეგვიძლია მუდმივ თანასწორობაში ვიქონიოთ ჩვენი სხეული და წესიერად ვაწარმოვოთ ჩვენი მოძრაობა.

ხერხემლის ტვინი.

ხერხემლის ტვინი იწყება თავის ტვინიდგან, მიდის ძირს ხერხემლის მძიმეების ნახვრეტებში და უწევს თითქმის კუდუსუნის დასაწყისამდე. სიგრძით იგი 10 გოჯი იქნება, სიმსხოთი კი $^1/_2$ დუიმი. ეს ტვინი რომ შუაზე გადაჭრათ დავინახავთ, რომ იგიც თეთრი და რუხი ნივთიერებისაგან შესდგება, მაგრამ აქ თეთრი გარედგან არის გადაკრული და რუხი კი შიგნიდგან. მიკროსკოპით დაკვირება დაგვანახვებს რომ თეთრი ნივთიერება აქაც ტვინის ძაფებისაგან შესდგება და რუხი უჯრედებისაგან. ამ ტვინის სიგრძეზედ წყვილად გამოდის 31 წყვილი ხერხემლის ტვინის ნერვები. ზოგიერთ ამ ნერვებში მიაქვთ ნაგრძნობი და შთაბეჭდილებანი გარეშე ქვეყნიდგან ტვინთან და ეწოდებათ გრძნობელობის ნერვები. სხვებს კი ტვინიდგან მოაქვთ ნების სურვილი და ბრძანება სამოძრაო ადგილებთან და ეწოდებათ მოძრაობის ნერვები. როგორც თავის, ისე ხერხემლის ტვინიდგან გამომავალი ნერვები უთვალავ წვრილ ტოტებად დანაწილდებიან და შემდეგ მთელს სხეულს, სხეულის ყოველს ნაწილს ურიგდებიან.

თავისა და ხერხემლის ტვინი ორი გარსითაა დაფარული. გარეთას ამათში ტვინის მაგარი გარსი ჰქვიან, შესდგება მჭიდრო ალეესებური ქსოვილისაგან და ტვინისთვის სათარს წარმოადგენს. მეორე გარსი უფრო სათუთია. ტვინის რბილი გარსი ჰქვიან. პირ და პირ ტვინზეა გარდაცმული და სავსეა სისხლის სადენი მილებით—არტერიებით, რომლითაც მიუდის ტვინს საჭირო, მასაზრდოებელი მასალა, და ვენებით, რომელთაც გაქვთ ტვინიდგან მისთვის ურგები და მავნებელი, ნახშირის სამჟავით გაჟღენთილი ნივთიერებანი.

ხერხემლის ტვინის დანიშნულებაც, როგორც მოგრძო ტვინისა ორნაირია; ერთის მხრით იგი შუამავალია თავის ტვინსა და სხეულის სხვა ნაწილებს შორის, ტვინიდგან მათთან გზავნის ნების მისწრაფებას, და მათთან ტვინთან ნაგრძნობსა და შთაბეჭდილებებს. და მეორეს მხრით თითონაც ნერვების ცენტრებად ითვლება. მაშასადამე მისგანაც სხეულის ამა თუ იმ ნაწილს ბრძანება ეგზავნება სამოძრაოდ და სამოქმედოთ. პირველ დანიშნულებას იგი ასრულებს ტვინის ძაფების საშუალებით, რომლებიც სხეულის სხვა და სხვა ნაწილებიდგან, ხერხემლის ტვინის საშუალებით თავის ტვინს უერთდებიან. მაგ. თუ ჩვენ მოგვსურვება ხელის, ან ფეხის განძრევა, ტვინის ქერქის განსაკუთრებულ ადგილას დაიწყება უჯრედების გაღიზიანება. ეს გაღიზიანება, ელექტრონის ტოკის მსგავსად, მოგრძო და ხერხემლის ტვინში გამავალი ტვინის ძაფების საშუალებით, გადაეცემა ხელის ან ფეხის კუნთებს, რომლების შეკუმშვითაც წარმოსდგება განზრახული მოძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობა. თუ ვინიცობაა ხელი გავიჭერით, მაშინვე ტკივილებს ვიგრძნობთ, რადგან ამ დროს გადიზიანდება იმ ნერვების ბოლოები, რომლებიც კანშია მოთავსებული. მთგან ხერხემლის და მოგრძო ტვინში მიმავალი ტვინის ძაფების საშუალებით ელვის უსწრაფეს მიიერბენს ტვინის ქერქთან, სადაც იგი ტკივილის გრძნობათ გამოიხატება.

ვთქვათ ადამიანს გაუფუჭდა ხერხემლის ტვინი, მაგალითად ზედ შუა ზურგზედ, მაშინ იგი მოკლებული იქნება შეძლებას, იხმარობს ფეხები და საზოგადოთ სხეულის ის ნაწილები, რომლებიც იღებენ გაფუჭებულ ადგილის ქვეშიდგან გამომავალ ნერვებს.

არც ერთი ჩვენი მოძრაობა, არც ერთი თუნდა უბრალო მოქმედება, ისეთიც კი რომელსაც ჩვენ მიჩვეევისა გამო შეუმჩნევლად, ავტომატიურად (მანქანასავით უგრძნობლად) მაგ. თვალის დახამხამება, ლუკმის ღეჭვა, სიარული და სხვა, ვსრულებთ, ტვინის ბრძანებისა და მისი ხელმძღვანელობის გარეშე არ სწარმოებს, ჩვენი ტვინი ამ მხრით მუდმივ, განუწყვეტელ მოქმედებაშია. მაგრამ იგიც, როგორც ადამიანის სხეულის ყოველი სხვა ნაწილი, ვერ შესძლებს განუწყვეტელ მუშაობას თუ დრო და დროზე შესვენება არ ექმნა. ტვინისათვის ასეთ შესვენებათ ითვლება ძილი. ძილის დროსაც ადამიანის გონების მუშაობა სრულებით არ ნელდება. იგი, თუმცა შეუმჩნეველად, მაგრამ მაინც განაგრძობს მოქმედებას. ხშირად ასეთი მოქმედების ნაყოფია სიზმრები.

ძლიერ დადალულ ადამიანს ძილი უტებ ეკიდება. სხვა დროს კი იგი თან და თან ეშვრება მას. მოდალული ადამიანი იწყებს მოქნარებას, მას უსუსტდება გულის ყური და გარჯის ხალისი. მოიშვებს და მოდუნდება ნაწილი ზოგიერთი კუნთებისა. მაგ კისრის უკანა კუნთების, რის გამოც ადამიანი თავს ვეღარ იმაგრებს და გულზე ჩამოჭკიდებს. ამის შემდეგ მოდუნდება ხელფეხის კუნთები და ბოლოს კი თვალის ზედა ქუთუთოების ამწევ-დამწევი კუნთი.—თვალები იხუჭებიან. ქრებიან ხედვისა და სმენის გრძნობანი, იხშობა აზრი და იწყება დრმა ძილი. ძილი შეიძლება იყოს ფხიზელიც.

ძილის მოთხოვნილება ყველა ასაკში ერთნაირი არ არის. ბავშვების ცოცხალი ბუნება ითხოვს შედარებით უფრო გამალებულ მუშაობას ბავშვის ტვინისას, რის გამოც იგი უფრო მალე იღლება. ამიტომ ბავშვის სხეული უფრო მეტ ძილს ითხოვს, ვინემ მოზრდილისა. ყველა თქვენთაგანს ვფიქრობ, უსათუოდ შეუნიშნავს რომ, რაც უფრო პატარაა ბავშვები, უფრო ადვილად იძინებენ და დიდხანსაც სძინავთ, და რაც უფრო წამოიზრდება ძილსაც უკლებს. ყოველ დღიურმა დაკვირვებამ და ბავშვების სულის შესწავლამ დაარწმუნა მეცნიერები, რომ 5—6 წლის ბავშვებისათვის დღე და ღამეში საჭირო 10 საათის ძილი მაინც და 7—11 წლიანებისათვის კი 9 საათის.

აი მოკლედ ყველა ის, რაც შეეხება ტვინს და მის დანიშნულებას, აქედგან შენ დაინახავ თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ტვინს ჩვენი სულიერი ცხოვრებისა და მთლად ჩვენი ადამიანობისათვის. დაინახავ, რომ ტვინს, ამ ჩვენთვის ძლიერ საჭირო რამეს, მეტად საოუთი მოვლა და შენახვა უნდა და მიხვდები, რომ გონიერმა ბუნებამ სწორედ ამიტომ მოათავსა ისეთ მაგარ კოლოფში, როგორიც თავის ქალაა, რომ იქ უშიშრად და უზრუნველად იყოს და ვაგლახათ არაფერი დაუშავდეს.

ექიმი **ევ. გ. ლოსაბერიძე.**

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სევდიანი კილო ვეფხის ტყაოსანში

ზოგჯერ შემცვიან სევდათა,
ვთქვი საწუთროსა გმობანი.
ვ. ტ. 376.

ჩვეულებრივად შ. რუსთაველის უკვდავი ნაწარმოები წარმოდგენილი გვაქვს, როგორც ქებათა ქება მშვენიერის, კეთილშობილის, სრულის და ლაღის სიცოცხლისა. მთელი პოემა გამსჭვალულია ულამაზესის სიყვარულის წყურვილით; თინათინ — „სოფლისა მნათი მნათობი მზისაცა დასთა დასული“, ნესტან დარეჯან—რომელი „ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მთვარე პირგავსებული“, ავთანდილ— „საროსა მჯობი ნაზარდი“, „ჯერ უწვერული, სადარო ბროლ-მინა საცნობარისა“, „სპათა სპასპეტი ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია“, რომელი „თეთრთა კბილთა გამომკრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა“, ტარიელ — „საჭვრეტად სასურველი“, „თვალად მზე და ნაკვთად ლომი“, „ტანად ედემს ზრდილი“, რომლის შესახებ იტყოდენ: „ჯერ მის, მსგავსი შვენება კაცთაგან უნახავია; ვუჭვრიტეთ, მისთა ლევათა შუქნი ძლივ განვიცადენით“, ფრიდონ—„მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი, ფიცხლად მომხტომი ცხენისა“ და თვით მოხუცნი მეფენი როსტევან „მაღალი, უხვი, მდაბალი, მოსამართლე, მორჭმული, განგებიანი“ და ფარსადან—„უხვი, უკადრი, მდიდარი, მეფეთა ზედა მფლობელი“, ასმათ, ფატმან, შერმადინ— ყველა ეს გმირები არ არიან მხოლოდ თვალად ლამაზი, არამედ შესანიშნავი, მუდამ სახსოვარი და მოსაგონებელი სახეები უდიდესი სიყვაულისა, ერთგულობისა, მეგობრობისა, სიმტკიცისა. თინათინის და ავთანდილის სიყვარული, ტარიელის და ნესტანის ერთმანეთისთვის გახელება—ისეთი მაღალი, ლამაზი, იდეალური გრძნობაა, რომლის მსგავსი იშვიათია მთელს მსოფლიო მწერლობაში. მეორეს მხრით ტარიელის და ავთანდილის მეგობრობას სრულებითაც არ მოეპოვება ბადალი; ავთანდილი სატრფოსაც კი სტოვებს ძმად ნაფიცისთვის, მისი სიყვარული და მეგობრობა ერთი მეორეს ეცილება, ექიშპება და არც ვიცით, რომელი რომელს სძლევს. შემდეგ როსტევანის ნაზი ღრმა სიყვარული თავის გაზრდილისა, შერმადინის სიმტკიცე, ასმათის თავის დადება დარეჯანისა და ტარიელისთვის—სიხარულით, შეურყეველის იმედით აუვსებენ მკითხველს გულს. მიუხედავად მრავალის განსაცდელისა, ხიფათისა, დაბრკოლებისა შოთა გამარჯვებით აგვირგვინებს თავის საყვარელს გმირებს და უმწარეს გაჭირვების დროსაც იმას გვეუბნება: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა“, „ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ გასძლოს, რაცა ჭირია; ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პირია!“ „წესი არის მამათაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა“, „რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მღმეჭელსა, შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა

მეჭველსა! კაც—ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?“ „ჰხამს, მამაცი გაგულოვნდეს ჭირსა შიგან არ დაღონდეს“.

ვეფხის ტყაოსანი სიხარულის, ბედნიერების, გრძნობის, ჭირთა ძლევის, სიმხნევის, გაუდრეკელობის, ღრმა რწმენის პოემაა. შოთა სიყვარულის, ღრმა ფართო სიყვარულის, საუკეთესო პოეტია ადამიანის სულის უმაღლეს თვისებათა გამომსახველი; იგი უიმედობის და ნაღველის გამქარვებელია, დაცემულის აღმადგენელი და სასოების მომგვრელი. ამიტომაც იყო სათაყვანებელი ჩვენი ერისათვის და უბედურ დღეებში განაწამებნი მის ნაწარმოებში ჰპოულობდენ თავის სულის საფარველს, ვით დევნილი ებრაელი ფსალმუნის კითხვით აღიძრავდა სასოებას კვლავ აღდგენისას...

მაგრამ ვეფხის ტყაოსანში არის ადგილები, რომლების კილო სრულებ არაა მხიარული. ცხოვრება ტკბილია—ცხოვრება მშვენიერი, გმირობითა და სიყვარულით აღსავსე,—ბოროტი ძლეულია, სიკეთე გრძელია, ხოლო ამ სიტკბოებას არ სდევს რაღაც უხილავი ბოროტი ძალი! ამ ცხოვრების გარედ, ამ ცხოვრების ზევით რაღაა? შეიძლება ყოველივე ეს სიმშვენიერე ამაო ამაოებაა, წარმავალია, სიზმარია, ლანდი მარტოოდენ? ეს საკითხები ებადება რუსთაველს და მის ბრძენს, ღრმად განსწავლულს, მაშინდელი ფილოსოფიის ზედმიწევნით მცოდნეს, არ ძალუძს ამ მწარე ფიქრების განფანტვა.

პოეტს სტანჯავს საწუთროს უხანობა და გარდამავლობა. მგოსანი სრულის სიცოცხლისა, იგი ხედავს სიკვდილის ძლიერებას. საყურადღებოა ამ მხრივ ავთანდილის ანდერძი, რომელსაც დასწერს როსტევანისადმი ტარიელთან გაპარვისას. ანდერძი გამოწვეულია სიკვდილის მოლოდინით, დაწერილია მეტად ნაზად და ირგვლივ სიკეთეს, ლმობიერებას და პატიებას აფრქვევს. ავთანდილი შემდეგის მკვეთრის სიტყვებით გამოხატავს სიკვდილის სიდიადეს:

ვერ დაიშორავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს
სუსტი და ძალგულოვანი;
ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან
ერთგან მოუმე და მხცოვანი *). 781.

თუ სიკვდილი ასე დიადია, თუ ყველაფერს სპობს და ათანასწორებს, მაშ რაღა დაგვრჩენია, თუ არა საქმე საგმირო და სახელი?!

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი! 781.

სიკვდილი მოულოდნელია:

სცდების და სცდების, სიკვდილსა
ვინ არ მოელის წამისად;
მოვა შემურული ყოველთვინ
ერთგან დღისად და ღამისად! 782.

ამიტომ ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს თავის სიცოცხლის ჟამიერობა. აგონდება ეს ავთანდილს უცხო ქვეყნად მიმავალს და ასე ნაღვლიანად მიმართავს თავის აღმზრდელს როსტევანს:

თუ საწუთრომან დამამხოს
ყოველთა დამამხობელმან,
დარიბი მოვკვდე დარიბად,
ვერ დამიტირონ მშობელმან,
ვედარ შემსუდრონ დაზრდილთა
და ვერცა მისანდობელმან,

*) შეადარ. ამას იმავე ავთანდილის ნათქვამი:

კაცი არ ყველა სწორია,
დიდი ძეს კაცით კაცამდის. 932.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნ შემიწყალოს თქვენმაცვე
გულმან მოწყალე—მდმობელმან. 783.

ამ სტრიქონების წაკითხვის დროს უეჭველად მოგვაგონდება ნ. ბარათაშვილის განწირულის სულის კვეთება, განსაკუთრებით ეს ადგილები მისი „მერანისა“

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,
ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
ნუ დამიტირონ სატრფომ გულისა,
ნუდა დამეცეს ცრემლი მწუხარის...
სატრფოს ცრემლის წილ, მგვდარსა, ოხერსა,
დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად
მივალალებენ სვავნი მეფვრნი!..
და მოგვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე
მტერი!..

ზემო მოყვანილი სიტყვები ცხად ჰყოფენ, რომ ავთანდილი არ განიცდის მარტო ერთს მხარეს არსებობისას, ხედავს, რომ სიამოვნებას თან ახლავს ნაღველი, რომ სიცოცხლის ბატონი სიკვდილია. ამას ჰგრძნობს ტარიელიც. როდესაც იგი შეხვდება დარეჯანს და ლახვარი ეცემა ცნობასა და გულსა, „მაშინ—გვეუბნება—ღავიწყე გარდახდა მე საწუთროსა ვალისა“ (330). მისი რწმენით, ტანჯვა და მწუხარება თითქოს ვალია ადამიანისა, რომელიც უნდა გადაუხადოს სოფელს და უდიდეს სიყვარულის გრძნობაში გარეულია უმწვავესი ალი ტანჯვისა. ეს ძალად ლომი და პირად მზე, გმირი მეომარი, მტერთა მძლეველი უძლურია ამ გარდაუვალ ბედის წინაშე და სხვა არა დარჩენია რა იმის მეტი, რომ ღმერთს შეევედროს: „მომეც ძალი დათმობისა, ცოტათ ვითმე აღმადგინე!“ 342.

ტარიელი უამბობს ავთანდილს თავის გამიჯნურების აღბავს, რომლის შემდეგ დაუწვავს „სახმილსა ნიადაგულსა“ და აფრთხილებს თავის მეგობარს:

მიმდომნი საწუთროსანი
მისთა ნივთაგან რჩებიან.
იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ
ბოლოდ ვერ მოურჩებიან;
ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა,
რომელნი ეურჩებიან. 335.

ეურჩება, ხოლო კარგად ვიცით, საადამდის მიიყვანა ტარიელი ამ ურჩობამ და უარესსაც განუმზადებდა საწუთრო, თუ ავთანდილი არ მოვლენოდა.

სოფლის დაუნდობლობას სჩივის თვით ავტორი, როცა აგვიწერს ავთანდილის გულანშაროით დაბრუნებას და ნესტანის წიგნის მოტანას ტარიელისთვის:

იგი მიენდოს სოფელსა,
ვინცა თავისა მტერია. 1324.

საწუთრო თითქოს მტერია ადამიანისა, შურს მისი ბედნიერება. თინათინს დაშორებული ავთანდილი „მივა გულითა რეტითა. მზე სტირს სისხლისა ცრემლითა, ზღვისასცა მეტის მეტითა“.

იტუვის: ვერ გაძლა სოფელი,
ვაჲ, სისხლითა ჩემთა ხვრეტითა! 694.

და შემდეგ:

ვაჲ, საწუთრო, ბოლო თავსა
ასუდარებს, ასზეწარებს! 698.

მაგრამ საწუთროს უმთავრესი თვისება ისაა, რომ ცრუა, მოღალატე, ორპირი, დაუნდობელი. დღეს ერთია, ხვალ სხვა, ერთჯერ მტირალი, მეორეთ მომცინარი. იგივე ავთანდილი, სისხლისა ცრემლთა მფრქვეველი, გუშინ თინათინისგან გაბედნიერებული და დღეს მარტოდ დარჩენილი, მოსთქვამს:

ვინ გუშინ ედემს ნაზარდი
ალვა მრწყო, დამრგო, მახია,
დღეს საწუთრომან ლახვარსა

მომცა, დანასა მახია,
დდეს გული ცეცხლსა უშრეტსა
დაბმით დამბა, მახია.
აწდა ვცან საქმე სოფლისა:
ზდაპარია და ჩმახია. 697.

თინათინი კი ამბობს:

საწუთრო კაცსა ეოგელსა
ვითა ტარფსი უხდების:
ზოგჯერ მზეა და ოდესმე
ცა რისხვით მოუქუხდების. 687.

თავის გმირებს ემოწმება პოეტიც, როცა მოგვითხრობს ავთანდილის მეორედ გაპარვას და ტარიელის შეყრის ამბავს. შოთას მთელის არსებით უყვარს თავისი გმირები — განა თვითონ არ ამბობს: „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი... დავსჯდე, რუსთველი ვლექსვიდე, მისთვის გულ ლახვარ სობილი *)“—გული ეწვის მათვის, იტანჯება, რომ ასეთს მშვენიერს ადამიანებს იმდენი განსაცდელი შეხვდა, და მწარედ იტყვის:

ვგმობ მუხთალსა საწუთროსა,
ზოგჯერ უხვსა, ზოგჯერ ძვირსა. 928.

ფრიდონი რომ ავთანდილისაგან ძმადნაფიცის ტარიელის ამბავს გაიგებს, გულამოსკვნით სტირის. სტირიან ლაშქარნი „ლაშქართა შიგან შეიქნა ხმა ტირილისა დიდისა, ზოგთაგან ხოკა პირისა, ზოგთაგან სრევა რიდისა; ფრიდონ სტირის, მოსთქვამს ხმამაღლად გაყრილი წლისა შვიდისა“. გულ-დამწვარი შოთა ველარ ითმენს და საერთო გლოვას დაჰმატებს თავის მხრითაც:

უხანობა და სიცრუე,
ვაჲ, საწუთროსა ოდიდისა. 985.

*) ეს ადგილი მოყვანილია აკად. მარის შესწორებული ტექსტიდან, დანარჩენები კი დ. კარიჭაშვილის რედაქ. გამოცემულიდან.

ყველაზედ უფრო შესანიშნავი — და ძლიერ ნაღვლიანი პოემის უკანასკნელი სტრიქონებია, სადაც ჩვენი პოეტი ჯერ აგვიწერს გმირების ბედნიერ ცხოვრებას:

მათ სამთავე ხელმწიფეთა
ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანეთსა ჭნახვიდიან,
საწადელი გაუსრულდეს;
ბრძანებისა შემტილენი
მათთა ხმალთა დაეწყლულდეს,
მოიპატენეს სამეფონი,
გახელმწიფდეს, გამოჯმულდეს.
ეოგლთა სწორად წყალობასა
ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს
და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა ქმნელნი დაშინეს,
კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა
ოხა და მგელი ერთგან სძოვდეს.
1571—1.

და ასეთი ნეტარი ცხოვრების აწერის შემდეგ, პოეტი საშინელის ნაღვლით და ღრმა სევდიანი სიტყვებით ათავებს:

გასრულდა მათი ამბავი,
ვითა სიზმარი დამისა.
გარდაჭდეს, გავლეს სოფელი,
ნახეთ სიმუხთლე ყამისა!
ვის გრძელად ჭგონია მისთვისცა,
არის ერთისა წამისა... 1572.

ასეთია მომაკვდავი ჰამლეტის უკანასკნელი სიტყვებიც:

„სხვა რადა დარჩა?
საუკუნო სიჩუმე მხოლოდ“.

საუკუნო სიჩუმე და მდუმარება!.. დასრულდა ამბავი უსწორო გმირთა, საარაკო მიჯნურთა, უმაგალითო მეგობართა; წაიშალა სიცოცხლე სავსე მრავალის თავგადასავალითა; გაჰქრა სიხარული და მწუხარება, შვება და ტანჯვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარა დარჩა რა იმდენის ბრძოლისა და ღვაწლისაგან, იმ ლაღი შექცევისა, ნადიმობისა და რაინდობისაგან, იმ საოცნებო სიყვარულისა, იმედისა, შეტრფობისა და აღტაცებისაგან!

რაღაა ესრეთ დაუნდობელი, გაუტანელი „საწუთრო“, რომელიც ყველაფერს ამსხვრევს, ასე მტრობს ადამიანს? იგი ბედისწერაა, ის „მოირაა“ ბერძნებისა, რომელსაც ღმერთებიც კი ემორჩილებოდენ? რომელმაც მაგალითად უსაზარლესი ხვედრი არგუნა ოდიპოს მეფეს და რომლის გამო სოფოკლე ამბობს:

კაცობრიობავ, რადა ხარ?
თვით სიცოცხლეში არარა!
ბედნიერების მსურველი
ვინ მიწვდომიხარ საწადელს?
ბედკეთილობა დანდია,
მხოლოდ ჩვენება წუთისა!
და რა გაჭრება, ვარდებით
უფსკრულში საბრალობელნი! *).

ჩვენი ვეფხის ტყაოსნის „საწუთრო“ არ არის ღმერთი, არც ღვთაების ბრძანებელი. პირიქით, თუ სოფელი, საწუთრო ებრძვის, ღალატობს ადამიანს, ამ ბრძოლის დროს ღმერთი ადამიანის დამცველია, მწყალობელი. შოთა ამბობს:

ვაჲ, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
ყოველიმ ტენი მონდობილი
ნიადაგმცა ჩემებრ სტირსა.
სად წაიყვან სადაურსა,
სად ადუფხვრი სადით ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს
კაცსა, შენგან განაწირსა! 931.

*) ოდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძისა.

და მეორე ალაგას ავთანდილი ასეანუგეშებს ტარიელს:

ნუ გეშის, ღმერთი უხვია;
თუმცა სოფელი ძვირია. 911.

„საწუთრო“ არც ეტლია, რომელიც წინდაწინვე გამართავს ადამიანის ცხოვრების გზას და როგორც ავთანდილი იტყვის:

ვერვინ ვერას იქმს,
თუ ეტლი არ მოსთმინდების.

ეტლი განგებას ემორჩილება და თუ „რაცა იქმნების, იქმნების“,

როცა მოვა საქმე ზენა,
მოამავალი არ აგვცდების. 1014.

ყველაფრის თავი და ბოლო განგებაა:

უგანგებოდ ვერას მიზმენ,
მეც ამებნეს ხმელთა სჯანი.
განგებაა, არ დავრჩები,
ლახვარნია ჩემთვის მზანი.
ვერ მიხსნიან, ვერ ციხენი,
ვერ მოუვანნი, ვერცა ძანი. 1018.
განგებაა, დღესაცა მომკლავს,
ქვემცა სადა დავიმალე. 423.
არ თუ იცი, უგანგებოდ
არა კაცი არ მოჭკვდების. 883.
კაცო, ძალსა ნუ იქადი,
ნუცა მოჭკვეს ვითა მთვრალი,
არას გარგებს ძალიერება,
თუ არ შეგწევს ღვთისა ძალი;
დიდთა ხეთა მოერევის,
მცირე დასწვავს ხებრწკალი;
ღმერთი გფარავს, სწორად გაჭკვეთს,
შეშა ვის ჭკრა, თუნდა ხმალი. 1024.

თუ ქვეყნად არის ძალები, რომლებიც ადამიანს მტრობენ, ღალატობენ, სიხარულს სიმწარედ შეუცვლიან, არის განგება—ღმერთი, რომელიც არასოდეს არ გასწირავს ადამიანს:

ძნელია ბოვნა კაცისა
ღვთივ ზეცით განაწირისა. 290.

კაცსა დმერთი არ გასწირავს
ასრე მისგან განაწინრსა. 572.

და რუსთველის გმირები გულმართლად მიენდობიან ღმერთს:

აწ იგი იქმნას, რაცადა
ენებოს დვთისა წადილსა. 591.

იგი მოგვცემს წუალობასა
მისსა, ზეცით მოგვიქუხებს,
ჭირსა ლხინად გაგვიცვალებს,
არად ოდეს შეგვაწუხებს. 616.

და

თუ ლხინი გვინდა დვთისაგან,
ჭირნიცა შეგვიწუნარეთ. 708.

ცხოვრება წარმავალია, „საწუთრო“ მტერია ადამიანის, მაგრამ ეს სრულებით არ იწვევს უმოქმედობას, სასოწარკვეთილებას, რადგან ჩვენს პოეტს მაინც ღრმად სწამს, რომ

უმსგავსო საქმე ყოველი
მოკლეა, მით ოხერია. 1068.

და ღმერთს შეღაღადებს:

ვცან სიმოკლე ბოროტისა,
კეთილია შენი გრძელი. 1411.

თუ სიკვდილი ყველაფერს სპობს, თუ ჩვენი არსებობა მხოლოდ სიზმარია და გაჰქრება, არიან საქმენი საგმირონი, არის სახელი და

სჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველისა მოსახვეჭელსა! 710.

სევდა და ნაღველი, რომელიც თან ახლავს ვეფხის ტყაოსანს, სრულებით არარაობისკენ არ მიგვიწვევს. ეს სევდა უფრო ამშვენიერებს, მეტს იდეალისტურ ხასიათს აძლევს პოემას, მისი სული მით უფრო მძლავრია და სახე მიმზიდავი და საყვარელი.

იბადება საკითხი, სადაა წყარო შოთა რუსთაველის ნაღვლიანობისა, რამ წარმოშვა ეს მწარე ფიქრები საწუთროს გაუტანლობისა?

სევდა, ნაღველი, სკეპსისი მაღალი კულტურის შედეგია. რომ შოთას დროის საქართველო მაღალ კულტურას იყო დაწაფებული, ეს უკვე სადავო აღარაა. ისიც უეჭველია, რომ თვითონ რუსთველი მეტად განათლებული იყო, ზედმიწევნით იცოდა სპარსულ-არაბული და ბერძნული ფილოსოფია და მწერლობა. პირადი ცხოვრებაც მისი ისეთი იყო, რომ უთუოდ აღუძრავდა მწარე ნაღვლიან ფიქრებს. მისი სიცოცხლე იყო მეტად ტრაგიკული, აღსავსე დიად განცდითა. მოჭორილი ზღაპარი არაა, რომ შოთას უყვარდა თამარ მეფე. ამას ცხად ჰყოფს მისივე სიტყვები:

ჩემი აწ სტანით ყოველმან,
მას ვაქებ, ვინცა მიქია...
იგია ჩემი სიცოცხლე,
უწყალო ვითა ჯიქია. 26.

თვალთა მისთა უნათლოთა
ენატრამცა ახლად ჩენა:
აჰა, გული გამიჯნურდა,
მოხდომია ვედთა რბენა.
მოიაჯეთ, ვინ ხორცთ დაწვა
კმარის, მისცეს სულთა ლხენა!.. 17.

დავუძლურდი, მიჯნურთათვის
კვლავ წამალი არსით არი:
ანუ მომცეს განკურნება,
ანუ მიწა მე სამარი! 15.

კიდეც რომ მივიღოთ დ. კარიჭაშვილის უკიდურესი აზრი, რომ ვეფხის ტყაოსნის წინასიტყვაობა შოთას არ ეკუთვნის, მაინც არ შეგვიძლია უკუვაგდოთ შოთას სიყვარულის ამბავი, რომელიც ნათლად არის თქმული ვითომ და ყალბ წინასიტყვაობაში. თუ სხვამ შეთხზა პოემის შესავალი, იგი უსაფუძვლოდ არ

ეროვნული

იტყოდა ზემო მოყვანილს სიტყვებს. ლეგენდა და გადმოცემა ხშირად უფრო მეტს ამბობს, ვიდრე პირდაპირ დაწერილი ამბავი.

მაგრამ ჯერჯერობით არ შეგვიძლია იმის გადაწყვეტა, რამდენად სევდიანი კილო ვეფხის ტყაოსნისა არის რუსთველის საკუთარი შემოქმედება და რამდენად გადმოსულია სპარსულ ამბავიდან მის „წყობილ მარგალიტში“, ან ყოველ შემთხვევაში რამდენად პოემის სევდანაღველი არის შედეგი პირად განცდათა და რამდენად შეტანილია საზოგადოთ სპარსული მწერლობის გავლენით.

აღვნიშნავთ აქ მხოლოდ „ვისრამიანის“ რამდენსამე ალაგს, რომელთაც დიდი მსგავსება აქვთ ვ. ტყაოსნის შესაფერ ადგილებთან: *) „ვინ მოისმენდეს ესე ამბავი, სცნეს სოფლისა ამის აუგნი, უხანობა და მუხთლობა, რომელი არცა ჭირსა, არცა ლხინსა არაკის გაუსრულებს“ (გვ. 9). „სასტუმრო ვითა მოგზაურთა სადგომი ფუნდუკია და ჩვენ მოქარავენი ვართ. მოქარავნეთა ფუნდუკსა შიგან ცოტა ხანი მოუხდების. მისი სიმძიმილი და სიხარული გარეული არის და წამსა ვერ დაზმენ ერთგან ვითა ღრუბლისა აჩრდილი“. 84. „ყოველი კაცი ეტლისაგან იქნების ბედნიერი და უბედური, ღმრთისა განგებისაგან მოვა კაცისა თავსა ზედა, რაცა მოვა, მით რომელ კაცთა სახელად მონა ჰქვიან“. 89. „საწუთრო და ლაღობა მეცნიერთ სწორად უჩნს; ლაღობა არსად გრძლად არ ეხარებს“. 96. „საწუთრო მბრუნავი არის და ჭირსა ლხინად მოგიქცევს“. 165. რამინის სიტყვები: „საწუთროო, ავისა ქნისაგან კიდე ჩემთვის არა იცი! მომცემ სიხარულსა და წამსვე წამართმევ; თუ უკვდავებისაც შემასვამ, მაშინვე ერთსა ჭიქასა ნაღველსა უღონიოდ მოსცემ“. 175. „კაცნი ღრმთისა განგებასა და ეტლსა ვერსა და გარდავეხვეწებით“. 244. „საწუთრო ასრე მაღორებელია“. 389. „საწუთრო ძველია და ჩვენ შიგან სიზმართა ვგავთ. რად მოველი შიგან დაყოვნებასა? არ არის ერთფერად მდგომი, არცა დაემორჩილების კაცსა, არცა სიყვარულსა მტერობისაგან გამოარჩევს და არცა მოყვრობისა ვის გაუსრულებს, ვინც მისგან სიყვარულსა მოელის“. 445. „აჰა, საწუთროო, არაა შენი ხანიერება!.. ჩვენისა მტერობისათვის მიწყით მალულსა გვიზი, შეცოდებისა წინა არ დაგვიდებ... წისქვილისაებრ მბრუნავი ხარ, წყლით, ქარითა და ტვერითა გატენილი ხარ. რაზომცა ვინ გამოგცდის, იგივე და იგივე უხანო, უზენარო, მუხთალი და გამწირავი ხარ. ვინც ზნეთა შენთა სცნობს, ნიადაგ გმობს“. 447.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ შ. რუსთაველი. რამდენჯერმე იხსენიებს ვისასა და რამინისა ამბავს, რითაც თვითონ გვამცნევს, რომ ვისის და რამინის სიყვარული ღრმად ჩაჭრია გულში, თუმცა მისი გმირების სიყვარული სხვა გვარია და ცათამდის მაღალი...

სამ. ფირცხალავა.

*) ვისრამსანი, 1884 წ. გამოც. ი. ჭავჭავაძის, ალ. სარაჯიშვილის და პ. უმიკაშვილის რედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველი ტომები

უძველეს დროდან ქსენოფონტის ხანამდე

I. იხსენიებიან თუ არა ქართველები ეგვიპტურს წყაროებში?

ამ კითხვის საბასუხოდ, სამწუხაროდ, მეტად ცოტა ცნობები მოიპოვება, მაგრამ მისი ადგილი მაინც კანონიერად შიმაჩნია მარტო იმიტომ კი არა, რომ ზოგი ქართველი ტომი უძველეს ხანას ეკუთვნის, არამედ იმიტომაც, რომ თვით ძველი ეგვიპტური წყაროები გვისახელებენ შორეულ ჩრდილოეთის ერებს, რომლებზედაც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესენი ქართველების შტოს ეკუთვნოდნენ.

ჰომეროსის ე. წ. პენტაურის პოემაში, მაგალითად, სადაც რამზეს მე-II (1333) [1] ქრ. წ. დაშქრობას აწერილი ხეტელების წინააღმდეგ, შემდეგი ერებია დასახელებული, რომელნიც ხეტელებს ეხმარებოდენ: ნაჭარაინ, მალუმნა, პიდასსა, დარდანი, ზოს (მაზა) კარგის (კარკიშა) და სხვ. ხეტელების სამეფო მცირე აზიის სამხრეთ ნაწილს შეიცავდა. მისი გავლენა მიულერის აზრით [2] არც ადმოსავლეთით და არც სამხრეთით შორს არ უწევდა, ამიტომ ჭკუაზე ახლო იქნება, რომ ხეტელების მოკავშირეები უმთავრესად მცირე აზიაში ვეძებოთ. ჩვეულებრივ ასედაც იქცევიან.

ჩვენს ყურადღებას, რასაკვირველია, ზემოთ ტუუპად დასახელებული ორი სახელი იპყრობს, სახელდობრ **მოს** და **კარკის** [3]). ასურულს წყაროებში მუსკები და კასკები სწორედ ასევე ერთათ იხსენიებიან. პირველი ისტორიული მოწმობა მათ შესახებ ტიგლატ პილესარ I-ის დროს ეკუთვნის ე. ი. მე-XII საუკუნის დამლევს. ეს წარწერა, სადაც ნათქვამია, რომ მუსკები დასახელებულ მეფეზე წინად არავის დაუმარცხებია, აშკარად გვიჩვენებს, რომ მესხებს ტიგლატპილესარამდიც ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორია ჰქონიათ. ასურდანის მეფობას, რომლის დროსაც წარწერის მიხედვით მესხებს ასურეთის პროვინციები ალცი დაშურუკუტი დაუპყრიათ, სულ „140“ წელიწადი აშორებს რამზეს II მეფობას ამიტომ შესაძლებელია, ჩემის აზრით, რომ ხეტელების მოკავშირე მოსები იგივე მესხები უოფიდიუენენ. მით უფრო რომ პენტაურის მიერ მათ გვერდზე დასახელებული კარკის კიდევ უფრო ცხადად მოგვაგონებს ასურული წარწერების კასკის (კოლხების სახელთა). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ როგორც უძველეს ასურულ წარწერაში, ისე აქ პირველად მუსკებს (მის) და კასკებს (კარკის) ვხვდებით. ტაბალს კი არც პენტაური იხსენიებს და არც ტიგლატ პილესარი.

საუბედუროდ ამ მოსაზრებების მეტი უფრო პოზიტიური, არაფერი მოიძებნება თუ მოიძებნება დასახელებული ერების იდენტიფიკაციის დასამტკიცებლად. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ არც არავის შეუდარებია ეგვიპტური მოს-ასურული მუსკისთვის ან ეგვიპტური კარკის—ასურული წყაროების კასკის თვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელების (მოს, კარკის) ისტორიული ეკვივალენტი ჯერაც არაა გამოძებნილი. ეგვიპტური

---

[1]) იხ. Brugsck. Geschichte Ägiptens 1877. გვ. 492.

[2]) W. Müller Asien u iuropa nach alägiptisch'en Denkmälern გვ. 355.

[3]) ეს მართლწერა მიულერს ეკუთვნის. 355.

„მოს“-ის (მაზა) მტირე აზიის მიზიელებთან შედარება შეუძლებელია, რადგან მიზიელები ჭომერასის დროსაც კი თრაკიაში ბინადრობდენ [1]). ბრუგში მათ მაზისის მოების მცხოვრებლებად ასახელებს [2]), მაგრამ არც ამითია ბევრი რამ თქმული.

რაც შეეხება «კარკისს», კერგეშს (Brugseh) უკანასკნელს (ბრუგშს) ესენი კარხემიშელები ჭგონია, მაგრამ კარხემიში ნაჭარაინის პატარა ნაწილს შეადგენდა, ამიტომ მისი კარხემიშთან ცალკე დასახელება ძნელი სათქმელია. მიუღერი „კარკისს“ კილიკიათ სთვლის [3]), მაგრამ რათა და რისთვის ეს მისს საიდუმლოს შეადგენს:

კიდევ უფრო საუურადღებოა კარნაკის ტაძრის წარწერა, სადაც ფარაონ მინეფტაჭ მე-II (1300) და ლიბიელების შორის მომხდარი ომია აწერილი. ლიბიელებს ამ ომში შემდეგი ზღვაოსანი ერები ჭეოლიათ მოკავშირედ: სარდანა (შარდანა) საკალსა (შაკალშა) და აკეიუაზა (აკეიუაშა), წარწერა ამათ ჩრდილოეთის ერებს უწოდებს ყველას. ეგიპტოლოგი შაბა [4]) და მასთან ერთად ბევრი სხვებიც სარდანასსარდინიელებათ ნათლავენ, საკალსას-სიციელებად და აკეიუზას ახეელებად, მაგრამ ეს იგივეობა არ უნდა იყოს სწორი, როგორც ქვემოთ დავინახავთ.

წარწერით ლიბიელებიც დამარცხებულან და მათი მოკავშირეებიც. გამარჯვებულებს ტროფეებათ ლიბიელებისთვის სასირცხვო ასოები დაუჭრიათ, მათი მოკავშირეებისთვის კი მხოლოდ ხელები. ამის მიზეზი ბრუგშმა აგვიხსნა შესანიშნავი მიხვედრილობით, იმ გზით, რომ მან თვით წარწერის თარგმანში შესწორა ის ადგილი, რომელსაც შაბა ასე სთარგმნიდა „Chefs et fils de chefs des Sardiniens, des Sicules des Achaïens et de nations de la mer qui n'avait pas les p'hallus coupes“ [1]). ბრუგშის აზრით ასე უნდა იყოს გადათარგმნილი: „სარტინები, საკალსები და აკაიუზები — ზღვის ბერძნები, წინადაცვეთილ იყვნენ“.

ეგვიპტური სიტყვა „კაირნაფა“, რომელსაც შაბა couper-თი სთარგმნიდა, ბრუგშის აზრით წინადაცვეთას გამოხატავს. ეს მესანიშნავი შესწორება არა თუ იმას გვიხსნის, რატომ მოეპურნენ გამარჯვებული ეგვიპტელები ლიბიელებს სხვანაირად და მათ მოკავშირეებს სხვანაირად, არამედ ამ მოკავშირეების ვინაობის შესახებაც ბევრს რასმე გვიკარნახებს. ადვილი წარმოსადგენია, რომ თვით წინადაცვეთილი ეგვიპტელები, ასე ვთქვათ, მეტის პატივით ეპურობოდენ ლიბიელების წინა დაცვეთილსაგე მოკავშირეებს და მარტო ხელებს სჭრიდნენ მათ. მაგრამ საქმე ეს კი არაა, საკითხი ისაა, რომელი ჩრდილოეთის ერი იყო ძველად ამ ჩვეულების მიმდევარი? ჭეროდოტის სიტყვით ძველთაგანვე ამ ჩვეულებას ეგვიპტელები, ეთიოპიელები და კოლხები [2]) მისდევდნენ. უკანასკნელებიდამ გადაუდიათ იგი მაკრონებს და სირიელებს. რაგორაც უნდა შეასწორო ეს დებულება, აქედამ მაინც ცხადი იქნება, რომ ჩრდილოეთის ერთაგან კოლხების და მათი მეზობლების მეტი არავინ არ მისდევდა ამ ჩვეულებას.

---

[1]) იხ. W. Müller Asieu u. Europa თავი Westklei nasiaten.

[2]) Geshichte Ägiptens თავი რამზეს მე-II შესახებ.

[3]) Mül. As. u. Eur. 355.

[4]) იხ. Zeitschrift f. die Ägipt. sprache ბრუგშის მე-II წერილი.

[1]) იხ. Zeitschr. f. die Äg. Spr. 1876 129 და ქვ. თარგმანი: „სარდინიელების, სიციელიელების აქეელების და ზღვაოსანი ერების უფროსებს და მათ შვილებს, რომელთაც სასირცხვო ასოები დაჭრილი არ ჰქონდათ“.

[2]) II 104.

თუ უველა ზემოთ მოყვანილს მხედველობაში მივიღებთ და გავითვალისწინებთ, რომ ლიბიელების მოკავშირეები 1) ჩრდილოეთში მობინადრენი ეოთვილან, მე-2) ზღვის პირზე მცხოვრებნი და მე-3) წინადაცვეთილნი, მაშინ ბრუგშის აზრი [1]), რომ აქ „კოლხურ-კავკასიურ“ ერებზეა ლაპარაკი, მგონია, ადარ გვეჩვენოს ფანტასტიურად.

მაგრამ კიდევ ერთი რამეა აქ ადსანიშნავი. საქმე ის არის, რომ ჰეროდოტი კოლხურ ქსოვილს, რომელიც მის დროს განთქმული ეოთვილა საბერძნეთში „სარდონიკოსს“ უწოდებს. დღემდისაც არაა გამორკვეული საიდან წარმოსდგა ეს სახელი. ზოგი სარდინიას უკავშირებდა მას, ზოგი ლიდიის ქალაქ „სარდის“, მაგრამ ამაოდ, როგორც სხვაგანაც ადგნიშნე ბრუგში, რომელიც ამ ორი სახელის (სარტინა-შარდანა—სარდანა, შარდონიკის) ერთხმოვანებაზე მიგვითითებს, თუმცა არაფერს ამბობს მათ კავშირზე, მაგრამ ალბად იმიტომ, რომ იგი თავისთავად ცხადად სთვლის მას.

თუ შარდანები (სარტინები) ზღვაოსნობას ეწეოდნენ, მაშინ მათი კავშირი შორეულ ლიბიელებთან არც ისე ძნელი წარმოსადგენი უნდა იყოს, მაგრამ ბრუგში სხვანაირათ სწუველს საკითხს. მისი აზრით ეს ერები (ნაწილი) წინეთ უნდა ეოთვილიყვნენ აქ გადმოსახლებულნი. სარდანების შესახებ, მაიერის სიტყვით [2]), პირდაპირი ცნობაც მოიპოვება წარწერებში, რომ ისინი რამზესის დროს გადმოუსახლებიათ აქ. სპეციალურ ისტორიაში უველგანაა აღნიშნული, რომ უკანასკნელის დროს ესენი ლეიბ გვარდიის დანიშნულებას ასრულებდნენ, და მაშასადამე ეგვიპტური ჯარის საუკეთესო ნაწილათ ითვლებოდნენ.

[1]) Brygsch Gesch Ägipt. 577.

[2]) იხ. მ. Gesch des alt. Ägiptes 1887 გვ. 286.

მინეპტაჰ-ს დროს, ესენი, როგორც სჩანს, აჯანყებულან და ლიბიელებს შეერთებიან.

II. ფინიკიურ-ებრაული წყაროები ქართველ ტომების შესახებ.

ცნობილია, რომ ქართველი ტომები (ტიბარენები და მესხები) დასავლეთში იხსენიებიან. სანამ ისტორია ახალი მეცნიერების—ასირიოლოგიის შესანიშნავი ნაყოფებით ისარგებლებდა, მანამდი ჩვეულებრივ უძველეს ცნობებათ ზემოდ დასახელებულ ტომების შესახებ, სწორედ დასავლეთის ცნობები ითვლებოდა. დღეს ამ აზრს ძნელად და მიეშხრობა ვინმე—ჯერ ერთი იმიტომ, რომ დასავლეთის წარმოშობა, როგორც დღეს საერთოთ მიღებულია, სრულიად არ ეკუთვნის ისეთ ძველ ხანას, როგორც წინათ ჰფიქრობდნენ, მეორე იმიტომ, რომ ტიბარენები და მესხები უკვე უძველესს ასურულ წყაროებში იხსენებიან.

დასავლეთის ცნობილი მეათე თავის შედგენას ზოგი [1]) მსაჯულების ხანას აკუთვნებს (მე-IX საუკ.) ზოგი [2]) კიდევ უფრო ახალ დროს.

მიუხედავად ამისა ჩვენ ასურულ ცნობებზე ადრე ამ ცნობებს განვიხილავთ. ზემოხსენებულ მეათე თავში „ტუბალი“ და „მესეხი“ იაფეტის შვილებად იხსენიებიან. სხვაგანაც ბევრგან ვხვდებით ამ სახელებს დასავლეთში. ეურადღების მისაქცევია, რომ ეს ორი ტომი აქ ისევე ტუუბად იხსენება, როგორც მაგალითად ჩვენში ქართველი და კახელი, ან გურული და მეგრელი. რა დროს უნდა გასცნობოდნენ ებრაელები ამ ერებს, ამ კითხვის ადძერა შეუძლებელია, რადგან, როგორც კი-

[1]) Ranke Waltgeschichte I თავი ურიათ შესახებ.

[2]) Kiepert. იხ. Verhandl. d. Bere Acad. 1859.

ბერტი აღნიშნავს [1]), აღვილი შესაძლებელია, რომ ზემოხსენებული ტნობები სრულიადაც არ ეკუთვნოდეს ებრაელებს და თვინიკიელებიდამ მომდინარეობდეს. ეს დასკვნა მით უფრო ახლოა ჭეშმარიტებაზე, რომ დასახელებულ ერთა შორის ხშირად ზღვის პირებზე ან კუნძულებზე მცხოვრებთ ვხვდებით, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მათი გაცნობა ხმელის გზით არ მომხდარა. ებრაელების მეზღვაურობისა კი ძნელად თუ ვისმე რამე სმენია.

გარდა ამისა შრადერმა დაამტკიცა [2]), რომ დაბადების კომერი (მეათე თავის) უიერიმელ ქიმერიელებს აღნიშნავს და არა მცირე აზიელებს. რაკი ეს ასეა, მაშინ წარმოუდგენელი ხდება, რომ მეათე თუ მეცხრე საუკუნეში ებრაელებს, ან სხვა ვისმე ხმელის გზით შესძლებოდეს კავკასიის იქითა ქიმერიელების გაცნობა.

რამდენადაც ვიცი, პირველად ებრაელმა ისტორიკოსმა იოსებმა აღიარა ტუბალი ტობალრენებად —იბერებად [3]). შემდეგ ცნობილმა ბიბლიური გეოგრაფიის მკვლევარებმა ბოხარტმა და მიხაელისმა უფრო ვრცლად და გარკვევით განიხილეს ეს საკითხი და დაამტკიცეს, რომ დაბადების ტუბალ-მესეხი იგივე ბერძნული წყაროების ტიბარენ მესხებია [4]). მათ შემდეგ თითქმის აღარავის აღუძრავს ეჭვი ამის შესახებ, ასე რომ დღეს მათი იდენტიფიკაცია საერთოდ მიჩნეულია. კიპერტი [1]) და წინად კიდევ ჭეერენი, ამ იდენტიფიკაციის დასამტკიცებლად გადამწყვეტ სიბუთად იმ ფაქტს აღიარებენ, რომ ის საგნები (სპილენძი და ფრონები) რომლებითაც დასახელებული ერები წინასწარმეტყველის (ეზეკიელის) სიტყვით ევაჭრებოდნენ თვინიკელებს, კარგად ესმებიან ჩვენს გეოგრაფიას და ისტორიას.

გარდა ამისა აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იგივე წინასწარმეტყველი ტუბალმესეხს ერთგან [2]) გოგის ქვეშევრდომებად იხსენიებს. კიპერტის აზრით [3]) ეს გარემოება აშკარად გვიჩვენებს, რომ აქ ჩრდილოეთის ერებზეა დაპირაკი. ჩდილოეთით-კი სწორედ ტიბარენ-მესხებს იცნობს ისტორია.

ტ. მაიერის აზრით [4]) სახელი ტუბალისგან უნდა წამომდგარიყოს დაბადების ტუბალ-კენიც, რომელიც მჭედლების მამათ-მთავარს აღნიშნავდა. ეს გარემოება ისევე, როგორც ეზეკიელის მოწმობა სპილენძით ვაჭრობის შესახებ, საბუთს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ ლითონების გადამუშავება, თუ არ აღმოცენებულა, უძველესი დროიდამ მაინც არსებულა ტუბალის ქვეყანაში.

უკანასკნელი დროის არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა საკმარისად გაამართლეს ეს აზრი. ი რას გვეუბნება ამის შესახებ რუდოლფ-ვირხოვი [5]), რომელმაც ბელკის მიერ შეგროვილი შესაფერი არქეოლოგიური კოლექტია შეისწავლა. „ჩვენ მიერ უკანასკნელ დროს წინ წადგმული ნაბიჯის მნიშვნელობა იმაში,

---

[1]) იქვე.

[2]) Keilinschr. u Geschichts forschung 157.

[3]) ბ. ნიკნიშელი (იხ. მისი Voluierta fell der Genesis) გვარწმუნებს, რომ იოსები ისპანელ იბერებს გულისხმობდა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მართალი, რადგან ბოხარტი, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, მაზე კარგად იცნობდა იოსების ნაწერებს თვით იმოწმებს იოსებს. მისი აზრით კი ტიბარენები ჩვენებური იბერებია (იხ. მისი Geogr. Sacra 179.

[4]) იხ. Bochart. Gegr. Sacr. 175 და J. D. Michaelis Spicilegiun დაბადების მეათე თავის გარჩევა.

[1]) Verhnhdl. der. Berliner Academie 1859 გვ. 209.

[2]) თავი 38, 2.

[3]) Verh. 209.

[4]) იხ. Gesch, des Künigreich Kontus თავი კაპადოკიის ძველ მცხოვრებლებზე.

[5]) Abh. der Berl. Acad. 1895. გვ. 65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიხატება, რომ დღეს ფაქტიურად დამტკიცებულ იქმნა, რომ ძველი თქმულებისგან ნაჩვენებ ადგილს, მართლაც ძალიან ადრე ყოფილა გასაოცრად განვითარებული და ინდივიდუალურად წარმოებული ლითონების ინდუსტრია'' (გვ. 65).

რაც შეეხება ტიბარენ-მესხების ეროვნულ ვინაობას, ეველამ იცის, რომ მესხები ძველი ქართველი ტომია, რომელსაც ძალიან საუკუნეებო როლი აუსრულებია ჩვენს ისტორიაში.

არც ტიბარენების შესახებ აღუძრავს ვისმე ეჭვი [1]), რომ ესენი ქართველ ტომს ეკუთვნიან, ასე რომ მათი ქართველობის მტკიცებას არ გამოვუდგები.

ჯავახიშვილის აზრით თვით იბერიც ტიბარიდამ უნდა წარმომდგარიყოს. „ენი" დაბოლოებაა (ტიბარ-ენი) „ტიბარ'' ფესო ამბობს იგი. მე მგონია ეს ფილოლოგია სრულებით არაა საჭირო, რადგან როგორც ჩეგარტე [2]) ისე მენიპოსი [3]) Τίβαροι-ის ნახმარნ ტიბარენების მაგიერ, მაგრამ მაინც არა მგონია, რომ ეს ჩიპოტეზა მართალი იყოს.

III. ასურული წყაროები. ა) მესხები

ეს წყაროები ბევრად უფრო ვრცელს და საინტერესო ცნობებს იძლევა ქართველი ტომების შესახებ, ვიდრე დაბადება. მათის მიხედვით ჩვენ დასახლოებით უკვე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მათი ბინადრობის საზღვრები და მათი ძალიერებაც. ტაბალი და მუსკი (ან ტაბალი და კასკი) აქაც ისევე ტუბად იხსენიებიან ხშირად, როგორც დაბადებაში.

ბირველად მესხების სახელი ტიგლატ-პილესარ I წარწერაში გვხვდება, წარწერა გვაუწყებს, რომ „მუსკები" „რომელთა ძალა (გული) არც ერთ მეფეს არ შეუმუსრავს" [1]), შესევიან ასურეთის ბრძოვინციებს ადლის და ბურუკუტუს და 50 წლის განმავლობაში ე. ი. თვით ტიგლატ-ბილესარ I დრომდე სჭერიათ ესენი. ჩომელი ასურანის მეფობის (1190—1155 ქრ. წინ.) დროს აკუთვნებს ამ შესევას. რაც შეეხება თვით ბრძოვინციების ადგილ მდებარეობას ესენი, მისი აზრით, მაზისის (არარატის) დასავლეთით უნდა ეოფილიყვნენ. ეს სრული ჭეშმარიტება უნდა იყოს, მაგრამ იგი მაინც ბევრს არას გვეუბნება. შტრეკი უფრო გარკვევით გვიჩვენებს მათ მდებარეობას [2]) მისი აზრით „ადლი იგივე—ენლი—იგივე ისაა, „იგი მდებარეობდა მესხების მახლობლად და უწევდა ჩრდილოეთით არსანიამდე, აღმოსავლეთით ურარტუმდე და სამხრეთით ნამდანუ და მირჩისუმდე". ჩიუბშმანის აზრით [3]) ასურული ადლი იგივე სომხური ჩანტიტი უნდა იყოს. ეს უკანასკნელი კი, როგორც მისი ქარტიდამ სჩანს, ეფრატის გადადმა ვანის ტბის გასწვრივ (დასავლეთით) მდებარეობდა. ბურუკუტუს, ან როგორც ეხლა სწერენ, ბურუკუტუს შესახებ არავინ არას გვეუბნება, მაგრამ ადვილი საფიქრელია, რომ იგიც ადლის მეზობლად იქნებოდა.

ტიგლატ-ბილესარ ბირველის დროს მესხებს ხელახლა მოუნდომიათ თავის სამეფოს გაფართოება სამხრეთით და ახლად შეძენილი ბრძოვინციებიდამ კუმუხს შესევიან [4]).

---

[1]) ხშირად როგორც ძველ დროს (იერონიმო) ისე ახალს (კნიბელი) მათ ისპანელ იბერებად ნათლავდენ. მაგრამ კიპერტის არ იყოს ეს უვიცობის ბრალი უნდა იყოს.

[2]) იხ. Knobel Velckertafel d. Genesis 110.

[3]) იხ. Kiepert zehrbuch' d. alteu Geogr. 1878. გვ. 94.

[1]) იხ. Jr. Hommel Geschichte Asyriens und Babyloniens 1885 თავი ტ. 3-I შესახებ.

[2]) იხ. Zeitschrift für Assyriologie 1898 გვ. 94.

[3]) იხ. Jndogermanische Forschungen 1904 გვ. 248.

[4]) იხ. Nommel Gescihchte Ass. u. B. 522.

კუმუხი იგივე ბერძნების კომაგენეა, იგი ტაურუსის სამხრეთით მდებარებდა, ეფრატის ოსსვე მხარეს [1]). —ასურეთი, რომლის ძლიერება სწორედ ამ დროს მაღლა იწევდა, ვერ მოითმენდა ამ შეფერხებას, ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ტიგლატ-პილესარი ილაშქრებს მათ წინააღმდეგ და ბრწყინვალეთ იმარჯვებს მათზე. წარწერით მეფეს ექვსი ათასი კაცი (20 ათასიდამ) ტყვედ წაუყვანია, დანარჩენები კი ბრძოლის ველზე დარჩენილან. ამ საშინელ დამარცხებას (თუ პირდაპირ დაუჯერებთ წარწერას) სრულიადაც არ ადუხოცია ისტორიის ფურცლებიდამ მესხების სახელი. ამის თავდები თვით ასურული წყაროებია, სადაც მესხები კიდევ შეგვხვდებიან, როგორც ძლიერი ერი.

ადვილი შესაძლებელია იგივე ტიგლატ-პილესარი I-ის მეორე ლაშქრობას კუმუხის წინააღმდეგ ისევ მუსკებთან ჰქონდეს კავშირი, თუმცა წარწერა ამის შესახებ არას ამბობს.

ოფველ შემთხვევაში ადსანიშნავია, რომ მესხებს ასურნაზირპალის დროსაც კი (884—60) ისევ კუმუხში ვხედავთ [2]) როგორც ქვეშევრდომებს კიარა ასურეთისას, არამედ როგორც მის მტრებს. ასე რომ ასურნაზირპალს ხელ-ახლა უხდება მათ წინააღმდეგ გალაშქრება. მესხები თავის თავად ნებდებიან მას და ხარკად დვინოს, საქონელს და ჯურჯნელს (ბრინჯაოსს) მიართმევენ მას [3]).

ამის შემდეგ კარგა ხანს ადარაფერი გვესმის მესხების შესახებ. ადვილი საფიქრელია, რომ ისინი დიდი ხანს ვეღარ ჰბედავდნენ ასურეთის წინააღმდეგ ხმლის აღებას. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ძლიერი ასურეთის მაგიერ მათ ახლა უფრო სუსტ მეზობლებს მიმართეს იარაღით ხელში. ეს მოსაზრება იმაზეა დამყარებული, რომ შემდეგი ცნობები (სარგონის წარწერები) მესხების მეფე მიდაზე გველაპარაკებიან. ეს მიდა კი, როგორც ვინკლერი [1]), კიორტე და დებანი [2]) გვარწმუნებენ იგივე ფრიგიის მეფე მიდა (მიდას) უნდა იყოს, რომლის შესახებ ერსებული ურიცხვი თქმულებანი შემდეგ ბერძნებმა გადაიღეს და გადაკეთეს [3]). მაშასადამე რამდენისამე ძვირად დასმული ცდის შემდეგ მესხებს ხელი აუღიათ სამხრეთისკენ წინ წაწევის სურვილზე და იარაღით ხელში დასავლეთისკენ მიუმართავთ.

მაგრამ სწორედ სარგონის დროს უნდა მომხდარიყო ერთი უმწვავესი შეჯახებათაგანი სამხრეთსა და ჩრდილოეთის შორის (ურარტუს და ასურეთის შორის). ამ შეჯახებაში მესხებს არ შეეძლოთ მონაწილეობა არ მიეღოთ, რადგან ასურეთი მათაც ყელში ძვლად ადგათ. და მართლაც მესხელი მიდა, როგორც ურარტიელი რუზას, უმთავრესი მოკავშირე, არათუ თვით ილაშქრებს სამხრეთისკენ და იჭერს კილიკიის ბრაფინციას კუის, არამედ უჯანუებს ასურეთის ტაბალს, ატუნს, კამანუს [4]), ხეტელებს და სხვა. ჩომელის აზრით, რომ ყველა ამათ შეწყობილად ემოქმედნათ სარგონის წინააღმდეგ, მაშინ ჩრდილოეთის ომი მისთვის ბევრად უფრო საშიში შეიქმნებოდა, მაგრამ, როგორც სჩანს, აქ ყველა თავისთვის მოქმედებდა.

სანამ სარგონი რუზას გაუსწორდებოდა, იგი იძულებული იყო მესხების მიერ კუის დაპყრობა, ასე ვთქვათ, დაეკანონებია [5]), მაგრამ ურარტუს შემუსვრის შემდეგ მიდასაც

---

[1]) იხ. მისი Lehrb. d. alfeu Geographe 1878 გვ. 86.

[2]) Gommel. Geschich. As. u. Babyl. 557 და Meyer Gesch. Altert. 331.

[3]) Hom. იქვე.

[1]) იხ. მისი Das Alte Vorderasien

[2]) იხ. Abhandl. d. Gottingen. Geselsch'. d. Wissensch' 1907 გვ. 124.

[3]) იხ. E. Meyer. Gesch. Alt. 300.

[4]) იხ. Hom. 715.

[5]) იხ. Meyer Gesch. Alt. 457.

უნდა ეგრძნო ასურეთის რისხვა. მისი სამეფო ალბრებულ იქმნა და იგი იძულებულნი გამხდარა ასურელებს დამორჩილებოდა (709 წ.)

როგორც სჩანს არც ახლა უფიქრიათ ასურელებს მესხეთის ანექსიაზე, რადგან მესხებს ასურბანიპალის დროსაც 667—26 საკუთარი მთავარი ჰყავთ, რომელიც მხოლოდ ხარკს იხდის და რომელსაც სხვაფრივ არაფერი დამოკიდებულება აქვს ნინებიასთან [1]).

ეს ასურბანიპალი იგივე ბერძნული გადმოცემის სარდანაპალია; როგორც ვიცით იმით თავდება ასურეთის ისტორია, მაგრამ მესხებს და მათ მეზობლებს ამ დროს ასურელებზე კიდევ უფრო საშიში მტერი ადგათ კარზე, რომელსაც მათი ძლიერება სამუდამოდ უნდა მოესპო. ეს მტერნი ქიმერიელები იყვნენ.

ბ) ტაბალი.

ტაბალი პირველად სალმანასარ II წარწერაში გვხვდება, როგორც ამ წარწერიდამ სჩანს 838 წელს ასურეთის მეფეს გადაუვლია ეფრატი და ტაბალის 24 მეფისაგან საჩუქრები მიუღია. სალმანასარი ამბობს აქ, რომ ტაბალისგან მან „მარიდის, ადებასტრის და ვერცხლის მთამდნების ხელში ჩასაგდებად გაიდაშქრა“ [2]) მეორე წელიწადს ე. ი. 837 წელს ეს ისტორია ხელახლად მეორდება, ე. ი. მეფე ხელახლად იდაშქრებს ჩრდილოეთისკენ და ისე იღებს ტაბალისგან საჩუქრებს თუ ხარკს. ძნელი წარმოსადგენია, რომ სალმანასარს ჯარები ამ სიშორეს მხოლოდ ტაბალისგან საჩუქრების მისაღებად წამოეყვანოს, ამიტომ ჯგუფზე ახლო იქნება ვიფიქროთ ჩომელთან ერთად, რომ დაშქრობის პირდაპირი მიზანი სხვა რომელიმე ჩრდილოეთის ქვეყანა იყო. ტაბალი კი ნებით უხრიდა თავს კარზე მოდგარ ძლიერ მტერს. ანალოგიურ შემთხვევას ჩვენ ტრაიანის დროს ვხედავთ, როდესაც ქართველი მთავრები ერთი ერთმანეთს ასწრებდენ იმპერატორის წინაშე ნებით ქედის მოხრას.

შემდეგ ტიგლატ-პილესარ მე-III (745—27) წარწერა გვიხსნიების ტაბალის სახელს. თუმცა აქაც ისევ ხარკზეა ლაპარაკი, რომელსაც ტაბალის გარდა ბევრი მისი მეზობელიც უხდიდა ასურეთს ამ დროს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მეფის დროს ასურეთის ზედგაგზავნა ტაბალზე ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე წინად. ეს იქიდამაც სჩანს, რომ ტიგლატ-პილესარ მე-III სცვლის ტაბალის მეფეს უასირმუს და მის მაგიერ ხულდის აყენებს [1]).

ამ ხულდის შვილი იყო სწორედ ის ამბრი, თუ ამბარისი, რომელიც მესხელი მიდას ზედგაგზავნით და მასთან ერთად თავის სიმამრს სარგონს აუჯანყდა და მთიანი კილიკია დაიპყრო, როგორც ვიცით სარგონი ამ დროს ურარტელ რუზას ეომებოდა და ამიტომ მას თავის სიძისთვის არა სცალოდა, ამიტომ მან ამასაც ისევე, როგორც მიდას დაუკანონა კიდევაც მისი დაპყრობა, მაგრამ გაუსწორდა თუ არა სარგონი ჩრდილო ადმოსავლეთს, იგი ტაბალმუსკეს შეესია.

მესხეთი, როგორც ვიცით, ალბრებულ იქმნა. ტაბალს ბიტბურუტა და ახლად შეძენილი კილიკიაწართვა. მისი მეფე ამბრისი კი ასურეთს იქმნა წაყვანილი ტყვედ.

მიუხედავად ყველა ამისა ტობარენებმა ისევე, როგორც მესხებმა, მაინც შეინარჩუნეს თავის ტერიტორიაც საერთოდ და დამოუკიდებლობაც, რადგან ესენი, უკანასკნელი ასურეთის მეფის დროსაც, საკუთარი მთავრის ხელქვეითნი იყვნენ.

ამ ძვირფასმა ცნობებმა, შეიძლება ითქვას, მკვდრეთით ადადგინეს ძველი ქართველები.

---

[1]) იქვე.

[2]) Hommel Gessh. As. u. Bab. 602.

[1]) იხ. Hommel Gesch. As. u. Bab. 715.

არც ნაციონალურ გადმოცემას და არც ისტორიას არ შეუნახავს მათის ძლიერების ამბავი:— ის ამბავი, რომელსაც ასურული ქვები გვიდადებენ. მართალია ყალბი ორთეუსის „არგონავტიკაში“ ტიბარენთა ტომებია (თუ ხალხები ἔθνη) ნახსენები, საიდამაც შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეს ხალხი წინადაც ისე უძლური და უმნიშვნელო არ ყოფილა, როგორც ქსენოფონტის დროს; მესხეთის მთები (ამ სახელით) ბერძნების დროს და შემდეგ ეპოქებშიაც ძალიან შორს უწევდენ მცირე აზიაში და ეს კი საფუძველს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ მისი სახელმწოდების ერიც ოდესღაც აქამდე ყოფილა გავრცელებული, მაგრამ ასეთ ობოლ ცნობებს დღესაც ვერ გამოვიყენებდით, რომ ასურული წყაროები არ ყოფილიყო. გარდა ამისა ამ ძვირფასი ცნობების საშუალებით ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ რა ტერიტორია ეკჭირათ ამ ერებს და სად იყო მათი ბინადრობის ადგილი.

ა. სვანიძე.

(შემდეგი იქნება)

ჰიგიენა

(წერილი მეორე)

„სნეული კაცი არც თავს არგია,
ოჯახისთვისაც მეტი ბარგია“...
(ხალხ.)

ჯანმრთელობისთვის ბრძოლის უნარი ბუნებითვე ჩანერგილი აქვს არამცთუ ადამიანს, ყოველივე ცხოველს და მცენარესაც.

ბირველ კულტურის ხალხმა ჯანმრთელობის მნიშვნელობა ადრევე შეიგნო, ძველად ბერძნები მრავალ დმერთთა შორის მკურნალობის დმერთად **ესკულაპს** ადიარებდენ. ხოლო ესკულაპის ერთს ქალთაგანს **ჰიგეა** ერქვა, რომელსაც სიმრთელის მფარველად სახვდენ. აქედან წარმოსდგა სიტყვა **ჰიგიენა** და ეწოდა სამკურნალო მეცნიერების იმ დარგს, რომელიც ჯანმრთელობის კანონებს გვიწესებს,— ბუნებრივად— გონივრულ ცხოვრებას გვასწავლის.

ჰიგიენა ექიმობა კი არ არის! ბირიქით ჰიგიენა სულ იმას სტდიობს, **საექიმოდ არ გაგვიხდეს თავი.**

ჰიგიენურ სწავლა-მოძღვრებას უწინდელი განთლებული ხალხი ან რჯულის კანონებს უკავშირებდენ (ებრაელნი), ანუ მიაჩნდათ საფუძველად მოქალაქობრივი კეთილ-დღეობისა (სპარტის კანონები), ან და ჰიგიენის კანონებს ადიარებდენ ვით ადამიანის სადი გონების და მკურნალთა ბრძნულ დაკვირვების ნაყოფად (ჰიპოკრატის სკოლა)...

მოსეს კანონებში მოიპოება ბევრი ჰიგიენური განკარგულება, რომელთაც საზოგადო მნიშვნელობა დღესაც არ დაჰკარგვია. მეტადრე კანონი წინადაცვეთისა და აკრძალვა დორის ხორცისა, სამარადისოდ დარჩება. ეს ორივე კანონი, ჯერ ეგვიპტეს და მერე პალესტინის აუტანელმა ცხელმა ჰავამ გამოიწვია.—

არაბეთის ცხელ-პაპანაქმა ჰავამ მაჰმადსაც სავსებით მიადებინა ეს ორივე ჰიგიენური კანონი, ხოლო ფელამბარმა თავის მხრივ დვინის სმაც აკრძალა. ამ ბრძნულმა განკარგულებამ მრავალი მაჰმადიანი დაიხსნა და არ იხსნის ათას გვარ განსაცდელისაგან.—თვით მაჰმადმაც ბევრი ჰიგიენური წესი დაუკანონა თავის ხალხს. ამ კანონთა კრებულს **შარიათს** ეძახიან და თითქმის რო მეორე უურნად აქვსთ გადაქცეული.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეს მოძღვრებამ ხალხის მოსაზრებანი სულ ცალმხრივ გაიტაცა! საიქიოთი ადოერთოგვანებული ადამიანი საქაოზე ადარას ზრუნავდა. „ხორცი დაჩაგრე, რომ სულმა იხარჰსო“... ჯანმრთელობაზე თქვრი ცოდვადაც კი მიაჩნდათ. ამ გვარად, რამდენადაც სულიერი მხარე ადამიანისა ქრისტიანობამ უზენესად ადამადა; ჭეშმარიტება, მადალზნეობა იდეალად გახადა, იმდენად ჭიგიენა, მისი კანონი და სწავლა ძლიერ შეფეერხა...

შეფეერხდა კი არა, **ვიდრე** კატოლიკობის საბედნიერად, მეცნიერებამ სხოლასტიკას (შუა საუკუნეთა რელიგიურ ფილოსოფიას) თავი არ დაადწია, ჭიგიენის შესახებ თითქმის მთელი ათასი წელიწადი არც თუ ვისმე ხმა ამოუღია და არც თუ რამე დაწერილა. ხოლო როდესაც 1830—40 წლებში ევროპას ეწვია ასიის სტუმარი **ხოლერა** და ხალხს მუსრს ადენდა, მაშინ კი, ღვთის წყალობა გაქვთ, გასახსენდათ **ჰიგიენა**. პირველი წიგნი **ჰიგიენა, მიხეილ ლევიმ** შეადგინა და გამოსცა პარიზში 1841 წ.

—

დღეს, ჩვენი დროის მეცნიერება თავის მოსაზრებას ქრისტეს სწავლაზედვე აფუძნებს და იმ ჭეშმარიტებას ადიარებს, რომ **ვინც ჯანსაღია, იმას სულიც საღი აქვს, ზნეობრივად წმიდანია**. იგი წარმოადგენს **ნამდვილს** ადამიანის ტიპს, კეთილ-გონიერ არსებას, ადამიანის სამაგალითო ნიმუშს და **ღვთის სახიერებას**...

ღმერთმა მოგვმადლა ჩვენ უზენესი ნიჭი —სიცოცხლე და ჯანმრთელობა არა უაზროდ! რო მოგვცა თან კიდეც დაგვავალა, როგორც გონიერ არსებას, სამსახური ღვთისადმი, ქვეყნისადმი და საკუთარ თავისა და ოჯახისადმი.

დიად, ბატონებო! სიცოცხლე და ჯანმრთელობა ჩვენი საკუთრება როდია! იგი მობარებული ტალანტია, რომელიც ქვეყნის და საკუთარ ოჯახის კეთილ-დღეობას უნდა მოვანმარო, მსხვერპლად შევწირო.

ჯანმრთელობა როდია მოცემული **წარამარად საფლანგავად, ბახუსისა და ვენერას ტაძრებში საქეიფოდ, სათრეველად!**

აბა მიხედეთ ცხოველებს და თუნდ მცენარეებსაც რა გონივრულად, ბუნებრივად ცხოვრობენ და რა თავგამოდებით შრომობენ, რომ ბუნებას ვალი ერთი ორად გადაუხადონ!..

—

„სნეული კაცი არც თავს არგია, ოჯახისთვისაც მეტი ბარგი“ არისო ამბობს ხალხის სიბრძნე, მაგრამ ეს უველა სნეულზე როდი იოქმის, როდესაც ადამიანი დასნეულდა, დასახიჩრდა კატობრიობის და ქვეყნის სამსახურში, ან სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში, ანუ ოჯახის გამოსაკვებად ბატიოსან შრომისა და ბრძოლის დროს, ამ გვარს ავადმეოფს ჩვენ უველანი მოვალენი ვართ მუხლ მოდრეკით ბატივი ვცეთ და ეოველი ღონე ვიღონოთ მისი ავადობის გასწორებად, ანუ შესასუმბუქებლად —ქვეყნისა და ოჯახის მოამაგდარს სრული უფლება აქვს ჩვენის თანაგრძნობისა. იგი მეტი ბარგი არ არის.

ხოლო რა უნდა ითქვას იმ სირცხვილეულ სნეულზე და ზნეობრივ სახიჩარზე, რომელმაც თავისი ჯანმრთელობა ნებსითი ვენერას და ბახუსის კერპს შეალია!? ნუ თუ დირსია ვისიმე სიყვარულისა და სულ უბრალო თუნდ თანაგრძნობისა, რომელმაც არამც თუ თავისი თავი დაღუპა, არამედ ბახუსის და ვენერას სნეულებანი ოჯახშიაც შეიტანა, გადასდო, შეჭყარა... ამისთანა გახრწნილი სნეული შესაბრალისია მხოლოდ და... მაგრამ ეს ბასი შორს წაგვიყვანს. ახლა კი სჯობს ჯერ შევისწავლოთ ჩვენი ჯანის მატოცხლებელი **სასმელი** და სახმარი **წყალი**.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ფედია პროტასოვი და ოჯახური აღზრდის მნიშვნელობა *)

ტოლსტოი ზემო დასახელებულ წიგნაკში ამბობს: „მე დიდი ხანია განზრახვა მქონდა შემდეგი შინაარსის ზღაპარი დამეწერა: შეურაცხყოფილი და ძალზე გაჯავრებული ერთი დედა-კაცი თავის შეურაცხმყოფელ მეორე ქალის შვილს მოსტაცებს და მკითხავთან გარბის რჩევის მოსაცემად თუ როგორ და რა გზით მოხერხდება, რაც შეიძლება სასტიკად და ბოროტად ჯავრი იყაროს თავის მტერზე მისი შვილის შემწეობით. მკითხავი ურჩევს წაიყვანოს ბავშვი და მისგან დანიშნულ ადგილზე დასვას და არწმუნებს, რომ ეს იქნება საშინელი შურის ძიება. ქალი ასრულებს მკითხავის დარიგებას და თან ბავშვს შორიდან თვალ-ყურს ადევნებს. და როგორი იყო მისი განცვიფრება, როდესაც ეს ბავშვი ვიღაც უშვილო მდიდარმა კაცმა აიყვანა და იშვილა. დედა-კაცი მკითხავს საყვედურით ავსებს, მაგრამ ეს უკანასკნელი მოთმინებას ურჩევს. ბავშვი ფუფუნებაში და სიმდიდრეში იზრდება. ბოროტი ქალი უკმაყოფილოა, მაგრამ მკითხავი კვლავ მოთმინებას ურჩევს. მართლაც დადგება დრო, როდესაც ბოროტი დედა-კაცი დაკმაყოფილებულია და თავისი სხვერპლისადმი თითქმის სიბრალულსაც გრძნობს. განებივრებული და სათუთად აღზრდილი ყმაწვილი მთელ თავის ქონებას გაფლანგავს. აქედან იწყება მისი ტანჯვა-ვაება, სიღარიბე და დამცირება, რომელთა სიმწვავეს კარგად გრძნობს, მაგრამ შებრძოლებას და გამკლავებას ვერ ახერხებს. მის ბუნებრივად ზნეობრივ ცხოვრებისაკენ მიდრეკილებას ეწინააღმდეგება ფუფუნებასა და სიმდიდრეში აღზრდილი მისი ხორციელი სხეული; ამაოთ იბრძვის, ეცემა, თავდავიწყების განზრახვით ლოთობს, დანაშაულს სჩადის და ბოლოს ან ჭკუაზე იშლება და ან თვითმკვლელობით ისპობს სიცოცხლეს“.

აი, ტოლსტოის აზრით, თანამედროვე განებივრებულ მდიდრულ პირობებში აღზრდილ მგრძნობიერ ბავშვის მომავალ ცხოვრების უტყუარი სურათი. ჩვენ ვიცით, რომ ფედია პროტასოვს სწორედ ამგვარი ბედი ეწია და შემცდარი არ ვიქნებით თუ ვიტყვით, რომ ავტორს ამ ნაწარმოებით სხვათა შორის, სურდა ჩვენთვის ასეთი აღზრდის უვარგისობაც ეჩვენებინა.

დღეს ყველა აღიარებს აღზრდის დიად მნიშვნელობას, მაგრამ, სამწუხაროდ უმრავლესობას ნაკლებად ესმის ჭეშმარიტი და საღი აღზრდის უაღრესი დანიშნულება და ძალიან იშვიათად ასრულებენ მის ელემენტურ მოთხოვნილებათაც.

ჯონ ლოკკი ამტკიცებს, რომ ახლად დაბადებული ბავშვის სული tabula rasa-ა, ე. ი. სუფთა დაუწერელი დაფა ანუ თეთრი ქაღალდია, რომელზედაც ყველაფერი დაიწერება—ავიც და კარგიც. თუმცა ბავშვს არ შეიძლება არ ქონდეს თან დაყოლილი მემკვიდრეობით გადმოცემული, ბუნებრივი ნიჭი, გრძნობები, ესა თუ ის თვისებები. ხოლო აღზრდაზეა დამოკიდებული ამ ბავშვის ბუნებაში ჩამარხულ პოტენციანალურ ძალთა სასიცოცხლოდ გამოწვევა, მათი განვი-

*) იხ. „განათლება“ 1912 წ. № VI.

თარება და გაუმჯობესობა,—სწორედ ისე, როგორც გამოცდილი მებაღე მოვლით და კულტურით ველურ ვაშლის ხეს აკეთილშობილებს და მშვენიერ ნაყოფს გამოაღებინებს. მაშასადამე, ცხადია, აღზრდის დიდი და განუსაზღვრელი მნიშვნელობა მომავალი ადამიანის და მოქალაქის ბედის გადაწყვეტაში. აღზრდა ჰქმნის ადამიანს. მას შეუძლია ესა თუ ის ბავშვი ფხიზელი და განვითარებული გრძნობა-გონების, კეთილი ხასიათის, კეთილშობილურ ჩვეულებათა, ძლიერი და მტკიცე ნების ადამიანი გამოიყვანოს.

ბავშვს ყველაფერი სამაგალითოდ და სანიმუშოდ მიაჩნია. მის სულსა და გულში ყოველი ახალი შთაბეჭდილება ნაყოფიერ ნიადაგს პოულობს და შიგ წარუშლელს კვალს სტოვებს. ის მეტად გრძნობიერია, ყველაფრის შემთვისებელი და მიმბაძველია.

თუ გვსურს რიგიანი ბავშვი აღვზარდოთ, მაშინ მის გარშემო სახლში რიგიანობა და სიკეთე უნდა გავამეფოთ. ყოვლად შეუძლებელია მშვიდი, გრძნობიერი, წმინდა და კეთილი გულის და ჭკუის ადამიანი იქ აღიზარდოს, სადაც სიტლანქე, უხალისობა და ზნეობრივი უწმინდურება სუფევს.

ბავშვი ფხიზლად უცქერის და უკვირდება მის გარშემო დამკვიდრებულ წესრიგს, წყობილებას და კარგად ამჩნევს რას აკეთებენ და როგორ ატარებენ დღეებს მისი უფროსები და მშობლები. ყველაფერი აქ ნახული და გაგონილი ღრმად ენერგება სულსა და გულში და მასთან ერთად იფურჩქნება, იზრდება, მწიფდება და ნაყოფი გამოაქვს.

დაკვირვებულ და გრძნობიერ ბავშვს შეუნიშვნელი არ დარჩება ირგვლივ გამეფებული დაუდევრობა, ფუქსავატობა, და მცონარეობა, დიდის ყურადღებით უსმენს უაზრო ლაზღანდარობას და ლაპარაკს და საკვირველი ცნობის-მოყვარეობით ითვისებს ყოველ სულელურ აზრს და მოქმედებას.

სწორედ ამგვარად საღი პედაგოგიის მოთხოვნილების თანახმად ესმის ჩვენს უკვდავს ილიას მშობლების მაგალითის მნიშვნელობა ბავშვთა აღზრდის საქმეში, როდესაც ის ოთარაანთ ქვრივის პირით ერთი უხეირო და ზარმაცი დედა-კაცის შესახებ ამბობს: „შენი მაყურებელი შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდებიან, შე უბედურის დღისავ!“

ამნაირად ბავშვის აღზრდაში ოჯახი უმთავრეს როლს ასრულებს. ოჯახს შეუძლია აღზარდოს საუკეთესო ხასიათის და იმავე დროს ყოვლად უვარგისი ადამიანიც. უმთავრესად ოჯახზეა დამოკიდებული ბავშვის ზნეობრივი აღზრდა და ფიზიკური განვითარება. ამ საქმეში ყველაზე მეტი მნიშვნელობა დედას აქვს და ყველაზე მეტიც მას მოეთხოვება. „კარგი დედა, ჰერბერტის სიტყვით, ას მასწავლებელს სჯობია“.

რამდენი ზნეობრივი ტანჯვა-წვალება შეიძლება განიცადოს ადამიანმა მთელ თავის სიცოცხლეში უგნური დედის და უკეცი აღმზრდელის წყალობით. მიანდეთ ბავშვი აღსაზრდელად ულირსსა და უვიც ქალს და შემდეგში ყოვლად შეუძლებელი იქნება ჩადენილი ბოროტების გამოსწორება. უგნურ დედას შეუძლია სამუდამოდ გააფუჭოს და დაამახინჯოს ყოვლად ნიჭიერი ბავშვიც.

მ. კაკაბაძე.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა

თქმული ბანაშვილზე იაკობ გოგებაშვილის დასაფლავების დღეს, 10 ივნისს 1912 წელს, ხონის საკრებულო ტაძარში.

ამ წამს ჩვენი აქ ყოფნა, ამ ტაძარში, გამოიწვია იმავე მიზეზმა, რომელსაც დღეს ჩვენს დედა-ქალაქში, ტფილისში, შეუკრებია დიდძალი ქართველობა ჩვენის სამშობლოს ყოველი კუთხიდგან. დღეს იქ შეერთებულან და განმსჭვალულან ერთისა და იმავე გრძნობით, მაგრამ ეს ის გრძნობა კი არ არის, რომელსაც განიცდის ხოლმე ქართველი, როდესაც იგი ესწრება დიდებულ იუბილეს მოღვაწისას და როდესაც ყველანი, გაბრწყინვებულნი სიხარულით, თავის აღფრთოვანებულის გრძნობის გამო ჰხატვენ მისა-ლოცავი სიტყვებით, „ვაშას“ ძახილით და „მრავალ-ჟამიერით“. არა, ეს სულ სხვა გრძნობა არის: ეს არის მგლოვიარობის გრძნობა, გრნობა ძვირფასის კაცის დაკარგვისა, რომელიც გულმწუხარებით ავსებს და გულის სიღრმიდგან ისვრის იქ ამონაგლეჯს მწარე კვნესასა. დიაღ, გლოვის ზარმა შეჰყარა იქ დიდებული კრება, ის ურიცხვი დამსწრე დღევანდელის დღისა. შეკრებილან მისთვის, რომ გაუზიარონ ერთმანეთს თავისი მწუხარება და პატივი სცენ ხსოვნას ადამიანისას, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანას. დღეს იაკობ გოგებაშვილს აცილებენ საფლავისაკენ, სამუდამოდ ესალმებიან მისს გვამს. რით დაიმსახურა მან ამისთანა თანაგრძნობა, რომ შეჰყარა საქართველოს გულში ურიცხვი საზოგადოება, დიდი და პატარა? ბევრმა თქვენგანმა იცის, ვინ იყო იაკობ გოგებაშვილი, და ახალს ვერას ვეტყვი მათ, მაგრამ ყოველს შემთხვევაში ვალდებულნი ვართ მოვიხსენოთ მისი მოღვაწეობა ნიშნად მისდამი პატივისცემისა, რადგან დღეს უნდა გამოვესალმოთ მას საუკუნოდ.

იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი დაიბადა ქართლში, სოფელ ვარიანში, 1840 წ. ღვინობისთვის 15-ს რიცხვსა. იგი ცხრა წლის ყოფილა, ტფილისის სასულიერო სასწავლებელში რომ მიუბარებიათ, სადაც თურმე ძალიან კარგად სწავლობდა. ამ სასწავლებლის დასრულების შემდგომ გადასულა ტფილისის სასულიერო სემინარიაში და, იქაც რომ დაუმთავრებია სწავლა 1861 წელს, მერმე სახელმწიფო ხარჯით გაუგზავნიათ კიევის სასულიერო აკადემიაში უმაღლესი სწავლის მისაღებად. აკადემიაში დაუყვია მას მხოლოდ ორი წელიწადი, რადგან ავად გამხდარა და იძულებული ყოფილა დაბრუნებულიყო სამშობლოში. სამშობლოში იგი ინიშნება ჯერ გეოგრაფიის მასწავლებლად ტფილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მიიქცევს ყურადღებას, როგორც ნიჭიერი მასწავლებელი, და შემდგომ გადაჰყავთ იქვე სასულიერო სემინარიაში სიტყვიერების მასწავლებლად. ბოლოს სემინარიიდგან ისევ ტფილისის სასულიერო სასწავლებელში გადმოჰყავთ და ამტკიცებენ ამ სასწავლებლის უფროსად და ხელმძღვანელად. აქ მან თავი გამოიჩინა ერთგულის სამსახუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით; კარგად დააყენა რუსული ენის სწავლება და მშვენივრად ამზადებდა რუსულს ენაში ყმაწვილებს, რომელთაც შემოსვლის დროს არაფერი იცოდნენ ამ საგანში. 1872 წელს, სინოდის მიერ გამოგზავნილმა რევიზორმა გაშინჯა ტფილისის სასულიერო სასწავლებელი, მოიწონა იგი და ქება დაუწერა მის ხელმძღვანელს იაკობ გოგებაშვილს, მაგრამ ამ ქებამ ვერ იხსნა იგი განსაცდელისაგან, რომელიც მოელოდა მას: გავიდა ორი წელიწადი და, სამსახურიდგან დაითხოვეს: აბრალებდენ ცუდი გავლენა გაქვთ მოწაფეებზე, თავისუფალ აზროვნებას ეჩვევიანო.

ბევრით მოგვაგონებს განსვენებული იაკობი რუსეთის დიდებულს პედაგოგს, კონსტანტინე უშინსკის, და სხვათა შორის იმ გარემოებითაც, რომ იძულებული შეიქნა უდროოდ დაენებებია თავი პრაქტიკულის მუშაობისათვის, სასწავლებლის ხელმძღვანელობისათვის. უშინსკიც იძულებული იყო თავი დაენებებია სამსახურისათვის იმისთვის, რომ ცდილობდა განეხორციელებია საღი პედაგოგიის პრინციპები. ძველი სკოლის თაყვანისმცემელმა პედაგოგებმა სხვა რომ ვეღარა მოუხერხეს, დაბეზღება იწყეს მისი, სადაც ჯერ არს, რომ კეთილსაიმედო არ არის, დიდი ლიბერალიაო. მიუხედავად მისა, რომ ძალიან გავლენიანი პირები თანაუგრძნობდენ უშინსკის მოღვაწეობას და მფარველობდენ მას, იგი იძულებული შეიქნა დაეტოვებია სმოლნი ინსტიტუტის ინსპექტორობა და გამგზავრებულიყო სამზღვარ გარედ. იაკობსაც ამგვარი საქმე მოუვიდა. მაგრამ იგი გულს არ იტეხს ამის გამო. ავადმყოფი კაცი გაორკეცებით შრომობს, თანდათან იძენს უფრო და უფრო მეტს ცოდნას პედაგოგიაში და ერთ წუთსაც ვერ წარმოუდგენია, რომ შესწყვიტოს შრომა და თავი დაანებოს მსახურებას ახალ თაობის აღზრდისათვის. ავადმყოფი კაცი უკვირდება თავის სნეულებას, ეძებს განკურნების საშუალებას, სცდილობს გააუმჯობესოს თავისი ჯანმრთელობა და თან შრომობს, შრომობს მუდამ დღე, შრომობს მუდამ ჟამს. ჭლექით იყო ავად, მაგრამ ისეთნაირად მოუარა თავს, ისე ბეჯითად და წესიერად ასრულებდა ექიმების დარიგებას, რომ სენმა ვეღარ სძლია, ხელი უშვა და ამ სახით დასცალდა მას სიცოცხლე სამოც-და-მეთორმეტე წლამდის. რასაკვირველია, ყოველი ადამიანი მსურველია სენს თავი დაახწიოს და ხანგრძლივ იცოცხლოს; რაც კი გააჩნია, თითქმის არავინ ზოგავს საშუალებას, რომ განიკურნოს ავადმყოფობისაგან, მაგრამ საზოგადოდ ამისთანა შემთხვევაში ბევრს თავის პირადი ანგარიში ამოქმედებს, წუთიერი სიამოვნება. ბევრი იმისთვის სცდილობს ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ რაც შეიძლება მეტი სიამოვნება განიცადოს ამ სოფლად, დასტკბეს სხეულითა. ასე იყო იაკობიც?—არა! ჩვენი იაკობი ყოველ დღეს დიეტაზეა, ყოველთვის არ ჩევს სასმელ-საჭმელს, რა უფრო მარგებს და რა არაო; ყოველ დღეს ერიდება, თუ ჰავაში რაიმე ცვლილება არის. სულ თავის ჯანმრთელობაზე ჰფიქრობს, მაგრამ ამავე დროს მუშაობას თავს არ ანებებს და თავის საყვარელ საქმეს არ ჰლალატობს. საოცარი ენერგიაა, მართალი უნდა მოგახსენოთ! განსაცვიფრებელი მოთმინება, ხასიათის სიმტკიცე და მეტად გონივრული საქციელი! ებრძვის საოცარს სენს, რომ სძლიოს იგი და მასთან ბრძოლაში მოგებული ყოველი ნაბიჯი, ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი ჟამი და წუთიც კი სიცოცხლისა შესწიროს ახალთაობის აღზრდას. ამგვარად ატარა მან თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში მძიმე ტვირთი საზოგადოებრივის მოღვაწეობისა იმისთანა გარეშე პირობებში, რომელნიც სრულიად ხელს არ უწყობდნენ მას და არ აქეზებდნენ განზრახულის საქმისათვის.

ის დრო, როდესაც აკადემიაში სწავლობდა იაკობი და ემზადებოდა მოღვაწეობისათვის ხალხის განათლების ასპარეზზე საქართველოში,—განახლების ხანა იყო რუსეთისათვის. გლეხები განთავისუფლებულნი იყვნენ, ცხოვრებას ახალი საძირკვლები ესკვნებოდა და სხვა საკითხთა შორის განახლებისათვის წამოყენებულ იქნა ეგრეთვე სწავლა-აღზრდის საკითხიც. სწავლა აღზრდის დროშაზე, რომელიც აღმართეს დიდებულმა მეცნიერმა და პედაგოგმა ნიკოლოზ პიროგოვმა და მისებრ დიდებულმა პედაგოგმა, კონსტანტინე უშინსკიმ, ახალი სახელმძღვანელო აზრები იყო წარწერილი, ახალი მცნებები. პიროგოვმა თავის აზრი მკაფიოდ და მოკლედ გამოჰხატა იმ სიტყვებში, რომელიც მან წინ წაუმძღვარა თავის შესანიშნავს წერილს („Вопросы жизни"), რომელიც დასტამბულ იქმნა გლეხების განთავისუფლების წინად, როდესაც რუსეთი იწყებდა განახლების გზაზე გამოსვლას. ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; მან გამოაფხიზლა ხელმძღვანელი წრეები რუსეთის საზოგადოებისა, აალაპარაკა თითქმის მთელი რუსეთის საზოგადოება. თვით მთავრობამ ყურადღება მიაქცია პირაგოვის სიტყვებს და იგი დანიშნულ იქმნა ჯერ ოდესის სასწავლებლო ოლქის მზრუნველად და შემდგომ კიევის სასწავლებლო ოლქში. აი რა სიტყვები ეწერა იმ წერილს თავში:— რისთვის ამზადებთ თქვენ თქვენს ვაჟსაო? მკითხა ერთმა ვინმემ. — რა გსურსთ მისგან გამოვიდესო? მე მიუგე: — მსურს ადამიანი იქმნეს—მეთქი. მეორე დიდებულმა პედაგოგმა, კ. უშინსკიმ, განმარტა დიადი მნიშვნელობა სამშობლო ენისა. ადამიანის აღზრდისათვის, მის ნორმალურ განვითარებისათვის ცენტრალურ საგნად, დედა-ბოძად, რომელზედაც უნდა იყოს აგებული სულიერი განვითარება და რომელზედაც უნდა დამყარდეს სავსებით სულიერი განძი, არის სამშობლო ენა. ეს ორი დიდებული პედაგოგი რუსეთისა იმ აზრისანი იყვნენ, რომ პირველად ყოვლისა აღმზრდელი იმას უნდა სცდილობდეს, რომ განავითაროს სულიერი ძალები ყრმათა, რომელიც ბუნებას მიუნიჭებია მათთვის, განავითაროს ეს ძალები თავისუფლად ძალდაუტანებლივ, თანახმად იმ წესებისა და იმ კანონებისა, რომელიც თვით ბუნებას დაუწესებია, და არა მიხედვით წუთიერის სურვილებისა, ან იმ მოსაზრებით, რომ ამას მომიწონებენ და მაქებენ, და ამას დამიწუნებენ და გამიჯავრდებიანო და სხვ. პირველად ყოვლისა საჭიროა ადამიანისათვის გონებრივ ძალთა განვითარება, გაღვიძება მის გულში და გაწვრთვნა კეთილშობილურ გრძნობათა და მისწრაფებათა, რომ იგი შეიქმნეს ადამიანად. მხოლოდ შემდგომ ამისა, რა საგნებსაც უნდა მოჰკიდოს ხელი და შეისწავლოს, რა ასპარეზზედაც უნდა გამოვიდეს, იგი იქნება ყოველთვის და ყოველგან არა მარტო ამ საგნებისა და საქმის მცოდნე, არამედ ადამიანიც, პატიოსანი მოღვაწე. დიაღ, პიროგოვმა და უშინსკიმ დაჰგმეს ძველი წესები სწავლა-აღზრდისა, გაჰკიცხეს ის აზრები და ის გრძნობანი, რომელნიც ასულდგმულებდენ ადრიანდელს სკოლას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახასიათებდენ მაშინდელი საზოგადოების შეხედულობას და რომელთაც მწარე ნაყოფი მოიტანეს ყირიმის ომის დროს: უმეცრება, ქვეყნის გაჭირვების დროს საკუთარს ჯიბეზე ზრუნვა, უსამართლობა და აღმაშფოთებელი მტაცებლობა.

ახალგაზდა იაკობზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ხსენებულმა აზრებმა, და შეუძლებელიც იყო უამისობა. რაც თითონ გამოეცადა იაკობს, რაც თავის თვალით ენახა ადრინდელს სკოლაში, ყოველივე პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა მას, რასაც გვიმოძღვრებდნენ პიროგოვი და უშინსკი. რუსეთში რომ განთიადი იყო სკოლისა, მაშინ ჩვენამდის ჯერ კიდევ ვერ მოეხწია ახალი შეხედულობის შუქსა. ჩვენში ისევ ბნელოდა. მაშინ, როდესაც რუსეთში გაისმოდა ხმა საღის პედაგოგიისა, სწავლა უნდა იყოს შეგნებული, სწავლა აღზრდა უნდა სწვრთნიდეს ადამიანის ფიზიკურს და სულიერს ძალებს თანდათანობით, უღვიძებდეს გულში მას კეთილ გრძნობას მოყვასისადმი, უნერგავდეს მომავლისათვის კეთილს მისწრაფებას და უმტკიცებდეს ხასიათს,—სწორედ იმ დროს ჩვენში გაჩაღებული იყო უდიერი მოპყრობა მოსწავლეებთან და შეუგნებელი ზეპირობა გაკვეთილებისა, რომელიც არა თუ არ აღძევდა რასმე გონებასა და გულს ადამიანისას, პირიქით მოსწავლეთათვის გაუგებარი ჩიჩინი და დაუბოლოებელი ცემატყეპა სრულიად უკარგავდა მათ ხალისს სწავლისადმი, იძულებულს ხდიდა დაეტოვებინათ სკოლა და გაქცეულიყვნენ სოფელში თავის მშობლებთან, სადაც შრომას შეუჩვეველნი, უვიცნი, ზარმაცნი მუქთახორაობის მეტს ვერაფერს ახერხებდნენ, ხშირად ცუდს საქმეებს სჩადიოდნენ და ამრავლებდნენ მავნე პირთა რაოდენობას. კაცი პატრონი არ იყო. საზოგადოებაში არავინ იყო იმისთანა, რომ კარგად ჰქონოდა გათვალისწინებული, როგორ უნდა გაუმჯობესებულიყო საქმე, როგორი აღზრდა იყო საჭირო ჩვენის ახალთაობისათვის. ყველანი, თითქმის თვალდახუჭულნი, მიდიოდნენ სასწავლებლებში, მიჰყავდათ იქ თავის შვილები და აბარებდნენ ეგრედ წოდებულს „უჩიტლებს“, და არა მოძღვრებს და აღმზრდელებს. „მოძღვარო“ და „აღმზრდელო“ არ ეთქმისთ მაშინდელ მასწავლებლებს, რადგან ქრისტიანული ხშირად არაფერი იყო მათს მოქმედებაში და, მაშასადამე, მაცხოვრის მცნების საწინააღმდეგო იქნებოდა იმ დროის „უჩიტლის“ მოძღვრად წოდება. საჭირო იყო ხელმძღვანელი, საჭირო იყო თვალის ამხელი საზოგადოებისათვის, და აჰა ეს ხელმძღვანელობა იკისრა ჩვენმა იაკობმა.

იაკობისათვის ცხადი იყო, რომ შეგნებული სწავლა, სწავლა განმავითარებელი, სწავლა წამხალისებელი, სწავლა გამამდიდრებელი ცოდნითა, აღზრდა გამღვიძებელი ვულში და გამწვრთვნელი კეთილ გრძნობათა,—ამისთანა სწავლა-აღზრდა ყოვლად შეუძლებელია იქ, სადაც პირველ-დაწყებითი სწავლება სწარმოებს მოსწავლეთათვის გაუგებარს ენაზე. წარმოუდგენელი იყო მისთვის განხორციელება დიდებულ პიროგოვისა და უშინსკის მოძღვრებათა, რომელთაც გვამცნეს დასავლეთი ევროპის იმ დროინდელი საღი პედაგოგიის მოთხოვნილება,—წარმოუდგენელი იყო, ვინაიდგან მონაწილეობა სკოლაში სამშობლო ენისა, როგორც სწავლების იარაღისა და ურთიერთობისა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის, უარყოფილი იყო. პირდაპირ ამით აიხსნება, რომ სასწავლებლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროისა შეიქნენ სიბნელით მოცულნი ყრმათათვის და ისე გაურბოდნენ სკოლას, როგორც რომელსამე საოცარს ჭირს, როგორც ჟამს. აი სწორედ უნუგეშო მდგომარეობა იყო მიზეზი, რომ სამოციან და სამოც-და-ათიან წლებში უმთავრეს საზრუნველ საგნად ჩვენის მოღვაწეობისათვის შეიქნა ქართული ენა და მისი მონაწილეობა პირველდაწყებით სწავლა-აღზრდაში. ყველაზე უფრო დიდი ქომაგი, ყველაზე უფრო ენერგიული და მხურვალე მუშაკი ამ ასპარეზზე იყო იაკობ გოგებაშვილი. იგი ერთის მხრით საზოგადოებას და მეორე მხრით მასწავლებელთ მუდამ აღვიძებდა, მუდამ ჩასჩიჩინებდა, ურკვევდა მიზანს სწავლა-აღზრდისას და უკეთეს და უმთავრეს იარაღად მიზნის მიხწევისათვის უჩვენებდა სამშობლო ენას. დიდი სამსახური გაუწია იაკობმა ქართული ენის დამყარებას სკოლებში! ბევრჯელ გამოჩენილან სხვა და სხვა პირნი, რომელთაც გაულაშქრნიათ ქართულის ენის წინააღმდეგ. არათუ სწავლების იარაღად არ უნდოდათ ეცნოთ იგი სწავლის პირველ წლებშიაც კი, არამედ სურდათ, როგორც საგანიც, სრულიად განეძევებიათ სკოლიდგან. მაგრამ იაკობი მუდმივი გუშაგი იყო სამშობლო ენისა. იგი როგორც კრუხი წიწილებს, თავს დასტრიალებდა ქართველ ბავშვებს და მათს სამშობლო ენას და როგორც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ისე რუსულშიაც მხურვალე დამცველი იყო მათი. იაკობი არავის დაზოგავდა ამის გულისათვის, არც გარეშეს და არც თავისიანს. როდესაც ვისმე შეამჩნევდა განდრეკილობას და ქართული ენის საზიანოდ მოქმედებას, იგი მაშინვე გააფთრებული იწყებდა წერას მკაცრი წერილებისას გაზეთებში და მედგრად ებრძოდა ყველას და ყოველსავე, ვინც ან რაც აბრკოლებდა ქართულს ენას და მის ხმარებას სწავლების იარაღად. დაუღალავის შრომით, სრულის გატაცებით ემსახურებოდა იაკობი ყრმათა აღზრდას თითქმის ნახევარ საუკუნის განმავლობაში და თავიდამ ააცილა მრავალ მშობელთა მრუდე გზაზე სიარული. ამგვარად იგი შეიქნა საქართველოში დამრიგებელთა დამრიგებელი, მასწავლებელთა მასწავლებელი და აღმზრდელთა აღმზრდელი, და სრულის უფლებით შეგვიძლია ვუწოდოთ მას ქართველების დისტერვეგი.

1865 წელს შეადგინა „ქართული ანბანი"; 1867 წ. გამოსცა სახელმძღვანელო ქართულის ენისა „ბუნების კარი"; 1876 წ. პირველდაწყებითი სახელმძღვანელო სამშობლო ენისა, წოდებული „დედა-ენად", რომლის შინაარსი, მდიდარი და საინტერესო, მეტად მიმზიდველია ქართველ ყრმათათვის. ამის გარდა მან შეადგინა პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსულის ენისა ქართველ ყრმათათვის, სახელწოდებით „Русское Слово", რომლითაც სწარმოებს ამ ჟამად რუსული ენის პირველ დაწყებითი სწავლება მთელს საქართველოში. თითოეული ხსენებულ წიგნთაგანი, რომელზედაც აღიზარდა მრავალი თაობა ჩვენის ახალგაზდობისა და რომელთა წყალობით ქართველმა ბავშვებმა პირში ენა შეირჩინეს და იხილეს მეცნიერების შუქი, შედგენილ იყო თავის დროის მიხედვით საუკეთესო მეთოდზე და შემდგომ თანდათან უკეთესდებოდა შესაფერად საღი პედაგოგიის მიმდინარეობისა. ამ ჟამადაც ეს წიგნები საუკეთესო სახელმძღვანელოებად ითვლებიან დაბალი კლასებისათვის, იმ წლოვანებისათვის სწორედ, როდესაც უნდა შეისისხლხორცოს ყმაწვილმა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი ენა. იშვიათია ახლა ქართველი კაცის ოჯახი, სადაც იაკობის წიგნები არ იყოს ქართული ენის განძად. ერთს ბავშვსაც ვერ იპოვით, რომ იაკობის სახელმძღვანელოებით არ შეესწავლოს წერა-კითხვა და არ ესწავლოს ამ წიგნებით ქართული ენა. „დედა-ენა“ გოგებაშვილისა და ქართველი ბავშვი განუყრელნი შეიქნენ ჩვენს გონებაში. ვინ იცის, რამდენი ათასი და ათიათასი ბავშვი წაახალისა სწავლაში იაკობმა თავის ჩინებული სახელმძღვანელოებით? ვინ დასთვლის, რამდენს შეაყვარა სწავლა და განაგრძობია იგი უმაღლეს საფეხურამდის, რამდენს ახალგაზდას აღუგზნა გულში სამშობლოს სიყვარული და დაუნერგა სურვილი სამშობლოს სამსახურისა! წინად თუ გაურბოდნენ სკოლას, როგორც ჭირს, სანამ იაკობი დაუდგებოდა მას ხელმძღვანელად, შემდგომ კი, როდესაც მან იკისრა ამ სასწავლებლის მეთაურობა და მასწავლებლები და მოსწავლეები ღვიძლი ენით გამოალაპარაკა ერთმანერთს, სურათი სკოლებისა სრულიად შეიცვალა. დაუძახა იაკობმა პაწია ქართველს დედის ტკბილი ენით: „ბიჭო, ვისი ხარ მალხაზი, დაურჩი დედაშენსაო? საქმე რომ არა გქონდეს რა, ჩამოირბენდე ჩვენსაო. გასწავლი წერა-კითხვასა, მეც მოგიჯდები გვერდსაო. ვიმღერ და შენცა გამღერებ, არაკებს გეტყვი ბევრსაო“. ამ ტკბილმა ხმამ, ერთად დედის ძუძუსთან შეყვარებულმა, ბლომად მოიზიდა ბავშვები კარმიდამოდგან. იწყეს სკოლებისაკენ შეუწყვეტელი დენა პატარა ბიჭუნიებმა, პატარა ქალებმა: სულ თამაშ-თამაშით, სულ გოგმან-გოგმანით მიისწრაფვიან დილ-დილაობით სკოლებისაკენ და ავსებენ სოფლებში სკოლის ეზოებს. მათი ჟივილ-ხივილი აფხიზლებს სოფლებს გაზაფხულის ჩიტების მსგავსად; აფხიზლებს და იმედს უნერგავს გულში მომავლისათვის.

ზემორე ხსენებულ წიგნების გარდა ბევრი სხვა წიგნიც გამოსცა იაკობმა და გაამდიდრა ყრმათათვის ქართული ბიბლიოთეკა. ვინ მოსთვლის კიდევ, რამდენი რა დასწერა ჟურნალ-გაზეთებში ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა საკითხებზე! უეჭველია ამ ნაწერებისაგან რამდენიმე ტომი შესდგება. ჯერ-ჯერობით მხოლოდ პირველი ტომია გამოცემული. თითქმის არ გაკეთებულა ისეთი საქმე ქართველთათვის, რომელშიაც იაკობს მონაწილეობა არ მიეღოს. არ ყოფილა მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, რომლის გამო მას თავისი აზრი არ გამოეთქვას და რჩევა არ მიეცეს საზოგადოებისათვის. არ დაწესებულა რამე სასარგებლო დაწესებულება, რომ იგი მისი წევრი არ ყოფილიყოს და არ ერგუნებიოს მისთვის თავისი წვლილი ფულად თუ საკუთარის შრომით. საზოგადოება რომ არსებობს, საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი, იაკობი დამფუძნებელი წევრი იყო მისი და საზოგადოების გამგეობაში მრავალს წელს მსახურებდა დიდის ერთგულობით. იგი იყო მხურვალე მონაწილე იმ საზოგადოებისაც, რომელმაც ქართული სკოლა დაარსა ტფილისში—ეგრედ წოდებული ამ ჟამად ქართული გიმნაზია, დიდ ხანს მსახურებდა წევრად ამ სკოლის კომიტეტში და სხვებთან ერთად ხელმძღვანელობას უწევდა სასწავლებელს. იაკობი თითქმის მუდმივი თანამშრომელი იყო ქართული საყმაწვილო ჟურნალებისა და უპირველესი ადგილი ეჭირა მას სხვათა შორის.

იაკობი ცოლშვილს არ მოჰკიდებია. მას არ უგემნია სიტკბოება საკუთარის შვილების ყოლისა და მათის ალერსისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რად უნდოდა მას კერძო სახლობა, კერძო შვილები, როდესაც მთელი ქართველი ხალხის შვილები საკუთარ ღვიძლ შვილებად მიიჩნია და თავის საღმრთო ვალად სთვლიდა მათს დარიგებას, მათს სწავლებას და ხელმძღვანელობას! იშვიათად ნახავდით იაკობს საზოგადოებაში გამოსულს, თუ არ საქმის გამო. იგი გამოვიდოდა ხოლმე თავის სადგომიდგან მხოლოდ გასარებგამოსარებად, რაიცა საჭირო იყო ჯანმრთელობისთვის. უამისოდ კი იყო ცალკე თავის სადგომში, თითქო ბერი თავის სენაკში, მარტოდ-მარტო ერთის მოსამსახურითურთ და განუწყვეტლივ მუშაობდა ქართველი ბავშვებისათვის. დიდხანს სცხოვრებდა მთა წმინდის მხარეზე, უკანასკნელი დღეებიც ამ მთის კალთაზე გაატარა. მაღლობს არ სცილდებოდა ცხონებული, თითქო ერიდება ყოველდღიური წვრილმანი ცხოვრების ტალღებს, ხელი არ შემიშალოს მუშაობაშიო, და იქიდგან სპეტაკის გულით და გამჭრიახი მხედველობით დასცქეროდა ჩვენი პაწია ბავშვების სვე-ბედსა.

ამგვარის თავდადებით განითქვა იაკობმა სახელი მთელს საქართველოში. თუ ამ ჟამად ყოველი ქართველის ოჯახში სათაყვანოდ არის ჩვენი დიდებული მგოსნების სახელი, ილიასი და აკაკისა, იმათთან ერთად, უეჭველია, დაუვიწყარი იქნება იაკობიც, როგორც ქართველი დიდებული პედაგოგი და თანამშრომელი მათი, რომელიც მათს პოეტურს ნაწარმოებს გზას უკვლევდა ყმაწვილებისაკენ და ჰნერგავდა მათში მხურვალე გრძნობას სამშობლოს სიყვარულისას.

დავკარგეთ ძვირფასი პედაგოგი, ერთგული მცველი სამშობლო ენისა და მედგრად მებრძოლი ყმათა ბუნებრივის აღზრდა-განვითარებისათვის!

მშვიდობით, ძვირფასო იაკობ! არ გამოგიცდია საკუთარი შვილების ხვევნა და ალერსი, მაგრამ ვინც აღიზარდა და იზრდება შენის მოღვაწეობით, შენგან დარიგებულნი, შენ მიერ გზაზე დაყენებულნი, მოვლენ შენს საფლავზე და შეამკობენ მას ფერად-ფერადი სუნნელოვანის ყვავილებით. ეს არის, იაკობ, შენი შვილების ალერსი! ეს უდიდესია ყველაფერზე!.. კიდევ მშვიდობით! განისვენე, ძმაო, „სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არც ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი“.

ალექსი ჭიჭინაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგალითო ადამიანი

(ალ. ხახანაშვილის ხსენებას)

ჯარგი, კეთილი, გულ-მისავალი, ტკბილი და უბოროტო ადამიანი იშვიათია ყველგან და ყველა ერში. ასში რომ ერთი გამოერიოს ამისთანა, დიდი ბედნიერებაა ერისა და ქვეყნისათვის. ასში ერთი სამაგალითო გულისა და გრძნობის კაცი დიდი პროცენტია. ათასში—ათი, ათი ათასში—ასი, ასი ათასში—ათასი, მილიონში—ათი ათასი კაცი, სავსე გრძნობითა და გონებითა, მამულის შვილობითა და თავ-გამოდებულის გამრჯელობითა—ეგ ხომ ნამდვილი ღვთის-წყალობაა!

ეგ რომ ასე იყოს, მაშინ ჩვენს ქვეყანას, საცა ორი მილიონი ქართველობა ვართ, ოცი ათასი უნდა გვყავდეს იმისთანა, რომელსაც ბოროტება არ მიჰკარებია, უსამართლობა, უდიერობა, მოძმის დაჩაგვრა და დაწიხლვა გულს არ გაუტარებია! და მერე ეგ ხომ მთელი განძი იქნებოდა, დიდი საუნჯე, დიდი იმედი ჩვენის ტანჯულის და დაობლებულის ქვეყნისათვის. ოცი ათასი კაცი, სავსე სიკეთით, სავსე ქვეყნის საქმის სიყვარულით, აღგზნებული დიდისა და მადლიანის გულმხურვალებით სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეო მოღვაწეობისათვის,—ეგ ხომ მთელი ჯარია, უძლეველი დასია და იმ დასს, მის კულტურულ მუშაობას თვით ბჭენი ჯოჯოხეთისანიც-კი ვერა სძლევდნენ!

მაგრამ ვაი, რომ ეგ აგრე არ არის! ვაი, რომ ასზედ-კი არა, ათასზედ ერთიც არ მოდის შეგნებული, ჩუმი, უწყინარი და უპრეტენზიო მუშაკი!

ჩვენი ქვეყანაც, როგორც ბევრი სხვაც, სავსებით სავსეა უვიცისა და შეუგნებელის ხალხითა, ისეთის ჯურის ადამიანებით, რომელთაც თითქო სწავლაც მიუღიათ, ცოდნაცა აქვთ, მაგრამ ან ადამიანობისა აღარა სცხიათ-რა, ან მარტოოდენ თავის ჯიბისათვის ჰზრუნავენ, თავის საკუთარს კერპს ემსახურებიან, თავის მუცელს ჩასტირიან და მზად არიან გველივით გესლი წამოანთხიონ, მოძმე არ დაინდონ, სუსტი გაჰქელონ და ზედ ფეხით შესდგნენ.

ასეთია დიდი უმრავლესობა. ასეთია, არა თუ მხოლოდ ბნელი, უსწავლელი, უწვრთნელი უმრავლესობა, არამედ ასეთია ბევრი ნასწავლიცა, ვითომ გაზრდილიცა, კეთილ-შობილისა და მაღალის წოდებისაცა, ასეთია ბევრი მღვდელიცა და ბერიცა, სასულიეროცა და ერისაგანიცა. უყურებ—კაცია, ადამიანსა ჰგავს, სწავლაც მიუღია, ხშირად უმაღლესიც, აკადემიური ნიშანიც-კი ამშვენებს მის მკერდს, მაგრამ, აბა, კარგად დააკვირდით მის ვინაობას, მის რაობას. ყოყოჩობს, თავი მოაქვს, ცა ქუდაც არ მიაჩნია და დედა-მიწა—ქალამნადა. მარილი ჰგონია თავი ქვეყნისა. ნამდვილად-კი ან ფუქსავატია, ბურბუშელა, თავ-ქარიანი, ან უილაჯო, მხნეობასა და საქმის გაკეთების შნოს მოკლებული, ან თავზედ ხელ აღებული, ნამუს-მოკლებული,

უიდეალო, უწმინდათა-წმიდაო, გულით ურწყულ უდაბნოდ გადაქცეული, ქვეყნისა და ხალხის მგმობელი, ქეიფისა და დროს-გატარების მაღმერთებელი, მამა-პაპის შეძენილის მფლანგველი, ცრუ თავ-მოყვარეობით გაჟღენთილი, მუდამ მუშტზედ მაცქერალი, რომელსაც „ქვეყანა და ქვეყნის საქმე მუდამ ფეხებზედ ჰკიდია“. აი, ასეთია უმრავლესობა ჩვენის ნასწავლებისა და ნახევრად ნასწავლებისა, ან მცირედ ნასწავლებისა.

აკი მოგახსენებთ, ასში-კი არა, ათასში ერთი თუ გამოერევა მადლიანი, რომელსაც იქვე ყმაწვილობითვე დაჰყვება ნიშან-წყალი ადამიანისა. იღვწვის ასეთი ადამიანი იქვე ყმაწვილობიდანვე, ამდიდრებს თავის გონებას ცოდნითა, გამოცდილებითა, ზრდის გულში მამულის სიყვარულსა, იმტკიცებს ზნეობასა, ასალკლდევებს თავის ნების-ყოფასა და ისე ეჩვევა საქვეყნო მუშაობას, ისე გამრჯელობს გამუდმებით, დაუცხრომელად, რომ თითქმის ავიწყდება თავისი თავიცა, თავისი მოკეთე-ნათესავიცა, დროს გატარებაცა და თითქმის სმა-ჭამაც-კი.

სწორედ ასეთი მადლიანი, ასეთი თავ-დავიწყებამდე მისული საქვეყნო მუშაკი იყო ჩვენი აწ-განსვენებული ალექსანდრე ხახანაშვილი. იქვე ყმაწვილობიდანვე ღრმად ჩაესახა გულში ის აზრი, რომ მხოლოდ ბეჯითის მუშაობით, მხნეობით შეიძლება განვითარდეს კაცი და ავიდეს იმ სიმაღლეზედ, რომელზედაც შესაძლოა ნაყოფიერი და ქვეყნისათვის სასარგებლო მუშაკობაო. ჯერ ისევ გიმნაზიის მესამე კლასში არიგებდა თურმე ერთს თავის ამხანაგს: თუ არ ვიბეჯითეთ, კარგად არ ვისწავლეთ, დაგვჩაგრავენ, არ დაგვინდობენ, რაკი ქართველები ვართო.

აკი იბეჯითა, აკი კარგად იქცეოდა, აკი კარგად სწავლობდა და ოქროს მენდლითაც გაათავა გიმნაზია. მაგრამ ეგ არაფერი.

პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი.

რამდენი ათავებს ოქროს მენდლით გიმნაზიას, რომ მერე მთავარ-ხულიგანია, უაღრესად გარეცხილი და ნამუსსა და სვინიდისზე ხელ-აღებული?!

მაგრამ ალექსანდრე ნამუსის კაცი იყო და გულში არ გაიტარა ღალატი იმ წმინდა ანდერძისა, რომელიც დაგვიტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეს ჩვენმა დიდმა მოამაგეებმა, ჩვენმა დიდმა მოჭირნახულეებმა.

ალექსანდრე ხახანაშვილს წილად ხვდა ქვეყნის სამსახური კალმითა, მწერლობითა, ლიტერატურისა და ისტორიის კვლევა-ძიებითა. უნივერსიტეტის კურსის დამთავრების შემდეგ, მოსკოვშივე დარჩა და, პროფ. ილია ოქრომჭედლიშვილის რეკომენდაციით, განწესებულ იქმნა ლაზარევის ინსტიტუტში მის მოადგილედ, იმიტომ რომ ყოვად ჭკვიანმა და გამოცდილმა ილია ლაზარის ძემ შეატყო ყმაწვილს, რა მადლიანის მიმართულებისა და შრომის-მოყვარეც იყო ახალგაზდა უნივერისტანტი. კეთილის მყოფელნი და მეგობარნი ხშირად იხსენიებდნენ ხოლმე განსვენებულს ალექსანდრეს, როგორც მის წინა-მოადგილესაც, პროფესორად, როცა-კი სიტყვა და შემთხვევა მოიტანდა. მის მტერ-მოყვარეთ არ ეჭაშნიკებოდათ ესა: რის პროფესორია, რა უგავს პროფესორსა, უბრალო მასწავლებელია ლაზრევის აღმოსავლეთის ენათა ინსტიტუტისაო. ასე იციან ზოგიერთებმა: სხვას ამცირებენ, რომ თვით ამაღლდნენ. ასევე ექცეოდა ერთი ვითომ მეცნიერთაგანი პროფესორ ალ. ცაგარელს, ქართულ სიტყვიერების დოქტორის ხარისხი გინდა მიიღო და რა ნაღვაწი მოგიტანია, რაღაც ორი სიფრიფინა წიგნი ზღაპრებისა—Мингрельскіе этюды-ო.

მაგრამ რამდენად მართალი იყო ის ჩვენი მტერ-მოყვარე და ალ. ცაგარლის მქირდველი, მალე დამტკიცდა; მალე დამტკიცდა, რა დიდის მომზადებისა და ერუდიციის, რა ღრმა კვლევა-ძიების მეცნიერიც არის ჩვენი სასიქადულო, დამსახურებული და მხცოვანი პროფესორი.

ასევე მალე დამტკიცდა, რა შუქი და ნათელი ეფინებოდა ჩვენის ქვეყნის ცოდნისა და შესწავლისა ევროპასა და რუსეთს ახალგაზდა მეცნიერის, შესახედავად არა ბრგეესი და ახოვანის ალექსანდრესი, გარნა არსებითად ფრიად მომზადებულისა და მეცნიერულად დამარაგებულის ალ. ხახანაშვილის ბეჯითის ღვაწლ-მოსილობით.

გადიოდა დრო და ნაღვაწი ნაღვაწს მოსდევდა, გამოკვლევა-გამოკვლევასა, თხზულება-თხზულებასა და ამათან განსვენებული კი არ კაბინეტ-კაცობდა, უკიდურესად-კი არ სპეციალისტობდა, ოლიმპიობას-კი არ სცდილობდა, არამედ მეტის-მეტად თავ-მდაბლობდა, უჩინრობდა და ცხოვლად გრძნობდა და მწვავედ განიცდიდა სამშობლო ქვეყნის მაჯისცემას, მის უმთავრეს ძარღვის ფეთქას. თითქმის ყოველი, თვით უმნიშვნელო ჟურნალი და გაზეთიც-კი მისდიოდა ქართული და ყველა ასეთს ხან-დაზმულ გამოცემას, ჟურნალსა და გაზეთს ბეჯითად ადევნებდა თვალ-ყურს, არ უკადრისობდა ოლიმპიურის მედიდურობით ასეთის ჟურნალ-გაზეთისათვის მოეწოდებინა მცირე რამ წერილი, ცნობა, შენიშვნა, რაიმე საინტერესო ჩვენებურის მკითხველისათვის.

ამასაც არა სჯერდებოდა; სამშობლოში ჰყავდა რამდენიმე სანდო მეგობარი ჟურნალისტებისა და გაზეთების მოღვაწეთა შორის, რომლებთანაც ხშირი და სისტემატიური მიწერ-მოწერა ჰქონდა. და ასეთის მისის წერილების ლეიტმოტივი იყო, მაცოდინეთ, მომწერეთ რამე დაწვრილებით, რაც ჩვენს სამშობლო ქვეყანაში ამბავია და რაც ჟურნალ-გაზეთებში არ იბეჭდებაო. ასე გაგიჟებით უყვარდა ალექსანდრეს თავისი მშობელი ქვეყანა, ასე გულ-მტკივნეულობდა, ასე ნაღვ-

ლობდა მისთვის, ასე სწყუროდა ყოველის მისის წვლილის ცოდნა და გაგება.

ასეა და ასეც უნდა იყოს. განა ყველას შეუძლიან გაიმაგროს თავი, გაიქვავოს გული, გადაიქცეს აკადემიურ კვლევა-ძიების ქურუმად და აღარა ახსოვდესრა, თვინიერ თვისის სპეციალობისა, გარეშე თვისის მეცნიერულის კვლევა-ძიებისა.

ალექსანდრე არ იყო ასეთის მაგარის გულის კაცი. გრძნობა სჭარბობდა, გულჩვილი იყო, ახსოვდა და უყვარდა თავისი მეგობარ-ნაცნობნი, თავისი ნათესავ-მახლობელნი, თავისი მოკავშირე-კოლეგები სამწერლო და სამეცნიერო ასპარეზზედ. გამოჩენა თუნდ პატარა ნიჭის მწერლისა და მგოსნისაც-კი ჩვენის ლიტერატურის ცაზედა ახარებდა ალექსანდრეს, ააციცინათელავებდა ხოლმე მის კეთილ თვალებს და მის შავ-გვრემანს სახეს ნათელი გადასდიოდა ამ დროს.



პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი კუბოში.

ამით აიხსნება მისი აუარებელი პატარ-პატარა ნაწერები ჩვენებურს ჟურნალ-გაზეთებში. ეშინოდა, ცხოველი კავშირი არ გაწყდეს ჩემსა და ჩემგან შორს მყოფს სამშობლოს შორისაო. ამითივე აიხსნება ის, დიდის ბეჭითობით და საარაკო მოთმინებით, შემოკრებილი აუარებელი მასალა, რომელიც დაგვიტოვა თვისის უმთავრესის ნაღვაწით; ეს ნაღვაწი ოთხ დიდ წიგნად დაიბეჭდა და ეწოდება Очерки по исторіи грузинской словесности. იმ დიდს თხზულებაში დიდი მასალაა, დიდად სასარგებლო და გამოსადეგი; თვით უმნიშვნელო წვრილმანიც-კი არ არის იქ ათვალ-წუნებული, უგულებელ-ყოფილი; ყოველივე ანუსხულია, მოთხრობილი, გათვალისწინებული, და, ასე თუ ისე, აწონილი და შეფასებული.

თითქოს გულს აკლდა განსვენებულს, რომ ეს უმთავრესი ჩემი თხზულება რად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავბეჭდე რუსულადო და ამიტომ ქართულადაც შეამზადა, თუმცა არა ისე ვრცლად, გარნა საკმაო სისრულითა, ორ მოზრდილ ტომად. ერთი უკვე კარგა ხანია დაიბეჭდა და ეწოდება „ისტორია ძველის ქართულის მწერლობისა“, ხოლო მეორე შარშან გამოუგზავნა წ. კ. საზოგადოებას, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, თავის ჩვეულებრივის კუნკტატორობის გამო, დღესაც დაუბეჭდავი უდევს. ეს ხელ-ნაწერი, გაგვიგონია, შეიცავს რუსულ მეოთხე ტომის შინაარსს, ესე იგი ახალის ჩვენის მწერლობის ისტორიას. ამ ქართულს ნაშრომს ქართველთათვის ფრიად დიდი და უაღრესი მნიშვნელობა აქვს და ამ გარემოებას შემდეგ როდისმე ცალკე განვმარტავთ დაწვრილებით.

სხვა მის აუარებელ ნაწერ—ნაშრომს, თუ რუსულად თუ ქართულად, ფრანგულად და გერმანულად აქ არ შევეხებით დაწვრილებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ ყოველი ასეთი ნაღვაწი ღრმა კვლევისა და ძიების შედეგი არ არის და უფრო სუბუქის ნაშრომის ხასიათი აქვს, უმეტესი მათ შორის შეეხება ყოვლად სპეციალურს საგნებს, მეცნიერულის სიღრმით არის გამოკვლეული და ზედმიწევნილის ჭეშმარიტებით გაშუქებული.

განსვენებულს არც ჰქონდა ეგ პრეტენზია, რომ ჩემს კვლევასა და ისტორიულ სამეცნიერო ანალიზს სასურველი სიღრმე და სისრულე აქვსო. ჩვენი ისტორიოგრაფია ისეთს მდგომარეობაშია ჯერ-ჯერობით, რომ ეგ შეუძლებელიც არის. ჯერ სულ მასალის შემოკრებისა და შემოგროვების ხანაში არიან ჩვენი სპეციალისტები და გულწრფელად აღვიარებენ, რომ ჯერ-ჯერობით სრულისა და ნამდვილის ისტორიის შექმნა ყოვლად შეუძლებელია, ყველა მასალის გამოუმზეველობის მიზეზითაო. ჩვენც, სპეციალისტებმა, ბევრი რამ არ ვიცითო, სთქვა მარმა ამას წინად. ჩვენც „მხოლოდ მცირედ რაიმე ვიცით, მცირედ რასმე ვწინასწარმეტყველებთო“. ხოლო გონებრივი ავლა-დიდება, ქართველთაგან დანატოვარი, ეგოდენ დიდია და აუარებელი, რომ მისი ამოწურვა, მისი მზეზედ ამოტანა არც აგრე ადვილი არისო.

განსვენებულმა კარგად იცოდა, რომ იმის ჯანში დაისადგურა უკურნებელმა სენმა და ეგ სენი დიდხანს აღარ გაახარებდა და იმიტომ იმისი დარდი ის იყო, ქართულის ისტორიისა და სიტყვიერების კათედრა მოსკოვის უნივერსიტეტში, მას სიკვდილის შემდეგ, არ გაუქმებულიყო. დიდი შრომა, დიდი მეცადინეობა დასჭირდა ალექსანდრეს მაგ კათედრის დაარსებისათვის; თორმეტს წელიწადს ეჭირა ეგ კათედრა, როგორც პრივატ-დოცენტსა და უსასყიდლოდ კითხულობდა ლექციებს. ახლა ის აღონებდა, ვაი თუ ჩემს შემდეგ ხაზინამ ფული არ გამოიღოს ამ კათედრის ხარჯად, კათედრა გაუქმოს და ამოდენმა ჩემმა ამაგმა, ჩემმა ჯაფამ ამაოდ ჩაიაროსო.

ყოველ ამის შემდეგ, ნუ თუ ცხადი არ არის, რა იშვიათი, რა სამაგალითო ადამიანი დავკარგეთ ასე უდროოდ ალ. ხახანაშვილის დაკარგვით?!

სამაგალითო მით, რომ უყვარდა ღრმა სიყვარულით თავისი შშობელი ქვეყანა, ილვწოდა და ზრუნავდა მის ყოველ-მხრივ შესასწავლად; უყვარდა მისის წარსულის კვლევა-ძიება და გული ეწოდა მის დღევანდელის დაბეჩავეაით, რაც ისეთის ვაჟკაცურის გაბედულობით და ცეცხლებრ მგზნებარე მეტყველებით აღნიშნა ერთს თავის წერილში საქართველოს რუსეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან შეერთების ასის წლის თავზედ. სამაგალითო კიდევ მით, რომ შეისისხლხორცა, მეორე ბუნებად გადიქცია მხნეობა და გამრჯელობა, არ მისცა მოსვენება თავსა და ისიც-კი, რაც სამსახურით თავის საზრდოთ აიღო, ისიც-კი დაზოგა, თავისთვის არ გაიმეტა, ზარდა დიდის მომჭინეობით, აქცია დიდ თანხად და თავის საყვარელს სამშობლო ქვეყანას უანდერძა, ისწავლე წერა-კითხვა, წიგნია შენი წამალიო. უმამულომ, არაფრის მქონებელმა, ქვეყნის სასარგებლო საქმეც აკეთა და თან კიდევ იმდენი იმხნევა, რომ მასწავლებლობითა და რუსულ ეურნალ-გაზეთებში თანამშრომლობით შეჰქმნა არა მცირედი თანხა—45000 მან. და ძღვნად მიართვა თავის ქვეყანას თავისი აშენებული სახლი გორში, ღირებული 15000 მან., დაუტოვა მშობელ ქალაქს, იმავ წერა-კითხვის მუქთად გასავრცელებლად, ხოლო ძვირფასი საკუთარი ბიბლიოთეკა მიუძღვნა იმ დაწესებულებას, რომელმაც შეძლება მისცა ასე ნაყოფიერად გაეტარებინა თავისი ხან-მოკლე და ტანჯული სიცოცხლე.

საუკუნოდ იყოს—და იქნება კიდეც—ხსენება და სახსენებელი მისი!

გრ. ყიფშიძე.

რა ვიცოდი!..

(პროფესორ ალ. ხახანაშვილის ხსენებას)

ბაღში ვიყავ, ახლად ფურჩქვნილ
ვარდ-ყვავილებს ვაგროვებდი,
ნაზ კოკრებზე შვების ცრემლებს
გულის მღერით ვათრთოლებდი.

მსურდა: ქვეყნის მოსარჩლისთვის
მოწიწებით ძღვნად მიმერთო
და იდუმალ სულის ჰანგი
ფერადებად შიგ ჩამერთო.

ვაგლახ! თურმე მას კი ამ დროს
ბრძოლა ჰქონდა სიკვდილთანა.
ვახ! ელფერი სასიცოცხლო
ჰშორდებოდა თანდათანა.

მცხრალნი თვალნი ერთხელ კიდე
შემოავლო სამშობლო მთებს
და... აღსრულდა!.. განისვენა...
წარემართა სიკვდილის ფრთებს...

ბაღში ვიყავ... ცისკრის სხივით
ტუჩ გაპობილ ყვავილს ვკრეფდი...
ვაი ჩემს თავს! რა ვიცოდი,
თუ კუბოსთვის ვამზადებდი.

დ. თურდოსპირელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

(საყვარელ პროფ. ალ. ხახანაშვილის ხსენებას)

შევხვდი ქალწულსა ფერ-მკრთალსა,
მოწყენით გამომზირალსა,
ყელსაბმად ცრემლი ეკიდა,
გულ-ამოსკვნითა მტირალსა!

—

ტანს შავი ძაძა ემოსა,
თმა მკერდზე გადმოფენოდა,
ბჭყალებით ნაკაწრ სახიდან
სისხლი წვეთ-წვეთად სდენოდა!

—

ხელში ეჭირა სოსანი,
ვარდი ზამბახი და ია...
მიველ და ვკითხე: — თაიგულს
ვილას მიუძღვნი დაია!?

—

მითხრა: — სამშობლოს ერთგულსა
და მისთვის თავ-დადებულსო,
პროფესორ ხახანაშვილსა
სწავლით და ცოდნით ქებულსო!

—

მამულიშვილის დაკარგვას
მთანიც მოსთქვამენ, ქვანიცო;
არა თუ მარტო ქართველნი,
აცრემლებულან სხვანიცო!

—

მიმოვიხედე, შევნიშნე,
რომ სხვებსაც ცრემლი სდიოდათ; —
თურმე ჩვენსავით იმათაც
ერთი მზე ჩაუდიოდათ!

ლადო გეგეჭკორი.

აჩრდილი

ერის აჩრდილი, ვით ღრუბელი საღამ-საღამოთ
ბინდში ამოდის, მწუხრს ამოსდევს, ბინდში მოსცურავს,
ხანა ღილინებს სევდიანათ, მაგრამ საამოთ,
ხან კი სიმწარით თვალებიდამ ცრემლებსა სწურავს.
დაიარება ქუჩა-ქუჩა, ქალაქის ბაღში,
აქ, იქ, სუყველგან მას შეჰხვდებით მოხეტიალეს,
მარტოთ-მარტოა, ვით ნაღველი გულის წიაღში;
ვერ დაინახავთ მის თვალებში სიცილს და ალერსს.
მხოლოდ, თუ სადმე შეჰხვდა ნაზი, მჭკნარი ყვავილი,
გადაგდებული, გათელილი, ფურცელ ნასრესი,
მაშინ მოისმის მისი მწარე ამოძახილი,
მაშინ მოისმის მისი მწარე ამონაკვნესი!
რა სიყვარულით, რა სიამით ავლებს ყვავილს ხელს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იცის, იქნებ იმ დროს ჰხედავს ვისიმე თვალებს,
რა სიყვარულით, რა ალერსით დასცქერის ყვავილს,
ვინ იცის იქნებ იგონებს მას ტურფად გადაშლილს!

—

ეხ, გიცნობ, ძმაო, გიცნობ ძმაო, მწუხრის აჩრდილო,
მახსოვს ჰყვაოდი, შეჰხაროდი ერთ დროს გაზაფხულს,
ეხლა რაღა ხარ? ულმობელად ჩამჭკნარ-გაძრცვნილო,
მოგკლა ცხოვრებამ, მოსწყდი მის მკერდს, მოსწყდი სიყვარულს!
ცრემლის და სისხლის ქარიშხალმა ამოვარდნილმა
შენც თან წაგიღო, გადაგტყორცნა, მიგთელ-მოგთელა,
იყავ ყვავილი, წმინდა აზრის წმინდა ლამპარი,
და აჰა, ჩაჰჭკნი, მტარვლის ხელმა შენც ჩაგანელა!

ირ. ევდოშვილი.

რუსეთი

სასალსო სკოლის მასწავლებელთა საპენსიო კასსა

(შემდეგი)

ვიცით, რომ წესდების ძალით 25 წლის სამსახურის შემდეგ შეიძლება პენსიის მიღება და სამსახურში დარჩენაც. ეს უფლება არა აქვთ იმათ, ვისაც უფასოდ ჩაეთვალათ წარსული წლების ნამსახური, რისთვისაც კასის მონაწილეს ერთი კაპიკიც არ გადუხდია. ეს პირნი არა თუ 25, 50 წელიც რომ იმსახურონ, პენსიას მაინც ვერ მიიღებენ თუ სამსახურში დარჩნენ. თუ სამსახურს თავს დაანებებენ, მაშინ მიიღებენ პენსიას და წარსული წლების ნამსახურიც ჩაეთვლებათ. სამსახურის დროს იმათ პენსია არ ეძლევათ იმიტომ, რომ იმათ პირად ანგარიშზე საკუთარი გადასახადი არ ირიცხება და ეს შეზღუდვა იმის გამო მოხდა, რომ კასიდან აუარებელი ფული გავიდოდა და კასაც დაცარიელდებოდა. ამიტომ გადასწყვიტეს პენსიის მიცემა იმ შემთხვევაში, თუ სამსახურს თავს დაანებებდნენ, სხვა მხრივ ეს იქნებოდა არა პენსია მოხუც მასწავლებლებისა, რომლებიც სამსახურს განაგრძობენ, არამედ ჩვეულებრივი მიმატება ცოტა რომ ვსთქვათ 160—180 მანეთამდის.

ამ სახით პენსია, დანიშნული 1 ივნისის კანონის ძალით ხაზინიდან, მიეცემა მასწავლებლებს სამსახურის წელთა მიუხედავათ, სამსახურიდან გასვლის შემდეგ 15 წელი უმსახურნია, თუ 50. ასეა ნებაყოფლობით მონაწილეებისთვინაც: 1910 წელს კასაში ნებაყოფლობით მონაწილეთ ჩაწერილნი მიიღებენ პენსიას 1910 წლის 1 ივნისის კანონით თანასწორ უფლებებით კასის ვალდებულ მონაწილეებთან ერთად. ე. ი. 15 წლის

სამსახურის შემდეგ სამსახურისათვის თავის დანებებისა, მიუხედავად იმისა თუ როდის ჩაეწერა კასაში: თუნდაც ერთი თვე ითვლებოდნენ კასაში და შემდეგ თავი დაანებეს სამსახურს.

არ არის არავითარი შეზღუდვა ობოლთათვის სამსახურის წლებში. თუ კასის მონაწილე სამსახურში გარდაიცვალა და ობლები დარჩა, ამ უკანასკნელთ უფლება აქვსთ პენსიის მიღებისა, თუნდაც ერთი წლის სამსახური მიუძღოდეს. მართალია ასეთი პენსია მცირე იქნება, მაგრამ მაინც მიეცემა და მისი რაოდენობა მამის ან დედის სამსახურის წლებთან და იმ ჯამაგირთან იქნება შეფარდებული, რასაც კასის მონაწილე ღებულობდა სიკვდილის ჟამს.

ობოლთათვის პენსიას ასე ანგარიშობენ: ვსთქვათ ოჯახში დარჩა ობლად ერთი ბავშვი. მამა სიკვდილის ჟამს ღებულობდა 400 მანეთს. აქედან აიღებენ პროცენტის სამ მეოთხედს (400 : 100 : 4×3) რაც უდრის 3 მანეთს. ამ სამ მანეთს გაამრავლებენ გარდაცვალების სამსახურის წლის რიცხვზე. თუ კასის მონაწილე ერთს წელს მსახურობდა, მისი ობოლი მიიღებს წელიწადში 3 მანეთს. მაგრამ თუ დედას ან მამას უმსახურია 25 წელი, მაშინ შვილი მიიღებს 3 მ.×25=75 მანეთს. ამას ჰქვიან „ერთი ბავშვის ოკლადი“.

თუ გარდაცვალებულს ორი ბავშვი დარჩა ობლად, მაშინ იმათ ერგებათ „ერთი და ერთი ბავშვის ოკლადის სამი მეოთხედი“, ეს იმას ნიშნავს, რომ 400 მანეთიდან ერთი წლის სამსახურისა იქნება 7 მ. 50 კ. ოთხსა და მეტს ბავშვს ერგებათ „ერთი ბავშვის სამი ოკლადი“, ე. ი. 400 მანეთიდან იქნება 9 მანეთი დედის, ან მამის ერთი წლის სამსახურისა (წესდებ. 39 მუხ.).

ეს პენსია ენიშნება თითოეულს ბავშვს, როცა დედა ან მამა სამსახურს თავს ანებებს ავადმყოფობის გამო გაძლიერებულის პენსიით. მაგრამ ობლებს თუ დედმამა დაეხოცა და უმწეოდ დარჩნენ, მაშინ ეს პენსია 50% გაბევრდება.

(შემდეგი იქნება)

შინაური მიმოხილვა

მაჰმადიან ქართველების უნუგეშო მდგომარეობა სწავლა-აღზრდის მხრით. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გაძევება ერთი სახალხო სკოლიდან. ქალაქის სასკოლო კომისიის ერთი საგმირო საქმე.

ასზოგადოთ ჩვენი მოძმე მაჰმადიანი ქართველები, სადაც უნდა იყვნენ ისინი, სპარსეთში, ოსმალეთში, ან საქართველოში რომ მეტის მეტად უნუგეშო ყოფაში არიან განათლების მხრით, ეს არავისთვის საეჭვო არ არის. ათას გვარად წამებულმა ჩვენმა ძმებმა ვინ იცის რამდენი აუტანელი გაჭირვება გამოიარეს თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში, ვინ იცის რამდენი ტანჯვა-წამება იგემეს მტარვალთა ხელში, მაგრამ მაინც გადარჩნენ და დღესაც სცოცხლობენ, მაგრამ ამ ტანჯულს სიცოცხლეს, მხოლოდ „პირში სული უდგასო“ რომ იტყვიან, ის არის. დღესაც თითქმის აუტანელს ყოფაში არიან და არავინ არის შეშბრალე, ხელის გამწვდომი და მშველელი მათთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსეთისა და ოსმალეთის მაჰმადიან ქართველებზე უკეთეს ეოფაში არც საქართველოში მეოფი მაჰმადიანი ქართველები არიან; მთელს ბათუმის ოლქში, აჭარა-ქობულეთში, სადაც კი მაჰმადიანი ქართველებია და სკოლა აქვთ, იშვიათად იპოვით ქართველ მასწავლებელს, ხირიქით განძრახ სტდილობენ ქართველ მასწავლებლების გაძევებას და მათს ნაცვლად უცხო ერის, ბავშვების დედა-ენის უმეცარს ხირების ამწესებენ. თუ რა ნაეოფი მოჰყვება ამ გვარს დუხჭირს ხერხს კარგად უნდა ესმოდეს ბათუმის ოლქის მესამე რაიონის სახალხო სკოლების ტნობილს ინსპექტორს ბ-ნს გასპარიანცს, რომელმაც, ამ ბოლო დროს, რაკი სახალხო სკოლების ინსპექტორი გახდა, ხედაგოგია ხოლიტიკანობაზე შესცვალა და და მაჰმადიან ქართველთა განათლების საქმეც სახალხო სკოლებში უკუღმართ გზაზე დააყენა. ამ გვარ წყლის ნაყვაში იხარჯება აუარებელი ფული, რომელიც, უფრო სახეირო გამოყენებით, სკოლების ხედაგოგურ ნიადაგზე დამყარებით, მეტს ნაეოფს მოუტანდა ხალხსაც და სახელმწიფოსაც.

ქართველ მაჰმადიანებს რომ ხშირად გზას უხლართავენ და სხვა სასწავლებლებშიაც იშვიათად იდებენ, ამას გვიმტკიცებს ახალციხიდან მოწერილი ბარათი, რომლის მოკლე შინაარსს აქვე გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს:

„გავიარეთ ახალციხის ერთს ქუჩაზედ. ჩავედით ქართველ მაჰმადიანების ეავახანაში. რამდენიმე ხნის შემდეგ შემოვიდა ორი ქართველი მაჰმადიანი ბავშვებით. დასხდნენ და ერთმანეთს დადობებული ზეჰეურებდნენ. ერთი მათგანი მოდა იყო, მეორე სოფელი გლეხი. რამდენისამე ხნის შემდეგ გლეხმა წარმოსთქვა ქართულად: „ნუ თუ არ დადგება ჩვენთვისაც სანტარო დღეები, როდემდის უნდა ვიეენეთ ასე უვიცნი. სადაც უნდა წავიდეთ, ეველანი ბრუდეთ გვიცქერიან. წინეთ რომ მცოდნოდა ადრე მივცემდი თხოვნას „უჩიტელს“, ჩემს ბიჭსაც მიიდებდენ და არ დამირჩებოდა ამ წელს უსწავლელიო. ჩვენც ჩავერიეთ დაპარაკში. ვკითხეთ—ბავშვებმა იციან წერა-კითხვა? მშობლების მაგიერ ბავშვებმა ცქვიტად წამოიძახეს: ვიცით ქართული და რუსულიცო. ჩემს ამხანაგს ქართული წიგნები ჭქონდა თან. მისცა წასაკითხავად „დედა-ენა“. ამ წიგნის დანახვაზე ბავშვებმა ისეთის სიხარულით შესძახეს „ბაბა, „დედა-ენაო“, რომ კინაღამ შეგვეშინდა. გამოგვართვა წიგნი და დაიწყო მშვენიერად კითხვა. გამოვკითხეთ ვინაობა.—მე ბატონო, შავეი გურგენიძე ვარო, წამოიძახა ემაწვილმა, წელს აეუურში გავათავე სწავლა, ახლა მინდა სადმე სწავლა, მაგრამ არ ვიცი სად წავიდეო. ჩვენ ვურჩიეთ ბავშვების მიბარება ქართულს გიმნაზიაში. ამის გაგონებაზე მომგარდა ბავშვის მამა და მკითხა: ნუთუ ქართული დიდი სასწავლებელი არისო. მე მივუგე—იმისთანა სასწავლებელია, სიდამაც სტუდენტები გამოდიან მეთქი.—ქართველ მაჰმადიანებს არ დებულობენო? მკითხა მან?—კი მეთქი. ამის თქმაზე მოხუცს ტრემლები მოერია თვალებში და ამოოხვრით სთქვა: ნუ თუ მოვესწრები ჩემი შავეის იქ მიდებასო.—

სასიამოვნო მოვლენაა, რომ ქართველ მაჰმადიანებში სწავლის წეურვილი დიდია, ხოლო დაკმაყოფილება არსაიდამ სჩანს. თუ ჩვენ საზოგადოთ უძღურებას ვიჩენთ ოსმალეთისა და სპარსეთის მაჰმადიან ქართველებისადმი, ეს კიდევ აიხსნება სხვა და სხვა გარემოებით, მაგრამ როდესაც ასეთსავე უძღურებას და უფრო გულგრილობას ვიჩენთ ჩვენშივე მცხოვრებ, ჩვენივე ძმების მაჰმადიან ქართველებისადმი, ეს კი დიდი დანაშაულობაა. დღეს ტფილისის ქართულ გიმნაზიაში მხოლოდ სამი მაჰმადიანი ქართველი იზრდება—ერთი სიღნაღიდან, ერთი ბათუმის ოლქიდან და ერთიც ახალციხის მაზრიდან, ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, მგონი, არც ერთია. დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო შეგნებით მოვუმარჯოთ ხელი მაჭმადიან ქართველებს, რომ იმათ ჩვენზე გული არ აიყარონ, დიდი ხნობით გაურიდნი და დღეს შემოერთებულ ჩვენს ძმებს ნამდვილი ძმური სამსახური უნდა გავუწიოთ, რომ ერთობა ჩვენს შორის უკეთ განმტკიცდეს, რაც შეადგენს ერის არსებობის ქვაკუთხედს.

* * *

ერთობა რომ ეოვლგვარ საქმეში საჭიროა, ამას ყველა გრძნობს, მაგრამ ამ ერთობის აუცილებლობა ყველაზე უფრო საჭიროა სახალხო სკოლის მასწავლებელთა შორის. რის ბრალია ის ფაქტი, რომ ქუთაისის გუბერნიიდან ამ ბოლო დროსაც საუკეთესო სახალხო სკოლის მასწავლებლებს აძევებენ? იმისი რომ ბეზღება და შური მასწავლებელთა შორის ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა. ვინმე შუბლ გადარეცხილი მასწავლებელი აბეზღებს უფროსთან თავის ამხანაგს, — ლიბერალობას სწამებს, ეს კ ეს წერილი დასტამბა ქართულ გაზეთშიო, უთარგმნის დასტამბულს ყერილს და ეს საბუთიც საკმარისია პოლიტიკან მოხელესათვის საუკეთესო მოაზრე მასწავლებელი სამსახურიდან დაითხოვოს. ერთობის უქონლობა მასწავლებელთა შორის თვით ჩვენს ეროვნულს საქმესაც ვნებას აყენებს. სულ რამდენიმე თვეა, რაც შავს მიწას მივაბარეთ ჩვენი ქვეყნის დიდი მოჭირნახულე, აღმზრდელი მამა იაკობ გოგებაშვილი. მის საფლავზე წარმოთქმული ფიცი საოველთაო იყო; ყველა იმას გაიძახოდა მტკიცედ და მედგრად დავიცვათ ის, რასაც განსვენებული პედაგოგი გვიმოძღვრებდა თავის სიცოცხლეში, დავიცვათ დედა ენა, დავიცვათ მისი სახელმძღვანელოები. ჯერ კიდევ დიდი პედაგოგის უსულო გვამი არ გაციებულა და ზოგიერთები ახლავე ცდილობენ ნეტარ ხსენებულის გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს წესი აუგონ. ეი ამისი უტეუარი მაგალითი. ამ დღეებში ერთმა სოფლის ვაჭარმა გამოუგზავნა წერა-კითხვის წიგნის მადაზიას სანდო პირისაგან ხელმოწერილი თამასუქის ბარათი და სთხოვა ასი მანეთის რუსულ-ქართული სახელმძღვანელო წიგნები განსვენებულის იაკობ გოგებაშვილისა. გამგეობამ გადასწყვიტა ხსენებული წიგნების გაგზავნა. მესამე დღეს, როცა წიგნები უუთში ჩალაგებული იყო გასაგზავნად და გაეგზავნათ კიდეც ვაგზალში, იმავ ვაჭრისაგან მივიღეთ შემდეგი დეპეშა: „ნუ გზავნით გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს, რადგანაც სხვა სახელმძღვანელოები შემოიღესო“. საზოგადოების წიგნის მადაზიის გამგე იძულებული გახდა ვაგზალიდან ის წიგნები უკანვე დაებრუნებია. ეი როგორ ვიცით სახალხო სკოლის მასწავლებლებმა ერის აღმზრდელი მამის ხსოვნის პატივის ცემა; განსვენებული პედაგოგის სახელმძღვანელოებზე უკეთესი ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება არც ქართული და არც რუსული, მით უფრო სამწუხაროა ის ის მოვლენა, რომ ზოგიერთი სახალხო მასწავლებელი ჩვენში შეგნებით, თუ შეუგნებლად, ცდილობს გოგებაშვილთან ერთად მისი სახელმძღვანელოებიც დამარხოს. ამას კი, მერწმუნეთ, არც ერთი ველური ხალხი არ ჩაიდენდა! ამისთანა სამარცხვინო საქმეს ჩაიდენს მხოლოდ ისეთი ადამიანი, რომელსაც „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზე ჰკიდია“, ოდონდ ამოს თავის უფროსებს და იმას არ დაგიდევს, თუ რამდენი ზნეობრივი და გონებრივი სიდუხჭირე გამოსჭვივის ამ ქვემძრომობაში. ჯერ-ჯერობით საჯაროთ არ ვაცხადებთ იმათ ვინაობას, ვინც ასეთი „საჯაყი“ საქმე ჩაიდინეს. მაგრამ თუ ასეთმა ქვეყნის დალატმა ფეხი მოიდგა ჩვენში, იძულებული ვიქნებით, ყველას ვინაობა გამოვაშკარაოთ და დეე, საზოგადოებამ დასდვას მათ თავისი მსჯავრი.

*
* *

ხშირად ბიუროკრატ მოხელეეს ბრალსა ვსდებთ საუკეთესო მასწავლებლების დევნაში, მაგრამ ამ მხრით არც თბილისის თვით მართველობასთან არსებული სასკოლო კომისია ჩამორჩება უკან სიმართლის მოძულე მოხელეებს. ყურ. „განათლების“ ამა წლის თებერვლის ნომერში დასტამბული იყო პატარა შენიშვნა თბილისის ქალაქის დასაწყის სკოლების შესახებ. ავტორი ამ წერილისა, სხვათა შორის, იხსენიებდა ერთს სკოლას, სადაც მოსწავლე ბავშვებს მეტად უდიერად ეპყრობოდნენ. ამ შენიშვნამ მიიქცია სასკოლო კომისიის ყურადღება და დანიშნეს გამოძიება, რამაც სინამდვილით დაამტკიცა „განათლებაში“ დასტამბული ფაქტი. მოსალოდნელი იყო, რომ სკოლის გამგეს და მოსამსახურეს, რომლებიც ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდნენ საწყალ მოწაფეებს, შესაფერად ჩაგონებდნენ ხელი აედოთ ამისთანა შეუსაბამო საქციელზე, მაგრამ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, დასაჯეს სრულიად უდანაშაულო, საქმის სიუვარულით გატაცებული, გამოცდილი და სწავლებაში ფრიად დახელოვნებული—ბ-ნი მ. მარკოზაშვილი, რომელიც ვერ ეგუებოდა იმ დუხჭირ წესებს, რაც იმ სკოლაში იყო გამეფებული და რომელმაც სასკოლო კომისიის წინაშე არ დაჭაარა და თამამად ადიარა ის ნაკლი, რაც შეეხებოდა სწავლა-აღზრდის საქმეს სკოლაში; საქმის სიუვარულით გამსჭალული მასწავლებელი, არ გაჭეკა პირმოთნეობის გზას და სიმართლით აღიარა ყველაფერი. რას იფიქრებდა თუ სიმართლე არ გაუვიდოდა და ასეთს ბოლოს მიიღებდა. ზაფხულშივე შეატყობინეს ბ-ნს მარკოზაშვილს, რადგანაც თქვენსა და სკოლის გამგის შორის უთანხმოებაა, ამიტომ ენგენისთვიდან გადაყვანილი იქნები სხვა სასწავლებელშიო. დადგა ენგენისთვეც და ბ-ნი მარკოზაშვილი, რომელიც შტატის მასწავლებლად ითვლებოდა შესაფერისის ჯამაგირით, გადაიყვანეს მასწავლებლის თანაშემწეთ ხარფუხის სკოლაში 35 მანეთიან ჯამაგირზე თვეში. ამ სახით სრულიად უდანაშაულოდ დასაჯეს იგი მხოლოდ იმისთვის, რომ სკოლის გამგეს, რომელსაც ბრალი ედებოდა, მხარი არ დაუჭირა და სხვებსავით პირმოთნეობას არ დაადგა. თურმე ასეთი დუხჭირი წესი გამგის წყალობით დიდი ხანია არსებობდა სკოლაში, ამას ყველა ამოწმებს, ვისაც წინად უმსახურნია იქ, მაგრამ ხმის ამოღებას გაცდა აურჩევია. ეს გარემოება გამოაშკარავა მხოლოდ ჩვენმა თანამშრომელმა და არ დაფარა იგი არ მარკოზაშვილმა.

რა დასკვნა შეიძლება გამოიტანოს ადამიანმა სასკოლო კომისიის ამგვარ საქციელიდან? სასკოლო კომისია დანაშაულად უთვლის მასწავლებელს სიმართლის თქმას, მისი აზრით მასწავლებელი ყურმოჭრილი უმა უნდა იყვეს სკოლის გამგისა, რა დირსებისაც უნდა იყვეს ეს უკანასკნელი და თაყვანს სცემდეს მას ყოველგვარ საქციელში. მ. მარკოზაშვილს დიდი სიყვარული ჰქონდა მოპოვებული მოწაფეთა და მშობელთა შორის. როგორც ვიცით იგი ერთი საუკეთესო მასწავლებელთაგანია მთელი თბილისის დასაწყისის სკოლებისა და მისი ასეთი დასჯა ვგონებ არ უნდა ესიამოვნოს არც მისს მოწაფეებს და მათს მშობლებს და არც მისს საზოგადოთ კოლეგებს, თბილისის დასაწყისი სკოლის შეგნებულ მასწავლებლებს, რომლებთაც კოლეგიური უნარი რომ ჰქონდეთ, ასე უხმოდ არ ჩაატარებდენ თავისი ამხანაგის უდანაშაულოდ დასჯას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფიები

Проф. А. А. Цагарели. **Статьи и замѣтки по грузинскому церковному вопросу**. Къ столѣтію (1811—1911 г.) вдовства грузинской церкви. პეტერბურგი 1912 წ.

მთელი საუკუნეა მას შემდეგ, რაც საეკლესიო საკითხი ჩვენში საჭირბოროტო საგნად გადიქცა. რამდენიც დრო მიდის, საკითხი ისევ გადუწყვეტელი რჩება და ზოგიერთა ჩვენი მტერ-მოყვრების წყალობით ეს საკითხი უფრო და უფრო მწვავდება.

ამ რამდენსამე წლის წინად, როგორც ვიცით, ჩვენში მოითხოვეს ქართულ საეკლესიო მართვა-გამგეობაში ადგენა ისეთის წესწყობილებისა, რომელიც არსებობდა 1811 წლამდის და რომელიც გაუქმებული იქმნა სრულიად უკანონოდ. ქართველ მდვდელმთავრების შუამდგომლობაზე ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და საკითხი საქართველოს ეკლესიის შესახებ მომავალს სრულიად რუსეთის სამღვდელოთა კრებას გადასცა განსახილველად. ეს კრება ჯერ-ჯერობით არ მომხდარა, მაგრამ უწმინდესს სინოდში საკითხი საქართველოს ეკლესიის შესახებ რამდენჯერმე ადიძრა და როდესაც ამ საკითხს ეკლესიურის თვალსაზრისით ეხებოდნენ, უმრავლესობა ობიექტიურად სჯიდა და ადრრული შუამდგომლობაც კანონიერად მიაჩნდა. მაგრამ ჩვენში კარგად ცნობილის ვოსტორგოვის და ვიდაც ბუტკევიჩის და მათ მსგავსთა წყალობით საქართველოს ეკლესიის საკითხს პოლიტიკურს მოსაზრებას უდებდენ საჩუქრად და გამორკვევის ნაცვლად უარესად ბუნდოვანი ხდებოდა.

ხსენებული წიგნი, რომლის სათაურიც ზემოდ ამოვწერეთ, სრულიად ნათელს ჭვენს საქართველოს ეკლესიის საკითხს. წიგნში განხილულია მრავალი საკითხი და დასაბუთებული უტეუარის ისტორიულის მაგალითებით. ეს წიგნი ფრიად კარგს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, დროზედაც არის გამოცემული. საზოგადოდ საეკლესიო საკითხს, რასაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს დიდი მნიშვნელობა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ჩვენი მწერლობა იმდენად არ ეხება, რის დირსიც არის იგი. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისიც უნდა იყოს, რომ ბევრს არც კი ესმის იგი ჯეროვანად. ამიტომ ფრიად საჭიროა ის მეტად საბუთიანი მოსაზრებანი, რაც პატივცემულ პროფესორ აქვს მოყვანილი თავისს საყურადღებო წიგნში, ხალხსაც გავაცნოთ. ეს წიგნი დირსია საზოგადო ყურადღებისა და ჩვენც ურჩევთ მის წაკითხვას საზოგადოთ ყველას და განსაკუთრებით სახალხო სკოლების მასწავლებლებს, რომ მათ ამ წიგნში ამოკითხული ცნობები ხალხსაც გადასცენ.

—

Наша Азбука, Иллюстрирована оригинальными рисунками изъ Кавказской жизни I-ое изданіе, приспособленное для кавказскихъ школъ. Составили В. С. и Ш. Х. Тифлисъ 1912 г. цѣна 30 коп.

ამ სათაურით თბილისში გამოვიდა ამ დღეებში ერთი რუსული ანბანი, რომელსაც უცნობი შემდგენლები წინ უძღვარებენ სამს მოკლე მოსაზრებას. ჩვენ ძალიერ გაგვიხარეს, როგორც ამ ანბანის დანიშნულებამ, აგრეთვე, იმ ანტიპედაგოგიურმა მოსაზრებამ, რაც გატარებულია ამ ანბანის მოკლე წინასიტყვაობაში და მეტად დაგვაეჭვიანა ავტორების ნამ-

დვილ ჰედაგოგობაში. სქმე ის გახლავთ, რომ ავტორების გინუძრახავთ შედგენა ისეთის რუსულის ანბანისა, რომელიც საერთო უნდა იუყეს კავკასიის უველა ეროვნებისათვის. თვითონ ეს მოსაზრება ჰედაგოგიურის თვალსაზრისით მეტის მეტად უადბია. უველა ერს საზოგადო საკატობრიოსთან ერთად საკუთარი ეროვნული ელფერი აქვს, რაც გამოიხატება ენაში ჩვეულებაში და ყოფა-ცხოვრებაში. ვერც ამ ანბანში იპოვის რომელიმე კავკასიის ერი ისეთს სურათს, რომელიც მის ყოფა-ცხოვრებას შეეხებოდეს, იქნება თავისი მტირე რამ სიმხებმა იპოვონ ამ ანბანში, მაგრამ ისიც საეჭვო. ანბანი და ჰირველ საკითხავი წიგნი უცხო ენისა თავისი შინაარსით ძლიერ დაახლოვებული უნდა იუყეს, როგორც ბავშვის ცხოვრებასთან, აგრეთვე დედა-ენის სახელმძღვანელოსთანაც. ეს უტეუარი ჰედაგოგიური ჭეშმარიტებაა და ამ მოსაზრების მიხედვით უველა ერი, ვისაც კი შეგნებით უნდა უცხო ენა შეასწავლოს თავისს შვილებს, უნდა ცდილობდეს განსაკუთრებულ სახელმძღვანელოს შედგენას, დამეარებულს ზემოთ ნახვენებ მოსაზრებაზე. მაშასადამე ამ ანბანის ავტორები ტეუიდად დამაშვრალან და ლობე-ეორეს ედებიან.

ამ საზოგადო მოსაზრების გარდა თვით მეთოდიური მხარეც ხსენებულის ანბანისა ყოვლად შეუწუნარებელია. დიდაქტიკაში უკვე აქსიომად არის აღსარებული შემდეგი ჭეშმარიტება: „ბავშვს თითოჯერ თითო სიძნელე მიეცითო“. ამ მოსაზრებით უველა, ტოტალ თუ ბევრად, ანბანის რიგიანი ავტორები, თითო გაკვეთილზე ასწავლის თითო ასოს წერითა და კითხვით. საზოგადოთ აჩქარებით სწავლება არასდროს არ ვარგა და მით უმეტეს ჰირველ საფეხურზე, ანბანის სწავლების დროს, როცა მეარდება საეუძველი სწავლებისა.

ამ ანბანის ავტორები ასურველად სცნობენ თითო გაკვეთილზე ასწავლონ ოთხი ასომთავრული ბეჭდური ასო, ოთხიც ასომთავრული წერითი ასო, ოთხ-ოთხიც ბეჭდური და წერითი მომცრო ასო; ამ სახით თითო გაკვეთილზე ბავშვს, ერთის ნაცვლად, თექვსმეტს სიძნელეს აწვდიან, ჰედაგოგიური ალდოდ ამას ჭქვიან!!

ამ ანბანის დაწვრილებით განხილვას არ შეეუდგებით, რადგანაც ერთის გადახედვითაც ცხადათ სჩანს ავტორების ჰედაგოგიური სისუსტე და ეს ნაშრომი არც დირსია მეტის ეურადღებისა.—დარწმუნებული ვართ, რომ ამ ანბანის ეს გამოცემა იქნება ჰირველი და უკანასკნელიც.

—

კონრად კიფერი თ. ლევან ჯანდიერისა გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. თბილისი 1912 წ. ფასი ხუთი შაური.

„კონრად კიფერი“ ეკუთვნის გერმანელ ცნობილს ჰედაგოგს ზალცმანს, რომელიც ყან-ყაკ რუსლოს იდეიების განმახორციელებლად ითვლება. ამ წიგნის ქართული თარგმანი დაიბეჭდა 1863 წ. ეურნალ „სქართველოს მოამბეში“, რომლის რედაქტორად იყო ჩვენი სახელოვანი მგოსანი იდია ჭავჭავაძე. ამ წიგნს, რომელიც ახლა გამოუცია ბ-ნს ზ. ჭიჭინაძეს, წინ ჩართული აქვს იდია ჭავჭავაძის წინასიტყვაობა, ჯანდიერების გვარის მოკლე ისტორია და გამომცემლის შენიშვნა ამ გამოცემაზე. ზალცმანის შეხედულება ჰედაგოგიაზე დღესაც ბევრი საეურადღებოა. საეურადღებოა ისიც, რომ ჩვენი უკვდავი მგოსანი ფრიად საგულისხმიერო შენიშვნებს უკეთებს ისეთს ადგილებს, რომელიც, მისის აზრით, შეუსაბამო უნდა იუყეს ბავშვის ალზრდაში. ძაგალითად წიგნის ბოლოში იგი არ ეთანხმება ზალცმანს, რომელიც ამბობს მოწაფის თვალში დამნაშავე მასწავლებელი გამართდებული უნდა იქმნასო.

იდია ჭავჭავაძე ამბობს: „ოსტატი რომ

მტკუანი იყოს—უნდა გამტკუნდეს, რომ ბავშვმა პატარაობითვე ყოველი უფროსის პატივისცემაზედ მაღლა სიმართლის პატივისცემა ჩაისახოს გულში. თორემ მართალი ბავშვი თავის უფროსზე საჩივლელად მოვიდეს და არ გაამართლო,—აქედამ რა უნდა გამოიტანოს ბავშვმა? ისა რომ უფროსთან უმცროსს სიმართლე არ გაუვა. ეს არა მგონია კარგი იყოს". სრული ჭეშმარიტებაა, რაც ჭმოწმობს ჩვენი დაუვიწყარის ბოეტის მადალს ბედაგოგიურს ნიჭსაც.

წიგნი შეიცავს 135 გვერდს, თარგმნილია კარგის ენით და სასურველია მისი გავრცელება ჩვენს ოჯახებში.

—

ე. ფერიერი დარვინიზმი თარგმანი ი. ფანცხავასი. გამოცემა ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგად. ქუთაისის განყოფილებისა. ფასი ხუთი შაური.

სამეცნიერო წიგნების უქონლობა რომ ერის სულიერ სიდატაკეს შეადგენს, ეს მგონია ყველასთვის ცხადია, ამიტომ სიამოვნებით ვეგებებით ოდვედგვარს სამეცნიერო კვლევა-ძიებასა და თარგმანებსაც ჩვენს მშობლიურს ენაზე. ბ-ნი ი. ფანცხავას თარგმანი დარვინიზმი, შეიცავს დიდებული მეცნიერის დარვინის მარტივის ენით გადმოცემულს აზრებს. და თუ გვინდა რომ ჩვენშიაც ჩვენს ენაზედ მსჯელობა და მეცნიერულად აზროვნება გამეფებულ იქმნას, ხელი უნდა შევუწყოთ სამეცნიერო წიგნების გავრცელებას, რის დირსი არის ბ-ნი ფანცხავას „დარვინიზმიც". შეიძლება ზოგიერთი ტერმინები, რომელსაც ბ-ნი ფანცხავა ხმარობს სწორი არ იყოს და ჯერჯერობით საკამათოც იყოს, მაგრამ ამით წიგნის ღირსება სრულიად არ იჩრდილება. პირველი ნაბიჯი ყოველთვის ძნელია; როცა ჩვენში მეცნიერული აზრები ბაზარს მოიპოვებს, დედაენის საშუალებით დიდი და პატარა შინ თუ გარედ მეცნიერებას დაეწაფება, მაშინ ტერმინებიც ადვილად გამოირკვევა და ჩვენი მეცნიერებაც წინ წაიწევს; თუ კი ის თითოოროლა სამეცნიერო წიგნი, რაც დღეს მოგვპოვება, მადაზიის თარეებზე ეწყობა და მათ მოიდველი და მკითხველი არ ეყოლება, მაშინ ჩვენი წინ მსვლელობაც შეჩერებული იქნება, უკან დავიწევთ, და ქვეყნის მაჩანჩალა შევიქნებით.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვ დამიმოწმოთ, რომ თქვენ პატივცემულ ყურნალ „განათლების" თებერვლის ნომერში დაბეჭდილი შენიშვნა სათაურით „უპატრონო სკოლები" მე არ მეკუთვნის. *)

მაქსიმე მარკოზიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.

*) რედაქცია ამოწმებს, რომ შენიშვნა „უპატრონო სკოლები" მაქსიმე მარკოზიშვილს არ ეკუთვნის და თუ ვისმე ამ შენიშვნის ავტორის ვინაობა აინტერესებს, მის დამწერს შესწევს იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა, რომ მზად არის თავის ვინაობა გამოაშკარაოს. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

„განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი „**განათლება**“ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამ ჟამად „**განათლება**“ ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვა და სხვაგვარ საკმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალი „განათლება“ შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდენი, ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს **სამი მანეთი** და **ათი შაური** (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** 2 მ.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **ორ მანეთად** და **ათ შაურად** (2 მ. 50 კ.); საზღვარ გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. **ქუთაისში** წიგნების და გაზეთ ების კანტორა „იმერეთი“ ისიდორე კვიკარიძესთან, **ბათომში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

რედაქცია ყოველგვარ დინისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლად.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1912 წ.

„კოლხიდა“

(წელიწადი მეორე)

გაზეთის ფასი: ერთი წლით **7** მან. ნახევარი წლით **4** მან. ერთი თვით **4** აბაზი.
წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ამნაირად შეუძლიათ გადაიხადონ:
ხელის მოწერის დროს **3** მან. პირველ მაისს **2** მან. პირველ ენკენისთვეს **2** მან.

თითო ნომერი ერთი შაური

მისამართის გამოტვლა **ათი შაური.**

რედაქციის ადრესი: Въ гор. Кутаисъ, редакція газеты „Колхида“.
Василію Михаиловичу Челидзе.

ქ. ქუთაისში გამოდის ყოველ-დღიურ გაზეთი

„დილა“

გაზეთი ღირს წლიურად **7** მან. ნახევარი წლით **4** მან. სამი თვით **2** მ. **05** კ.
თვიურად ქუთაისში **4** აბაზი. ქუთაისს გარეთ **90** კაპ. საზღვარ-გარეთ წლ. **14** მ.

ცალკე ნომერი ყველგან—ერთი შაური

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—3 შაური, უკანასკნელზე 2 შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა 3 მან.

ფულის გამოგზავნის ადრესი: Кутаисъ, Михайловская ул. Мелитону Петровичу Асатіани. სხვა მისამართით გამოგზავ. ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

ქ. **გორში** გამოდის ყოველდღიური სალიტერატურო, სავაჭრო სამეურნეო **საგლეხო** გაზეთი

„ქართლი“

ყოველ-კვირეულ სურათებიანი დამატებით

დამატებით		**უდამატებოთ**	
გაზეთი წლიურად ღირება	5 მ.	„ „ „	— 4 მ.
„ ნახევარი წლით	— 2 მ. 60 კ.	„ „ „	— — 2 მ. 30 კ.
„ სამი თვით	— — 1 მ. 50 კ.	„ „ „	— — 1 მ. 20 კ.
„ ერთი თვით	— — — 55 კ.	„ „ „	— — — 45 კ.
ცალკე ნომერი 5 **კაპ.**			3 **კაპ.**

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე—ერთი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

შენიშვნა: ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი“ გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და **უდამატებოდ.** შემოდგომიდან კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველ-დღიური იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ეკალაძე-ცინცაძე.

მისამართი: ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს. ფული და მასალები მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოგზავნოს.